აჭარის მოსახლეობის არჩევანი - პოლიტიკური შეფასებები A3

შავსა და თეთრს "შუა უდევს დიდი ზღვარი" A8

"ხალხის პირისპირ" ანკეტა B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 22 ივნისი, 2004 წელი. №146 (695)

ფასი 50 თეთრი

# პროფკავშირების ქონებით პარლამენტში დაინტერესდნენ

ასეთივე ინტერესი, ალბათ, პროკურატურასა და კონტროლის პალატასაც გაუჩნდება



*ნოდარ გრიგალაშვილის მიერ წამოჭრილი საკითხით პარლამენტის თავმჯდომარეც დაინტერესდა.*

იური ლობოდინის ფოტო

*ინტრიგებითა და სკანდალებით ისედაც განებივრებული საზოგადოება ახლო მომავალში მორიგ პოლიტიკურ თრილერს იხილავს: სახელისუფლებო გუნდის წევრები პროფკავშირების ბოსებს საკმაოდ მძიმე ბრალდებებს უყენებენ და მათ განკარგულებაში არსებული უზარმაზარი ქონების ყიდვა-გაყიდვაზე მორატორიუმის გამოცხადებას ითხოვენ.*

გიორგი ასანიშვილი

"პროფკავშირგეიტი" პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე აგორდა. მისი ინიციატორი იყო დეპუტატი ნოდარ გრიგალაშვილი, რომლის თქმითაც, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, პროფკავშირების ლიდერებმა მოახლოებული საფრთხე იყნოსეს და დღეს ისინი მთლიანად ქონების გაყიდვა-გასხვისებით არიან დაკავებულნი.

გაგრძელება A2 გვერდზე

# დატოვებენ თუ არა "რესპუბლიკელები" უმრავლესობას და თანამდებობებს

*"სავარაუდოდ, საშემოდგომო სესიას ჩვენ როგორც ნაციონალური მოძრაობისგან დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა, ისე დავიწყებთ," - აცხადებს "რესპუბლიკური" პარტიის" ლიდერი დავით ბერძენიშვილი და საპარლამენტო უმრავლესობასთან მოკლევადიან თანამშრომლობას "ფორმალობას" უწოდებს. საპარლამენტო უმრავლესობიდან შესაძლო გასვლის შესახებ პირველი განცხადება დავით ბერძენიშვილმა გუშინ გააკეთა.*
*"გავიდეთ თუ არ გავიდეთ?" - ამ თითქმის ჰამლეტისეულ კითხვას "რესპუბლიკელები" საბოლოო პასუხს უახლოეს დღეებში პარტიულ შეკრებაზე გასცემენ.*

სოფო ბუკია

პოსტრევოლუციური საპარლამენტო უმრავლების ორთვენახევრიან ისტორიაში ეს უკვე შიდა განხეთქილების მეორე შემთხვევაა. პირველის ინიციატორები ზვიად ძიძიგური და მისი ხუთკაციანი "ერთიანულ ძალთა გაერთიანება" იყვნენ, რომელთაც, "კადრების" სიმცირის გამო, ფრაქციის შექმნა ვერ მოახერხეს და უფრაქციო კობა დავითაშვილსა და სხვა ცამეტ დეპუტატს დაუმშვენეს გვერდი. ძიძიგურის და მისი ოთხი მეგობრის "პრინციპულობამ" პარლამეტის უზარმაზარ უმრავლესობას (160-ზე მეტი დეპუტატი) ვერაფერი დააკლო.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ნდობის არჩევნები

თამარ მჭედლიშვილი

*მალე საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აჭარის უმაღლეს საბჭოს ავტონომიის პრემიერის კანდიდატურას წარუდგენს. ყველა ნიშნის მიხედვით, პრეზიდენტის არჩევანი აჭარაში ამჟამინდელ რწმუნებულზე ლევან ვარშალომიძეზე შეჩერდება. მით უფრო, რომ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე თავად მიხეილ სააკაშვილმა არაორაზროვნად განაცხადა, რომ 20 ივნისის არჩევნებში "ნაციონალური მოძრაობის" გამარჯვების შემთხვევაში, მისი რჩეული სწორედ ლევან ვარშალომიძე იქნება. "24 საათი" გთავაზობთ ინტერვიუს ლევან ვარშალომიძესთან.*

**- როგორ შეაფასებთ აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მიმდინარეობას და შედეგებს?**

- პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო აჭარის მოსახლეობას იმ აქტიურობისათვის, რომელიც მან კენჭისყრის დღეს გამოიჩინა. ფაქტობრივად, 13 წლის შემდეგ, აჭარის მოსახლეობას პირველად მიეცა შანსი, თავისუფლად გამოეხატა თავისი ნება. პირველადი ინფორმაცია ცნობილია - დიდი უპირატესობით იგებს "სააკაშვილი - გამარჯვებული აჭარა".

გაგრძელება A3 გვერდზე

## ქართველ მეწარმეებს 1 მილიარდ 400 ათასი ლარის საგადასახადო დავალიანებები დაუგროვდათ

თამარ ხორბალაძე

*სანამ საქართველოს ხელისუფლება მეწარმეებს დამალული გადასახადების "გათეთრებას" სთავაზობს და ამასთან დაკავშირებით შესაბამისი კანონის ამოქმედებას ახლა უკვე მომავალი წლისთვის ჰპირდება, ქართულ ბიზნესს უკვე აქვს ბოლო წლების მანძილზე "აღიარებული" თუ "აღმოჩენილი" ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებები, რომელთა საერთო რაოდენობა სანქცია-საურავების გარეშე 1 მილიარდ 400 ათას ლარს შეადგენს. საურავებთან ერთად კი ეს თანხა 3 მილიარდ ლარს აღწევს.*

გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, საბიუჯეტო დავალიანების ამოღების მიზნით, ივნისში რვა საწარმოს ქონების ნაწილის გაყიდვა იგეგმება.

გაგრძელება A4 გვერდზე

### პოლიტიკა

## სასუქი პლუს მომავლის რწმენა



*საქართველოს პრეზიდენტის ტრადიციულმა საჩუქარმა - მინერალურმა სასუქმა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტური ზონიდან აფხაზეთში გადაინაცვლა.*

A3

### ეკონომიკა

## ნოღაიდელს მოგზაურობისთვის არ სცალია



გუშინ საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის საჯარო განხილვის დაწყების შესახებ პრესკონფერენცია გამართა.

A4

### უცხოეთი

## ილჰამ ალიევი დიდი რეფორმებისთვის ემზადება



ბაქოში მყოფი მიმომხილველები ერთსულოვნად აცხადებენ, რომ აზერბაიჯანის სახელისუფლებო დაჯგუფებებს შორის არსებულმა დაპირისპირებამ ძალზე სერიოზული ხასიათი მიიღო.

A5

### ნომრის სტუმარი

## ჯანდაცვას - ქირურგის დანა

მინისტრს - მტრები



წლის ბოლომდე საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებში ვარდების რევოლუციის დასრულებას ვაპირებ.

B1

### ამინდი

| | 18/07 | 19/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 34 | 33 |
| ქუთაისი | 34 | 32 |
| ბათუმი | 29 | 28 |
| სოხუმი | 30 | 29 |
| თელავი | 33 | 32 |
| ზუგდიდი | 33 | 32 |
| გორი | 31 | 28 |
| ჭიათურა | 33 | 31 |
| გაგრა | 28 | 27 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9200 |
| ევრო | 2.3270 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5244 |
| რუბლი | 0.0662 |

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" დანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ტერიტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 28467440.

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ფოსტა

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ანკეტა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

# სასუქი პლუს მომავლის რწმენა

## გვარჯილამ გალშიც შეაღწია



*გალის მოსახლეობა ენგურსგამოღმიდან ზურგით და საზიდრებით ეზიდებოდა სასუქს.*

*საქართველოს პრეზიდენტის ტრადიციულმა საჩუქარმა - მინერალურმა სასუქმა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტური ზონიდან აფხაზეთში გადაინაცვლა. ვინაიდან სასუქით სავსე ტომრები ურჩი რეგიონების ხელმძღვანელებს რევოლუციასთან დაკავშირებულ უსიამოვნო ასოციაციებს აღუძრავს, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ინიციატივას, ბუნებრივია, აღფრთოვანებით არ შეხვედრია. აფხაზური ადმინისტრაციის მკაცრი აკრძალვის მიუხედავად, გალელებმა გუშინ საჩუქარი მაინც მიიღეს.*

გალის რაიონში დაბრუნებულ მოქალაქეებს და დასავლეთ საქართველოს რეგიონებში მცხოვრებ დევნილებს, სააქციო საზოგადოება "აზოტის" მიერ წარმოებული 250 ტონა სასუქი, კომპანია "ოტირამ" უსაჩუქრა. იმერეთში, გურიასა და სენაკში მცხოვრებ დევნილებს 60 ტონა სასუქი ერგოთ, გალის მოსახლეობას - 90 ტონა, სამეგრელოს დანარჩენ რაიონებში 100 ტონას შეიტანენ.

სხვა რაიონების პარალელურად, გუშინ გალელებმა სასუქის პირველი პარტია - 22 ტონა გვარჯილა მიიღეს. უშუალოდ გალის რაიონში ჰუმანიტარული ტვირთის შეტანა ვერ მოხერხდა. ნაბაკევის, ქვედა ბარღების და ზედა ბარღების რამდენიმე ასეულ ოჯახს საჩუქარი ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში დაურიგეს. ინფორმაციისთვის, ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩას გალის რაიონის სოფელ ნაბაკევიდან პატარა ღელე ყოფს. სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით შერვაშიძემ და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლონდერ ცაავამ, მასმედიასთან და სხვა თანმხლებ პირებთან ერთად, მოახერხეს სოფელ ნაბაკევში შესვლა, სადაც ქალბატონის ოჯახი მოინახულეს.

**"ბედნიერი ვარ, ტანში ჟრუანტელი მივლის, რადგან ასეთი წუთების მოსწრე ვარ... ხალხს მომავლის რწმენა დაუბრუნდა. გალელები აცხადებდნენ, ვინც არ უნდა დაგვხვდეს, როგორი წინააღმდეგობაც არ უნდა შეგვხვდეს, სასუქს მაინც წავიღებთ,"** - განუცხადა გუშინ "24 საათს" სოფლის მეურნეობის და სურსათის მინისტრმა დავით შერვაშიძემ. მინისტრის აზრით, სასუქების დარიგება მარტოოდენ ჰუმანიტარული ხასიათის როდი ატარებს, ეს აქცია ერთ-ერთი წინსვლაა საქართველოს გამთლიანების გზაზე.

გალელებმა ზურგიდან სასუქი ზურგით და ურიკებით გადაიტანეს. აფხაზური მხარე საქართველოს ხელისუფლების ჰუმანიტარულ აქციას სრული მობილიზაციით შეხვდა. გალის რაიონის 14 სოფელში გუშინ [illegible]

*ვერიკო თევზაძე*

# საბითუმო ბაზარმა ახალი ლიმიტები დააწესა

მხოლოდ ქვეყნის შიდა რესურსების გათვალისწინებით, საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა 17-30 მაისის პერიოდის ენერგობალანსი დაამუშავა. რადგან ენგურჰესზე მუშა მდგომარეობაში მხოლოდ ორი აგრეგატია (410 მეგავატი ჯამური სიმძლავრით), ბაზარი სიმძლავრის დეფიციტის დაბალანსებას დილისა და საღამოს მაქსიმუმის პერიოდებში მარეგულირებელი სადგურების ხრამჰესი 1-ის, შაორჰესისა და ტყიბულჰესის დატვირთვით გეგმავს. თუმცა, შექმნილი მძიმე მდგომარეობისა და მარეგულირებელ სადგურებზე წყლის დონის რაციონალური ხარჯვისთვის, კვლავ აქტუალურია ენერგოკომპანიებისა და მომხმარებლების მიერ მათთვის დადგენილი გრაფიკების უმკაცრესი დაცვა.

ყველა საპროგნოზო რესურსის გათვალისწინებით, ბაზარმა მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიისა და სიმძლავრის მიწოდების გრაფიკი დაგეგმა. საპროგნოზო საშუალო დღე-ღამურმა გასაყიდმა ელექტროენერგიამ, ტექნიკური დანაკარგების გათვალისწინებით, 18.6 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა, ამიტომ თბილისს დღე-ღამეში 4,935 მილიონი კილოვატსაათი ელეტროენერგია მიეწოდება, მაქსიმუმზე 270 მეგავატი სიმძლავრით; აჭარის ენერგოკომპანიას - 1,18 მილიონი კილოვატსაათი, მაქსიმუმზე 60 მეგავატი სიმძლავრით; კახეთის ენერგოსადისტრიბუციო კომპანიას - 0,301 მილიონი კილოვატსაათი, მაქსიმუმზე 20 მეგავატი სიმძლავრით; გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას კი - 3,384 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, მაქსიმუმზე 180 მეგავატი სიმძლავრით.

*24 საათი*

# სულხან მოლაშვილს გათავისუფლების კიდევ ერთი შანსი დაეკარგა

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ უარი თქვა კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის ადვოკატის საჩივრის განხილვაზე. ადვოკატი შალვა შავგულიძე მოლაშვილის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვდა.

როგორც შავგულიძემ განაცხადა, სასამართლომ საჩივარი არ მიიღო იმ მოტივით, რომ ეს საკითხი მისი განსახილველი არ არის (აღსანიშნავია, რომ ანალოგიური საჩივარი, რომელიც შს ყოფილი მინისტრის, პოლიტიკური ორგანიზაცია "დათვის" ლიდერის თემურ ხაჩიშვილის გათავისუფლებას შეეხებოდა, უზენაესმა სასამართლომ ერთი თვის წინ განიხილა და დააკმაყოფილა კიდეც).

შალვა შავგულიძის თქმით, იგი გენერალურ პროკურორს და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს მიმართავს მოთხოვნით, დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ სულხან მოლაშვილი, რომელსაც წინასწარი პატიმრობა არაკომპეტენტური სასამართლოს მიერ აქვს შეფარდებული. ადვოკატის თქმით, უკანონო პატიმრის გათავისუფლება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირდაპირი მოვალეობაა, ხოლო გენერალურმა პროკურორმა ასეთი პატიმრის გათავისუფლება სასამართლოში უნდა იშუამდგომლოს. მოლაშვილს აღმკვეთი ღონისძიება თბილისის ვაკე-საბურთალოს სასამართლომ 25 აპრილს შეურჩია, რისი უფლებაც, ადვოკატის მტკიცებით, მას არ ჰქონდა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში წლეულს, თებერვალში შეტანილი ცვლილებების თანახმად, თანამდებობის პირად ითვლება ის ადამიანიც, რომელსაც პროკურატურა თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში დანაშაულის ჩადენას ედავება. აქედან გამომდინარე, მოლაშვილი, როგორც კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე, თანამდებობის პირია და მისთვის პატიმრობის შეფარდების საკითხი უზენაეს სასამართლოს უნდა განეხილა. თბილისის პროკურატურაში თავისი ნებით მისული მოლაშვილი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით 23 აპრილს დააკავეს.

*მედია-ნიუსი*

# "შარიანი" გუბერნატორი და უძლეველი კონტრაბანდა

წითელი ხიდიდან შემომავალ კონტრაბანდასთან რამდენიმეთვიანი ბრძოლის შემდეგ, ქვემო ქართლის გუბერნატორმა სოსო მაზმიშვილმა ხელები ასწია და აღიარა, რომ მისმა მონდომებამ შედეგი ვერ გამოიღო.

**"საბაჟოს აღარ ვენდობი. ეს უწყება წითელ ხიდზე აბსოლუტურად არ მუშაობს. მებაჟეები ხშირად არიან ნასვამ მდგომარეობაში და თუ ფული ვერ აიღეს, იმ დღეს დაკარგულად თვლიან. მათი მეოხებით, წითელი ხიდის საზღვარი სახელმწიფოში კი არა, ბანანის რესპუბლიკაში შემოსასვლელს ჰგავს,"** - ამბობს გუბერნატორი. მაზმიშვილმა სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომლებით ორი სპეციალური ბრიგადა შექმნა, რომლებსაც მისი მოადგილეები ხელმძღვანელობდნენ და თითქმის ყოველდღიურად მორიგეობდნენ წითელ ხიდზე. მიუხედავად ყველაფრისა, გუბერნატორი მაინც უძლური აღმოჩნდა საზღვრის ამ მონაკვეთზე რაიმე შეეცვალა და წესრიგი დაემყარებინა.

**"სანამ იქ ვართ, სიწყნარეა. ხალხი ძალიან აგრესიულია. მათ ჰგონიათ, რომ მე არ მინდა მათი შემოშვება, ამიტომ პირადად მიხდება მათთან დალაპარაკება და იმის ახსნა, რომ მათი ტვირთი განბაჟებას ექვემდებარება. წამოვალთ თუ არა, მებაჟეების უნამუსო საქციელის გამო ყველაფერი ძველებურად გრძელდება. წარმოიდგინეთ სურათი, საზღვარზე კონტრაბანდა ძველებურად მოძრაობს, უცებ მოვა ერთი შარიანი გუბერნატორი და პრობლემებს ქმნის,"** - ასე ახასიათებს თავის თავს მაზმიშვილი. მას განსაკუთრებული პრეტენზიები აქვს მებაჟე-ჩინოვნიკების მიმართ და ამბობს, რომ უკვე მოახსენა ეს პრეტენზიები მათ ხელმძღვანელობას, თუმცა არ იცის, რატომ ჭიანურდება მათი შეცვლის საკითხი.

*მაია მოსიაშვილი*

# რუსთავში მტკვარი უბედურების ზონად გადაიქცა

ზაფხულის სიცხის მატებასთან ერთად, იმატა იმ რუსთაველი ახალგაზრდების რიცხვმა, რომლებიც გასაგრილებლად ქალაქის შუაში ჩამომავალ მდინარე მტკვარში ან მის მიმდებარე ტბაში ბანაობას არჩევენ. ჯერ ერთი თვეც არ გასულა, რაც ამ ტბაში 11 წლის რუსთაველი ბიჭუნა დაიხრჩო. თითქოს ამ უბედური შემთხვევის შემდეგ მობანავეები მეტად უნდა გაფრთხილებულიყვნენ, თუმცა ეს ასე არ მომხდარა.

სამი დღის წინ, გასულ შაბათს მტკვარზე საბანაოდ წასული კიდევ ორი ახალგაზრდა დაიღუპა - 20 წლის რუსთაველი სერგო ცერაძე და 17 წლის საგარეჯოელი ნიკა ჩუხრუკიძე. საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის თანამშრომლები მდინარეში მათ ორი დღის განმავლობაში უშედეგოდ ეძებდნენ. გუშინ მათ სხვა სპეციალისტებიც შეუერთდნენ, თუმცა ამ დრომდე ორი ახალგაზრდას ცხედარს ვერავინ მიაგნო.

მსგავსი უბედური შემთხვევები მტკვრის რუსთავის მონაკვეთზე და მის მიმდებარე ტბაზე პირველად არ მომხდარა, თუმცა ქალაქის ხელმძღვანელობამ დღემდე ვერ მოახერხა იქ სპეციალური სამაშველო სამსახურის ან თუნდაც სპეციალური სამეთვალყურეო პუნქტების შექმნა. სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილე ნოდარ ქინქლაძე აცხადებს, რომ მობანავეთა რიცხვი მაშინაც კი არ შემცირებულა, როცა იქ დამხრჩვალი ბიჭების სხეულებს ეძებდნენ.

სამწუხაროდ, ამ უბედური შემთხვევების შემდეგ არც რუსთავის მერიას, არც საკრებულოს არ უმსჯელია იმ კონკრეტულ პრევენციულ ზომებზე, რისი გატარებაც ასეთ სიტუაციაში, უბრალოდ, აუცილებელია. არავის უზრუნია იმაზე, რომ გამოიყოს თუნდაც რამდენიმე სპეციალური საბანაო ადგილი, სადაც მობანავე ახალგაზრდებს სათანადო ყურადღებას მიაქცევენ.

მართალია, ეს ყველაფერი ზედმეტ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული, მაგრამ მხოლოდ ბანაობის აკრძალვა შედეგს ვერ გამოიღებს, რადგან 100 ათასიან ქალაქში ყოველთვის გამოჩნდება რამდენიმე ასეული თავნება და უყურადღებოდ მიტოვებული ბიჭი, რომლებიც, აკრძალვის მიუხედავად, მაინც წავლენ მტკვარზე საბანაოდ და წყლის მორიგი მსხვერპლიც შეიძლება გახდნენ.

გუშინვე რუსთავის ცენტრალურ ხიდთან გამორიყული გვამი აღმოაჩინეს. დამხრჩვალს ჯიბეში აღმოაჩნდა პირადობის დამადასტურებელი საბუთი, რომელიც თბილისის გლდანი-ნაძალადევის პოლიციის სამმართველოშია გაცემული. ამ დოკუმენტის მიხედვით დაღუპული 1971 წელს დაბადებული ზაზა შენგელიაა. მისი გვამი რუსთავის საქალაქო პროზექტურაში გადაიტანეს. წინასწარი ინფორმაციით, მამაკაცი დაახლოებით 4 თვის გარდაცვლილია, თუმცა საბოლოო სიტყვას სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა იტყვის.

*24 საათი*

# საპატრულო პოლიცია ღირსეულ კადრს ეძებს

შინაგან საქმეთა სამინისტრო, საპატრულო პოლიციის დაკომპლექტების მიზნით, მოსამზადებელი კურსების მსმენელთა შესარჩევად კონკურსს აცხადებს. როგორც შს სამინისტროში განაცხადეს, კონკურსში მონაწილეობის მიღება 23-დან 37 წლამდე ასაკის მოქალაქეს შეუძლია, რომელიც შემდეგ მოთხოვნებს აკმაყოფილებს : 1. უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას (სასურველია უცხო ენის ცოდნაც). 2. უნდა ჰქონდეს უმაღლესი ან არასრული უმაღლესი განათლება. 3. უნდა ფლობდეს საქართველოს კონსტიტუციური სამართლის საფუძვლებს. 4. უნდა ჰქონდეს სატრანსპორტო საშუალების მართვის დამადასტურებელი მოწმობა. მოსამზადებელი კურსების მსმენელთა შესარჩევად კომისია კანდიდატთან გასაუბრებას ჩაატარებს. დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, კანდიდატურებს ფიზიკურ მომზადებაში შემოწმება ჩაუტარდებათ.

შერჩეული კანდიდატები მომზადებას შსს აკადემიის ბაზაზე გაივლიან. 25 ივნისიდან ორკვირიანი სწავლების კურსი დაიწყება. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა განცხადება, ხელნაწერი ავტობიოგრაფია, განათლების მოწმობა, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და 4 ფოტოსურათი (3X4) უნდა წარადგინოს.

განცხადებებისა და საბუთების მიღება 21 ივნისიდან 24 ივნისამდე გაგრძელდება (9-დან 21 საათამდე). მისამართი: თბილისი, გია გულუას ქ. N10. შსს საშვთა ბიურო. აჭარის, იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის შს მთავარი სამმართველოები.

*ინტერ-პრესი*

# ფინანსურმა პოლიციამ ლილოს ბაზრობას შეუტია

შემოვლითი გზებითა და მებაჟეთა ხელშეწყობით, საქართველოში კონტრაბანდული პროდუქცია მაინც შემოდის და, როგორც წესი, კონტრაბანდული სამრეწველო საქონელი, ძირითადად, ლილოს ბაზრობაზე იყრის თავს.

ამ დღეებში ფინანსური პოლიცია კონტრაბანდულ პროდუქციას ლილოს ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე, საგზაო პოლიციის საგუშაგოსთან ჩაუსაფრდა. ფინანსური პოლიციის თანამშრომელთათვის წინასწარ ცნობილი იყო იმ სატვირთო მანქანების ნომრები, რითაც ლილოს ბაზრობაზე აღურიცხავი საქონელი შემოჰქონდათ. ფინანსურმა პოლიციამ კონტრაბანდით დატვირთულ მანქანებს გზა ჩაუხერგა. ზოგიერთმა კი ბაზრობის ტერიტორიაზე შეღწევა შეძლო, თუმცა, ფინანსურმა პოლიციამ დიდი ძალისხმევისა და შეხლა-შემოხლის შედეგად მაინც მოახერხა ბაზრობის ტერიტორიიდან მათი გამოყვანა და ლილოს ტერმინალზე გადაყვანა. ამ ღონისძიების შედეგად, დაკავებულია აღურიცხავი პროდუქციით დატვირთული რვა ავტომანქანა, ამოღებულია ათობით დასახელების სამრეწველო საქონელი — დიდი რაოდენობით ფეხსაცმელი, ტანსაცმელი და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთი.

ტვირთის დაბრუნება მესაკუთრეებს მხოლოდ სოლიდური ჯარიმის გადახდის შემდეგ შეუძლიათ.

ფინანსური პოლიციის ოპერატიულ-ანალიტიკურმა სამმართველომ კი თბილისში, კედიას ქუჩაზე მდებარე მაკარონის მწარმოებელ საამქროში ჩხრეკა ჩაატარა. გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს ატყუებდნენ და ვერმიშელსა და მაკარონს ყოველგვარი ნებართვისა და ლიცენზიის გარეშე ამზადებდნენ, ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, ეს პროდუქცია ფალსიფიცირებულიც არის. ამოღებული მაკარონი და ვერმიშელი ექსპერტიზაზე გადაიგზავნება.

*მედია-ნიუსი*

# პროფკავშირების ქონებით პარლამენტში დაინტერესდნენ

პირველი გვერდიდან



*მიუხედავად მემარჯვენე ორიენტაციისა, პროფკავშირებს დავით გამყრელიძე გამოესარჩლა.*

ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატი ირწმუნება, რომ პროფკავშირების უდიდესი ქონებიდან მალე არაფერი დარჩება და ამიტომ, საჭიროა, ორგანიზაციის ხელმძღვანელობას ამ ქონების განკარგვის - მისი გაყიდვის უფლება შეუჩერდეს.

**"საქართველო მილიარდობით ქონებას კარგავს და იგი, სულ რაღაც, ათი კაცის ჯიბეში გადადის. ამ ათი კაციდან სამი იპარავს, დანარჩენი შვიდი კი, თავის მხრივ, ამ სამეულს ემდურის,"** - აცხადებს თბილისის პროკურორის ძმა.

ნოდარ გრიგალაშვილის მოსაზრებებს მთლიანად იზიარებს პარლამენტარი ედვარდ სურმანიძე. მისი მტკიცებით, პროფკავშირების ქოლგის ქვეშ საეჭვო რეპუტაციის მრავალმა ადამიანმა მოიყარა თავი და თუ სამართალდამცავი ორგანოები მათი საქმიანობით დაინტერესდებიან, **"ათობით ადამიანი გისოსებს მიღმა ამოყოფს თავს"**. სურმანიძის თქმით, ვინაიდან ამ სტრუქტურაში წლების განმავლობაში არავის ჩაუხედავს, სასურველი იქნება, რომ მისით კონტროლის პალატა და პროკურატურა დაინტერესდნენ.

მართალია, "მემარჯვენე" დავით გამყრელიძეს პროფკავშირების დაცვა სათაკილო საქმედ მიაჩნია (პარტიული მსოფლმხედველობის თვალსაზრისით), მაგრამ ირაკლი ტუღუშის "კანტორის" ერთადერთ დამცველად გუშინ სწორედ ის მოგვევლინა. ამას გამყრელიძე კერძო საკუთრების უზენაესობით ხსნის და მიიჩნევს, რომ პროფკავშირების ქონებაზე თვალის დადგმამ, შესაძლოა, მეტად საშიში პრეცედენტი წარმოშვას.

**"პროფკავშირების ქონება ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელთ არსებული კერძო საკუთრებაა და თუ მის ხელყოფას მოვინდომებთ, მაშინ სხვა ორგანიზაციების საქმეებში ცხვირის ჩაყოფაც მოგვინდება და კომპარტიას დავემსგავსებით,"** - აცხადებს მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერი.

ბიუროს სხდომაზე მოულოდნელად წამოჭრილი თემით პარლამენტის თავმჯდომარეც დაინტერესდა, რომელიც აღნიშნავს, რომ საკანონმდებლო ორგანო, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, საკითხისთვის ნათელის მოფენას შეეცდება.

პროფკავშირების თემის გააქტუალურება მაინც მომავლის საქმეა, სხვა სკანდალური ისტორიები კი (ოღონდ, არა კრიმინალური "განხრის") ამ კვირაშივე წამოტივტივდება. ერთ-ერთი ასეთი ისტორია კონტროლის პალატას უკავშირდება. როგორც ცნობილია, ნინო ბურჯანაძემ თავისი გაიტანა და პალატის თავმჯდომარის პოსტზე მის მიერ დასახელებულ ზურაბ სოსელიას კანდიდატურას ჩავარდნის საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ ოპონენტები ცდილობენ, სპიკერის გამარჯვებას ფასი დაუკარგონ. მაგალითად, რომან გოცირიძე, კობა ბექაური და საპარლამენტო უმრავლესობის ზოგიერთი სხვა წარმომადგენელი დაჟინებით მოითხოვს, რომ კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილეების დამტკიცების უფლება სპიკერის კომპეტენციას გამოეყოს და იგი პარლამენტის გადასაწყვეტი გახდეს.

თავის მხრივ, ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ ასეთი პოზიცია მხოლოდ რამდენიმე დეპუტატის მოსაზრებაა და არა მთლიანად საპარლამენტო უმრავლესობის. **"თუ კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილეებს პარლამენტი დაამტკიცებს, მაშინ პალატა პოლიტიკური ორგანო გახდება, რაც მისი ფუნქციის ატროფირებას გამოიწვევს,"** - უკანდახევას არ აპირებს პარლამენტის თავმჯდომარე.

ამ შიდასაუმრავლესობო ინტრიგის დასრულება 24-25 ივნისისთვის დაგეგმილ პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე უნდა ვივარაუდოთ, რადგან თავად რომან გოცირიძე იმის წინააღმდეგია, რომ საკითხი დროში გაიწელოს და ზურაბ სოსელიამ სექტემბრამდე მოადგილეების გარეშე იმუშაოს.

კიდევ ერთი სადავიდარაბო თემა, რომელთან შეჭიდებაც მიმდინარე კვირას პარლამენტს მოუწევს, აჭარის სტატუსს შეეხება. ნინო ბურჯანაძეს ესმის, რომ ამ ერთობ დელიკატური საკითხის განხილვას, შესაძლოა, გართულებები მოჰყვეს და ამიტომ, პირდაპირ პლენარულ სხდომაზე მის გატანას ვერ ბედავს. სპიკერის აზრით, უმჯობესია, რომ აჭარის სტატუსის გარშემო ჯერ უმრავლესობის ფრაქციის შიგნით და პრეზიდენტთან გაიმართოს კონსულტაციები, მოგვიანებით კი მის შესახებ იურიდიულ საკითხთა კომიტეტმაც იმსჯელოს. პარლამენტის თავმჯდომარე არც იმას გამორიცხავს, რომ კანონპროექტი საერთოდ მოიხსნას 24-25 ივნისის რიგგარეშე სესიის დღის წესრიგიდან და მისი პირველი მოსმენით მიღება მომდევნო რიგგარეშე სესიაზე მოხდეს, რომლის მოწვევაც მომავალ კვირაში იგეგმება.

"რიგგარეშე-2"-ის გამართვის აუცილებლობას კი ის გარემოება განაპირობებს, რომ 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებებია შესატანი: როგორც ცნობილია, მთავრობამ ვალდებულება აიღო, რომ ივლისის თვეში საკანონმდებლო ორგანოში 180 მილიონი ლარით გაზრდილი ბიუჯეტის პროექტს წარადგენდა. მინისტრთა კაბინეტმა პირობა შეასრულა და, შედეგად, საბიუჯეტო ციფრებზე კირკიტი ბოლო ორი თვის განმავლობაში დეპუტატებს მეორედ მოუწევთ.

# "საქნავთობის" დირექტორობა 40 პრეტენდენტს უნდა

საკონკურსო ვადის ამოწურვამდე 10 დღით ადრე "საქნავთობის" გენერალური დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე პრეტენზიას 40 კანდიდატი აცხადებს. როგორც "ინტერპრესს" "საქნავთობის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ სოსო ცისკარიშვილმა განუცხადა, განაცხადების მიღების ვადა 30 ივნისს იწურება და თვის ბოლომდე სატენდერო კომისიაში განაცხადს, სავარაუდოდ, 15-20 კანდიდატი კიდევ შეიტანს. "კომისიას სამეთვალყურეო საბჭოს წევრი თინათინ ხიდაშელი ხელმძღვანელობს. განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან ორ კვირაში გაირკვევა იმ კანდიდატთა სია, რომლებთანაც კომისია გასაუბრებას ჩაატარებს. 15 ივლისისთვის უკვე უნდა იყოს კანდიდატი, რომელსაც 20 ივლისამდე სამეთვალყურეო საბჭო დაამტკიცებს," - განაცხადა ცისკარიშვილმა. როგორც "ინტერ-პრესისთვის" გახდა ცნობილი, "საქნავთობის" გენერალური დირექტორის თანამდებობაზე პრეტენზიას რამდენიმე ცნობილი პერსონა აცხადებს, მათ შორის - ექსპერტი სანდრო თვალჭრელიძე, აჭარაში პრეზიდენტის რწმუნებულის ლევან ვარშალომიძის მამა გურამ ვარშალომიძე, კომპანია "გრეკოს" ხელმძღვანელი ვანო ნაკაიძე და ენერგეტიკის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი გია საძაგლიშვილი.

*ინტერ-პრესი*

# ცვლილებები დიპკორპუსში

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, უახლოეს მომავალში საზღვარგარეთ ჩვენი საელჩოების და დიპლომატიური წარმომადგენლობების რეორგანიზაციაა დაგეგმილი. კონკრეტულად, ავსტრიის, სლოვაკეთის, სლოვენიის, უნგრეთის და ჩეხეთის რესპუბლიკებში, გაერთიანებული საელჩოს ნაცვლად, სამი საელჩო გაიხსნება: საელჩო ავსტრიასა და უნგრეთში, სლოვენიასა და სლოვაკეთში და ცალკე საელჩო ჩეხეთში. პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინე გაბაშვილი, ჯერჯერობით, ვერ ასახელებს, თუ კონკრეტულად რა თანხებთან იქნება დაკავშირებული ამ საელჩოების "განცალკევების" და ასევე, სხვა ქვეყნებში ახალი საელჩოების გახსნა. პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, თავად ყოფილი ელჩი, პოლიტიკური მიზანშეწონილობის თაობაზე საუბარს ამჯობინებს. **"თითოეულ ქვეყანაში ე.წ. "მოძრავი ელჩი" იქნება. ეს დანერგილი პრაქტიკაა. ამ საელჩოების გახსნისას მთავარი პოლიტიკური მიზანშეწონილობის საკითხია, რადგან აღმოსავლეთ ევროპის ამ ქვეყნებს უკვე სერიოზული პოლიტიკური წონა აქვთ. ზოგი მათგანი ევროკავშირის და ზოგი - ნატო-ს წევრია. ამდენად, ბევრად უკეთესია, როცა ერთ ქვეყანაში ერთი საელჩო ფუნქციონირებს. გარდა იმისა, რომ ამგვარი ნაბიჯი თავად ამ ქვეყნების მიმართ ელემენტარული პატივისცემის ამბავია, ამავე დროს ამ ქვეყნის ხელმძღვანელობასთან უფრო უშუალო კონტაქტის საშუალებასაც იძლევა,"** - ამბობს გაბაშვილი.

*24 საათი*

# წავიდა ვიქტორი, მოვიდა ნესტორი

რამდენიმე დღის წინ საკმაოდ ხმაურიანად მოღვაწე საქართველოს შს გურიის სამხარეო სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი ვიქტორ გობრონიძე ჩუმად გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. პოლკოვნიკ გობრონიძის სახელთან არის დაკავშირებული ქაოსისა და განუკითხაობის წლებში, როგორც თავად იტყოდა ხოლმე, "რეზონანსული დანაშაულების" გახსნა და საზოგადოებისთვის ერთობ საშიში ბოროტმოქმედების ლიკვიდაცია. ამასთან, მის სახელს ხშირად უკავშირებენ ჯართისა და ხე-ტყის კანონიერ თუ უკანონო ბიზნესს, რაც დღემდე დაუსაბუთებელ ბრალდებად რჩება. ამიტომაც იქნა აღქმული თავისებურად გურიის მთავარი პოლიცმეისტერის პოსტიდან მისი გადაყენება. ვიქტორ გობრონიძეს ნესტორ მიქატაძე შეცვლის. ეს უკანასკნელი რამდენიმე წელია, შს სამინისტროში მოღვაწეობს, ახალგაზრდობაში იგი გურიის მხარის ოზურგეთის პოლიციაში იბრძოდა კანონიერების სადარაჯოზე, კომუნისტების დროს - ე.წ. "ობეხეესში", ხოლო დემოკრატიის ხანაში -ეკონომიკური დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებაში.

# დღეში თითო მატჩი იკმარეთო

ასეთი პასუხით ისტუმრებდნენ ამ დღეებში საქართველოს ენერგოკომპანიის ოზურგეთის ფილიალიდან ფეხბურთის მოყვარულებს, რომლებიც უშუქობის გამო მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის კალენდარული დღის პირველ მატჩებს ვერ უყურებენ, რადგან დენი გვიან ღამით მოდის. მართალია, ოზურგეთში არსებული ბჟუჟის ჰიდროელექტროსადგური ამ წყალუხვობისა და თოვლის ინტენსიური დნობის დროს იმდენ ენერგიას კი გამოიმუშავებს, დღის ორივე მატჩს გასწვდეს, მაგრამ როგორც აქ აცხადებენ, 3 საათით ბჟუჟის ენერგია ე.წ. სისტემას მიაქვსო. ამ დღეებში თანამდებობიდან წავიდა საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ოზურგეთის ფილიალის უფროსი მამია კალანდარიშვილი, გურულები კი კითხულობენ: კალანდარიშვილი კი წავიდა, მაგრამ ელექტრონი თუ მოვაო.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ პარლამენტში დეპუტატების სახელმძღვანელო წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი საპარლამენტთაშორისო კავშირმა და შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრმა მოამზადა. სახელმძღვანელო უსაფრთხოების საპარლამენტო კონტროლს შეეხება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს ლეიბორისტული პარტია" გასულ კვირას "პრეზიდენტ სააკაშვილის საოჯახო ბიზნესის კვირას" უწოდებს და ქვეყნის პირველი პირის ოჯახს საჰაერო ავიალაინერების მონოპოლიზაციაში ადანაშაულებს. პარტიის ლიდერის შალვა ნათელაშვილის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილმა "ოჯახური ბიზნესი საქართველოში ჰოლანდიური ძროხების ჩამოყვანით დაიწყო და ავტობუსებით და ავიალაინერებით გააფართოა". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს ლეიბორისტული პარტია" ევროსაბჭოს მიმართავს თხოვნით, გენერალური მდივნის თანამდებობაზე ტერი დევისი არ აირჩიოს, ტერი დევისი "ჟვანია-სააკაშვილის პირადი ლობისტია და მათთან კორუფციულ ურთიერთობაშია". მისივე თქმით, 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით დევისმა "არაობიექტური დასკვნა დაწერა, რითაც საქართველოში არჩევნების გაყალბებას დაუდო საფუძველი". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის ლიდერი ირაკლი ჯაში მიიჩნევს, რომ კვირას, აჭარაში უმაღლესი საბჭოს არჩევნები "ნორმალურად" და "დემოკრატიულად" ჩატარდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ორშაბათს დაუდასტურეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ევროპის საბჭოს წარმომადგენელმა პლამენ ნიკოლოვმა საქართველო დატოვა. როგორც საგარეო პოლიტიკურ უწყებაში აღნიშნეს, პლამენ ნიკოლოვი თბილისიდან შაბათს, 19 ივნისს გაემგზავრა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, აფხაზეთში შემოდგომისათვის დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებზე თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა თავის მემკვიდრედ პრემიერ-მინისტრ რაულ ხაჯიმბას დაასახელებს. იმავე წყაროს ცნობით, ვარაუდი იმის შესახებ, რომ თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი არჩევნებზე ღიად დაუჭერს მხარს ხაჯიმბას, მას შემდეგ გაძლიერდა, რაც არძინბამ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გენადი გაგულია დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ხელისუფლების მიერ აჭარის ყოფილი ლიდერისთვის ასლან აბაშიძისთვის მიცემული ხელშეუხებლობის გარანტიის მხოლოდ რუსეთის ტერიტორიაზე გავრცელებას არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ხელმძღვანელი თინათინ ხიდაშელი წმინდა პოლიტიკურ შეთანხმებად აფასებს. "ხელშეუხებლობის გარანტია სამართლებრივი მსჯელობის საგანი არ არის და მას არანაირი საკანონმდებლო ნორმა არ არეგულირებს. ამავდროულად, ქვეყნის პრეზიდენტის მიერ ხელშეუხებლობის გარანტიის მიცემა ჩვეულებრივი მოვლენაა და ეს ყველა ქვეყანაში ხდება," - განმარტა ხიდაშელმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატების" ერთ-ერთი წევრი, "დემოკრატიული აჭარის" ყოფილი ლიდერი ედვარდ სურმანიძე აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნების მიმდინარეობას დადებითად აფასებს და აცხადებს, რომ მიუხედავად რამდენიმე უსიამოვნო ფაქტისა, რომელიც განაწყენებული პარტიის ლიდერების ინიცირებული იყო, არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა. ამასთან, ედვარდ სურმანიძე ასლან აბაშიძის შვილის აჭარაში ჩამოსვლასაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ არავის აქვს უფლება დიანა აბაშიძეს აჭარაში ჩამოსვლა და დედის საფლავზე გასვლა აუკრძალოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ბათუმი.** პარლამენტარი კობა დავითაშვილი აჭარაში პლებისციტის ჩატარებასთან დაკავშირებით ხელმოწერების შეგროვებას განაგრძობს. "რეგიონში ამ საკითხს უამრავი მომხრე ჰყავს და საჭირო რაოდენობის ხელმოწერებს სულ მალე შევაგროვებთ," - აცხადებს პარლამენტარი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართული მხარე ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალებისთვის მანდატის შეცვლას ითხოვს. ეს საკითხი კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის უახლოეს სხდომაზე უნდა განიხილონ. როგორც კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა აცხადებს, სამშვიდობოები მხოლოდ იმ ტერიტორიაზე უნდა განლაგდნენ, სადაც ოს და ქართველ მოსახლეობას ერთმანეთთან შეხება უხდებათ. აგრეთვე, უნდა გააკონტროლონ როკის გვირაბი, საიდანაც კონტრაბანდული ტვირთი, მათ შორის, იარაღიც შემოდის. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ნდობის არჩევნები

პირველი გვერდიდან

ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მოსახლეობამ ნდობა პრეზიდენტსა და მის გუნდს გამოუცხადა.

**- ანუ ეს ნიშნავს, რომ აჭარის ამომრჩეველმა, "ნაციონალების" ადგილობრივ გუნდზე მეტად, პრეზიდენტის კურსს დაუჭირა მხარი. ეს უფრო ნდობის არჩევნები იყო, რაც გაცილებით მეტ პასუხისმგებლობას გაკისრებთ.**

- ნდობის გამართლების ერთადერთი გზა ხალხის სამსახურში ჩადგომაა. ხალხი აქამდე მოკლებული იყო ელემენტარულ ყურადღებას. ამ ერთი თვის განმავლობაში ჩვენ უკვე შევძელით მოსახლეობასთან პირდაპირი და მუდმივი კონტაქტის დამყარება. ჩვენი მოვალეობაა, აღვადგინოთ ნდობა ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის. 13 წლის განმავლობაში ადამიანებს არ ჰქონდათ არც საუბრის, არც გამოსვლის, არც თავისი პრობლემის ხმამაღლა გამოთქმის საშუალება. ხალხი მიჩვეული იყო, რომ მათთვის კანონი ერთი კაცის გადაწყვეტილება იყო. ასე რომ, ჩვენ მაქსიმალურად შევეცდებით, აჭარაში დამყარდეს რეალური თვითმმართველობა. აქვე ვთხოვ საქართველოს პარლამენტს, უახლოეს დღეებში განიხილოს კანონი აჭარის სტატუსის შესახებ, რათა უფრო კონკრეტულად, კანონის დონეზე იქნას გამიჯნული, თუ ვის რა უფლება-მოვალეობები აქვს. ერთპიროვნული მმართველობა უნდა შეიცვალოს თვთმმართველობით. ჩვენ მთელი ენერგია და თანხები უნდა მოვახმაროთ ჩვენს ხალხს. გაქრა აბაშიძის მიერ შექმნილი ილუზია, თითქოს აჭარა ყველაზე მდიდარი და ძლიერი რეგიონი იყო საქართველოში. დღეს ყველა ხედავს, რომ სწორედ აჭარაშია უმუშევრობის და სიღარიბის ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი.

**თქვენი საქმიანობის პრიორიტეტი სოციალური პრობლემების მოგვარება იქნება?**

- - სოციალური სფეროს მოგვარება, ბიზნესისა და ეკონომიკის განვითარების გარეშე, შეუძლებელია. საჭიროა ინვესტიციების მოზიდვა. აჭარის ავტონომია ადრე ერთი ადამიანის საკუთრებას წარმოადგენდა, რომელიც რეგიონში არ უშვებდა ინვესტორს, მეწარმეებს. ახლა თითოეული საწარმოს გახსნა ჩვენთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუნდაც ამ საწარმოში ხუთი კაცი დასაქმდეს. ამ ხუთს კიდევ ხუთი დაემატება... უნდა შეიქმნას მოსახლეობის დასაქმებისთვის აუცილებელი ბაზა და პირობები. ინვესტორები აუცილებლად უნდა შემოვიდნენ, თუმცა ჩვენ ერთადერთი და უმკაცრესი მოთხოვნა გვექნება - საწარმოებში მომუშავე პერსონალის მინიმუმ 80 პროცენტი ადგილობრივი მოსახლეობა უნდა იყოს. ჩვენი რეგიონი უნდა გახდეს მდიდარი და პრესტიჟული. ეს ჩვენი მთავარი ამოცანაა.

**- როგორ გესახებათ ურთიერთობა უმაღლეს საბჭოსა და პრემიერს შორის?**

- როგორც კი შეიკრიბება უმაღლესი საბჭო, პრეზიდენტის წარდგინებით დაინიშნება პრემიერი. ჩვენ ერთობლივად უნდა გავაკეთოთ ის, რაც მოსახლეობის კეთილდღეობისათვის იქნება საჭირო. უნდა ვითანამშრომლოთ ყველა სფეროში. პიროვნული დაპირისპირების დრო აღარ არის. მე პირადად არავისთან არ მაქვს ურთიერთობის პრობლემა. მთავარია, საქმე გავაკეთოთ, რომ აჭარის მოსახლეობა იმ მძიმე მდგომარეობიდან გამოვიდეს, რომელშიც ახლა იმყოფება.

**- არჩევნების შემდეგ აჭარაში უკვე გამოიკვეთა მმათველი პარტიის ყველაზე აქტიური ოპოზიციური ძალა - ეს რესპუბლიკური პარტიაა. მათთან ურთიერთობა თქვენ ხშირად მოგიწევთ...**

- ჩვენ უნდა ჩამოვაყალიბოთ რეალური თვიმმართველობა. შეიძლება, რეგიონში მოქმედებდეს როგორც კონსტრუქციული, ასევე რადიკალური ოპოზიციაც, მაგრამ ყველა ძალა ორიენტირებული უნდა იყოს ერთი მიზნისაკენ - საქმის კეთებისაკენ.

**- არჩევნების დღის ერთ-ერთი მთავარი სკანდალი პარლამენტარ კობა დავითაშვილის სახელს უკავშირდება. იგი აჭარის ავტონომიის გაუქმების აქტიური მომხრეა. კენჭისყრის დროს იგი მოსახლეობაში ხელმოწერებსაც კი აგროვებდა. როგორია თქვენი პოზიცია ამ ფაქტთან დაკავშირებით?**

- ამ არჩევნებს არანაირი საერთო არ ჰქონდა პლებისციტთან დაკავშირებით ხელმოწერების შეგროვებასთან. პრობლემა მხოლოდ დასახელებაში არ არის. მთავარია შინაარსის შეცვლა - ჩვენი ამოცანა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ავტონომიაში რეალური თვითმმართველობის ჩამოყალიბებაა.

**ამ მხრივ, იგივე რესუბლიკელებს თავისი პრეტენზიები აქვთ. მათი მტკიცებით, პრემიერის, მინისტრების ცენტრიდან დანიშვნა თვითმმართველობის ილუზიას შექმნის. გარდა ამისა, რესპუბლიკელები ფინანსური ავტონომიის აუცილებლობაზეც საუბრობენ.**

- ყველაფერი იმ კანონზე იქნება დამოკიდებული, რომელიც პარლამენტმა უნდა მიიღოს. ავტონომიას უნდა ჰქონდეს თავისი სტატუსი და, აქედან გამომდინარე, თავისი ფუნქციები. აჭარას ფინანსური ავტონომიაც ექნება.

**- საინტერესოა, რეალურად რამდენ პროცენტს შეადგენდა ჩრდილოვანი ეკონომიკა აბაშიძის მმართველობის პერიოდში?**

- კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან იმავე საბაჟო-გამშვებ პუნქტთან დაკავშირებით: შარშან, თითოეული თვის განვალობაში, დაგეგმილი იყო ბიუჯეტში 5 მილიონი ლარის შეტანა. ახლა, ოცი დღის განმავლობაში შემოვიდა უკვე შვიდი მილიონი ლარი. თვის ბოლომდე ეს მაჩვენებელი კიდევ გაიზრდება. ანუ გამოდის, რომ მაშინ შემოსავლების 50 პროცენტი იმალებოდა.

**- დაბოლოს: ბათუმის მერის სავარძელი კვლავ ვაკანტური რჩება. იხილება თუ არა კონკრეტული კანდიდატურები?**

- ბათუმის მერი უახლოეს დღეებში დაინიშნება. თუ ვინ იქნება ის ადამიანი, პრეზიდენტი გადაწყვეტს.



ლევან ვარშალომიძე: "ავტონომიას უნდა ჰქონდეს თავისი სტატუსი და, აქედან გამომდინარე, თავისი ფუნქციები. აჭარას ფინანსური ავტონომიაც ექნება".

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

# დარღვევები საერთო შედეგებზე გავლენას არ იქონიებს

თამარ მჭედლიშვილი

**"აჭარის უმაღლესი საბჭოს 2001 წლის არჩევნებთან შედარებით, 2004 წლის არჩევნები წინ გადადგმული ნაბიჯია,"** - ასეთ დასკვნას აკეთებს ევროპის საბჭოს შვიდკაციანი სადამკვირვებლო მისია, რომელიც აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მონიტორინგს ახორციელებდა. უცხოელი დიპლომატები აღნიშნავენ, რომ საჭიროა კანონმდებლობის დახვეწა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს რეგიონში თვითმმრთველობის ჩამოყალიბება.

დამკვირვებლების განცხადებით, 20 ივნისს აჭარის ამომრჩეველმა შეძლო საკუთარი ნების გამოხატვა და არჩევნები, მთლიანობაში, დემოკრატიულად წარიმართა. მათივე თქმით, წინასაარჩევნო კამპანიების დროს ამომრჩევლებს ჰქონდათ საშუალება, გაცნობოდნენ პარტიებისა თუ კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამებს. ამ უკანასკნელებს კი სატელევიზიო ეთერის გამოყენება დაუბრკოლებლად შეეძლოთ. ამის მიუხედავად, ევროპის საბჭოს წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დროს განსაკუთრებულად დომინირებდა მმართველი პარტია.

ერთი სიტყვით, უცხოელი დამკირვებლები, მთლიანობაში, დადებით შეფასებას აძლევენ აჭარაში გამართულ არჩევნებს იმის მიუხედავად, რომ მათ დარღვევები არაერთ უბანზე აღომოაჩინეს.

რაც შეეხება ადგილობრივ დამკვირვებლებს, მართალია, მთელი რიგი დარღვევები კენჭისყრის დღეს მათაც აღმოაჩინეს, მაგრამ არასამთავრობოები აღნიშნავენ, რომ ეს დარღვევები არჩევნების შედეგების საერთო შედეგზე განსაკუთრებულ გავლენას არ იქონიებს, რადგან მოსახლეობამ საკუთარი არჩევანი სწორედ "ნაციონალური მოძრაობის" სასარგებლოდ გააკეთა.

**სააკაშვილი - გამარჯვებული აჭარა" - 75 პროცენტი, "ბერძენიშვილი - რესპუბლიკელები" - 10 ან 11 პროცენტი, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს - 4 პროცენტი, ლეიბორისტული პარტია - 1 პროცენტი. დანარჩენი პარტიები ერთპროცენტიანი ბარიერის მიღმა** - ჩვენი ინფორმაციით, დაახლოებით ასეთი იქნება აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საბოლოო შედეგები.

კანონის თანახმად, უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების დღიდან 18 დღის ვადაში უნდა შეაჯამოს პროპორციული არჩევნების შედეგები. მანამდე კი ციფრები, შესაძლოა, რამდენჯერმე შეიცვალოს. თუმცა, აქვე იმასაც დავძენთ, რომ არსებითი განსხვავება ჩვენს ხელთ არსებულ მონამცემებსა და ოფიციალურს შორის არ იქნება.

რაც შეეხება მაჟორიტარული არჩევნებს, როგორც უსკო-ში აცხადებენ, ბათუმში რაიონებიდან საბოლოო მონაცემები სამ დღეში გადმოიგზავნება, თუმცა წინასწარი ინფორმაციით, ყველა მაჟორიტარული ოლქი "ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარმა კანდიდატებმა მოიგეს.

# დატოვებენ თუ არა "რესპუბლიკელები" უმრავლესობას და თანამდებობებს



აშკარად ჩანს, რომ დავით ბერძენიშვილმა უმრავლესობიდან გამოსვლის თაობაზე განცხადება თანაპარტიელებთან არ შეათანხმა.

პირველი გვერდიდან

აჭარულმა არჩევნებმა საპარლამენტო უმრავლესობის კიდევ ერთი სუსტი რგოლი გამოააშკარავა. აჭარაში განვითარებული მოვლენების ფონზე იმთავითვე ნათელი გახდა, რომ "რესპუბლიკელთა" ექვსკაციანი გუნდი საპარლამენტო უმრავლესობაში უშფოთველ მოღვაწეობას ველარ გააგრძელებდა. საპარლამენტო "ავტონომიის" პირველი სურვილი გუშინ უკვე გამოითქვა. თუმცა, როგორც დავით ბერძენიშვილი აცხადებს, **"მის პარტიაში ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს არ იღებენ"**. ბერძენიშვილი უფროს ძმას - ლევანს და თანაპარტიელ ივლიანე ხაინდრავას ელოდება, რომლებიც ამჟამად საქართველოში არ იმყოფებიან. გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს რომან გოცირიძეც, რომელიც, ასევე, "რესპუბლიკელთა" რიგებში ირიცხება. **"არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით ამის შესახებ,"** - განაცხადა გოცირიძემ უმრავლესობიდან შესაძლო გასვლის კომენტირებისას. ამ ცნობილ "რესპუბლიკელთა" გარდა ბერძენიშვილის კვოტით პარლამენტში კიდევ ორი - ნუგზარ მგელაძე და თემურ ნერგაძე მოხვდნენ. "რესპუბლიკელთა" ექვსკაციანი შემადგენლობიდან ორი საპარლამენტო კომიტეტს უდგას სათავეში. ლევან ბერძენიშვილს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტი აბარია, რომან გოცირიძე კი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს ხელმძღვანელობს. საპარლამენტო უმრავლესობიდან გასვლის შემთხვევაში ორივე "რესპუბლიკელს" ამ თანამდებობების დატოვება მოუწევთ.

როგორც დავით ბერძენიშვილმა "24 საათთან" საუბარში განაცხადა, უმრავლესობიდან გასვლის შემთხვევაში "რესპუბლიკელები" საკუთარი ფრაქციის შექმნას შეეცდებიან, რაც არც თუ ისე იოლი საქმე იქნება. "რესპუბლიკელებს" მინიმუმ ოთხი კაცის გადაბირება მოუწევთ.

როგორც ბერძენიშვილი ამბობს, ოპოზიციაში იგი საკმაოდ კომფორტულად იგრძნობს თავს: **"ჩვეულებრივად ვიმუშავებთ. ოპოზიციაში ყოფნის დიდი გამოცდილება გვაქვს. ჩვენი რამდენიმეთვიანი ფორმალური ყოფნა უმრავლესობაში დასრულდა. ჩვენ გვეყოლება ჩვენი მცირერიცხოვანი, მაგრამ ყველაზე სოლიდური წარმომადგენლობა აჭარის უზენაეს საბჭოშიც და საქართველოს პარლამენტშიც... და ცოტა უფრო კვალიფიციურიც, ვიდრე "ნაციონალების" დიდი დეპუტაციაა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა შლაგბაუმის ფუნქციის მატარებელი დეპუტატები არიან - ხელს აწევენ და დაწევენ,"** - აღნიშნავს იგი.

ბერძენიშვილისგან "გალანძღული" საპარლამენტო უმრავლესობა ბერძენიშვილის უკანასკნელ გადაწყვეტილებასა და "რესპუბლიკელთა" ქცევას აჭარაში" "პოლიტიკურ შეცდომად" აფასებს.

უმრავლესობის წევრი ნოდარ გრიგალაშვილი ბერძენიშვილს ერთგვარ ულტიმატუმს უყენებს: **"თუ "რესპუბლიკური პარტიის" წარმომადგენლები ჩათვლიან, რომ აჭარის არჩევნებთან დაკავშირებით მათ პოლიტიკურად მცდარი ნაბიჯები გადადგეს, მაშინ უმრავლესობა ერთიანი დარჩება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, "რესპუბლიკური პარტიის" წევრების საპარლამენტო უმრავლესობიდან გასვლის საკითხი დღის წესრიგში უნდა დადგეს. როცა თბილისში ერთი გუნდი ვართ და აჭარაში კონკურენციას გვიწევენ, ეს არალოგიკურია,"** - აღნიშნავს გრიგალაშვილი.

როგორც პარლამეტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, **"მას არ სურს, რომ საპარლამენტო უმრავლესობაში რაიმე განხეთქილება დაიწყოს".**

**"თუ "რესპუბლიკელებს" აქვთ ფრაქციიდან წასვლის არგუმენტაცია და ეს არ არის მხოლოდ განაწყენება არჩევნების შედეგების გამო, მზად ვარ, მოვუსმინო მათ და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრეზიდენტიც მზად იქნება, მოისმინოს მათი არგუმენტაცია,** - ამბობს ბურჯანაძე და დასძენს, - **არასწორი იყო, როცა რევოლუციური გამარჯვებების მომპოვებელი პარტია ნაწილ-ნაწილ წარდგა აჭარის არჩევნებზე."**

დავით ბერძენიშვილის თქმით, მისი გადაწყვეტილება სახელისუფლებო უმრავლესობისთვის სიურპრიზი ნამდვილად არ უნდა ყოფილიყო. **"ნაციონალური მოძრაობის" ხელმძღვანელობამ კარგად იცოდა, რომ მე არ შევეგუებოდი ტოტალურ გაყალბებას აჭარაში. როგორც ჩანს, საქართველოს პრეზიდენტი, ჩემდა სამწუხაროდ, ვერ ეგუება პოლიტიკური პლურალიზმის ვერანაირ გამოვლინებას. მას არ უნდა არსებობდეს სხვა, თუნდაც ასეთი პარტნიორული ძალები,"** - აღნიშნავს დავით ბერძენიშვილი.

"რესპუბლიკელთა" პარტიის ლიდერი პრეზიდენტის "მოქკავშირულ" წარსულზე მიანიშნებს და საპრეზიდენტო პარტიას "აღორძინებულ ნაციონალებს" უწოდებს.

**"მე ძალიან გული მწყდება, რომ საქართველოს სახელისუფლებო ძალამ პრეზიდენტის ხელმძღვანელობით ვერ ჩააბარა დემოკრატიის, გამჭვირვალობის, სიმტკიცის პირველივე გამოცდა. ეს მათი არჩევანია. ჩვენ მათ ვუპირისპირებთ ალტერნატიული პოლიტიკური ძალის შექმნის მცდელობას,"** - განაცხადა მან.

ბერძენიშვილის გადაწყვეტილება "ბუნებრივად" აღიქვა "მარადმა ოპოზიციონერმა" კობა დავითაშვილმა და "რესპუბლიკელებს" **"კომკავშირლების - ბექაურისა და არველაძის გუნდიდან გამოსვლა"** მოუწონა.

# აჭარის მოსახლეობის არჩევანი - პოლიტიკური შეფასებები

ნინო გომართელი

დიდი აჟიოტაჟისა და ჩვეული ქართული პარტიული შეხლა-შემოხლის შემდეგ, აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები კვირას შედგა, წინასწარი მონაცემებით კი პარტიებს შორის პრეზიდენტის გუნდი "სააკაშვილი-გამარჯვებული აჭარა" ლიდერობს, რასაც საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე მოსალოდნელ შედეგად მიიჩნევს. ნინო ბურჯანაძის თქმით, **"აჭარის მოსახლეობის განწყობიდან გამომდინარე, ამომრჩევლების მიერ პრეზიდენტის გუნდისადმი ასეთი დიდი მხარდაჭერის გამოხატვა სიურპრიზი არავისთვის უნდა ყოფილიყო."**

სახელისუფლებო გუნდი აცხადებს, რომ აჭარაში, შეიძლება ითქვას, პირველად ჩატარდა არჩევნები, რადგან **"ის, რაც აბაშიძის დროს იყო, მარაზმს უფრო წააგავდა"**.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ვასილ მაღლაფერიძის განცხადებით, პატარ-პატარა ექსცესების და პარტიული დებატების მიუხედავად, 20 ივნისის არჩევნები დემოკრატიულობის მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა, რასაც წინ უსწრებდა საკმაოდ კორექტული წინასაარჩევნო კამპანია. ზოგადად, დარღვევებმა კი მხოლოდ ორი პროცენტი თუ მოიცვა.

**"აჭარაში ოპოზიციის და ხელისუფლების ერთი საარჩევნო პლაკატიც კი არ ჩამოხეულა. ერთადერთი, რაც ხდებოდა, მოსახლეობა მიხეილ სააკაშვილის სურათებს კედლებიდან ხსნიდა სახლში წასაღებად,"** - სიამაყით აღნიშნავს მაღლაფერიძე.

ოპოზიცია კი, თავის მხრივ, ტოტალურ გაყალბებებზე საუბრობს, სახელისუფლებო ძალის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კონკურენტი პოლიტიკური მოძრაობა "ბერძენიშვილი-რესპუბლიკელები" საარჩევნო ბანდიტიზმსაც კი უწოდებენ კვირას აჭარაში შემდგარ არჩევნებს და აცხადებენ, რომ მოხდა ექს-პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის "მოქალაქეთა კავშირის" და აჭარის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" საარჩევნო გაყალბებების ტექნოლოგიების შერწყმა.

**"აჭარაში არჩევნები კვირას ზუსტად ისე ჩატარდა, როგორც ეს აბაშიძის მმართველობის დროს იყო,"** - აცხადებს "24 საათთან" ინტერვიუში უკვე უფუნქციოდ და უმოქმედოდ დარჩენილი, ბათუმური "აღორძინების" ერთ-ერთი ლიდერი ჰამლეტ ჭიპაშვილი და მმართველობის ხანის შედარებისას ხაზს უსვამს ფაქტს, რომ **"დღესაც, ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან არის ლტოლვა რაც შეიძლება მეტი ხმების მოსაპოვებლად და, აბაშიძის მმართველობის პერიოდის მსგავსად, ეს ყველა დაშვებული თუ დაუშვებელი გზებით ხდება".**

ჭიპაშვილის განცხადებით, უცვლელია აჭარის ტელევიზიის ფორმატიც, რომელიც აქამდე ასლან აბაშიძის ქებით იყო დაკავებული, დღეს კი პრეზიდენტს და მის გუნდს ემსახურება, თუმცა არის განსხვავებებიც. ყოფილი მეთაურის თანაგუნდელი დღეს აღიარებს, რომ აჭარის მოსახლეობას ყოფილი ლიდერის ეშინოდა.

**"რეგიონის მცხოვრებლებს ძალით არავინ მიათრევდა საარჩევნო უბნებში, რადგან ისინი ყოველთვის შეგუებულნი იყვნენ იმ ფაქტს, რომ ასლან აბაშიძისათვის და მისი გუნდისათვის ხმა აუცილებლად უნდა მიეცათ. ზოგს იმის შიშიც კი ჰქონდა, რომ საარჩევნო კაბინაში ვიდეოკამერა იყო დამონტაჟებული, რომელიც მის არჩევანს დააფიქსირებდა,"** - იხსენებს ჭიპაშვილი.

არჩევნების შეფასებაში საკმაოდ მკაცრები არიან "მემარჯვენე ოპოზიცია-მრეწველები, ახლები" რომლებიც მიიჩნევენ, რომ მოსახლეობამ არ იცოდა, რას ირჩევდა, მაგრამ იცოდა, რომ მხოლოდ ერთი პოლიტიკური პარტიისთვის უნდა მიეცა ხმა.

**"ვარდების რევოლუციამდე აჭარაში დიქტატი ასლან აბაშიძეს მიჰყავდა, ახლა კი ჩანაცვლება მოხდა ქვეყნის ახალი პრეზიდენტით,"** - აღნიშნავს პარლამენტარი დავით საგანელიძე.

დროისა და მმართველის ცვლილების მიუხედავად, უცვლელია "ლეიბორისტული პარტიის" პოზიცია. ჯერ კიდევ საარჩევნო უბნების დახურვამდე მათი ლიდერი შალვა ნათელაშვილი აცხადებდა, რომ **"აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში უმაღლესი საბჭოს არჩევნები არნახული ფალსიფიკაციის ფონზე მიმდინარეობდა"**. "ლეიბორისტებს" მიაჩნიათ, რომ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ცდილობს დაესაკუთროს აჭარის და ქვემო ქართლის ამომრჩეველთა ხმებს, რათა ამით შეინარჩუნოს და გაამყაროს საკუთარი ძალაუფლება, **"როგორც ჩანს, სააკაშვილი ხელისუფლებაში მოღვაწეობას ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მეთოდებით აგრძელებს,"** - ამბობს ნათელაშვილი.

აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში, რომელსაც ათი საერთაშორისო და რვა ადგილობრივი ორგანიზაცია აკვირდებოდა, მონაწილეობას რვა პოლიტიკური პარტია და ერთი საარჩევნო ბლოკი იღებდა. არჩევნებში მონაწილეობა, დაახლოებით, 200 ათასმა ადამიანმა მიიღო, წინასწარი რეგისტრაცია კი მხოლოდ 108 667 ამომრჩეველს ჰქონდა გავლილი.




# როდის ჩავა პირველი მატარებელი ცხინვალში, ჯერჯერობით, უცნობია

*ცხინვალისკენ პირველი მატარებლის დაძვრა გურკვეველი ვადით გადაიდო. თვის დასაწყისში დიდი ზარ-ზეიმით დაწყებული გორი-ცხინვალის სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენითი სამუშაოები, პოლიტიკური გადაწყვეტილების მოლოდინში, ერთ ადგილზე, კერძოდ კი - ცხინვალის მისადგომებთან, საქართველო-სამხრეთ ოსეთის ფიქტიურ საზღვარზე გაიყინა, სადაც საზღვრის აღმნიშვნელი მხოლოდ ერთი ნიშანია - ლიანდაგები საგულდგულოდ არის აყრილი.*

სოფიკო ოხანაშვილი

**"ჩვენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ველოდებით. როცა გვეტყვიან, რომ არ გვესვრიან, მაშინ გავაგრძელებთ მუშაობას. ახლა არანაირი გარანტია არ არსებობს. შეირაღებულმა პირებმა მუშები არაერთხელ გააფრთხილეს მკაცრად, გესვრითო",** - განაცხადა "24 საათთან" საუბარში "საქართველოს რკინიგზის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ დავით ონოფრიშვილმა. მისივე განმარტებით, გორი-ცხინვალის სარკინიგზო მონაკვეთზე ძირითადი სამუშაოები უკვე შესრულებულია და, პოლიტიკური თანხმობის შემთხვევაში, სარკინიგზო მაგისტრალი ორ დღეში მთლიანად აღდგება.

**"1800 მეტრიღაა დარჩენილი. დანარჩენი სულ გავაკეთეთ. ამასაც გავაკეთებდით აქამდე, მაგრამ შეიარაღებულმა იძულებით შეგვაჩერეს - აქეთ არ გადმოხვიდეთ, თორემ გესვრითო, და ჩვენც გავჩერდით, სხვა რა გზა გვქონდა",** - განაცხადა სალიანდაგო მეურნეობის უფროსმა ბეჟან მოლაშხიამ.

სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენითი სამუშაოების დაწყება სამ ივნისს სოფელ ნიქოზში დიდი პომპეზურობით აღინიშნა (აღდგენითი სამუშაოების დაწყებაზე დასასწრებად სოფელ ნიქოზში სპეციალურად ჩავიდა პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია). გორი-ცხინვალის სარკინიგზო მაგისტრალის შესაკეთებლად ევროკავშირმა ორი წლის წინ 400 ათასი ევრო გამოყო, ამ თანხით რეაბილიტაციისთვის საჭირო მასალები შეიძინეს, რომლითაც გორი-ნიქოზის სარკინიგზო მონაკვეთი მთლიანად დასრულდა და შესაკეთებელი მხოლოდ ნიქოზი-ცხინვალის ოთხკილომეტრიანი მონაკვეთი დარჩა.

მაშინ, ოფიციალური პირები რკინიგზის აღდგენითი სამუშაოების დაწყების წინ დარწმუნებულები იყვნენ, რომ ცხინვალში მატარებელი რამდენიმე დღეში ჩავიდოდა. "საქართველოს რკინიგზის" თანამშრომლები უკვე საუბრობდნენ იმაზეც, რომ სამგზავრო მატარებლის მიმოსვლის აღდგენის შემდეგ სატვირთო მატარებლებიც დაიწყებდნენ მოძრაობას ცხინვალის მიმართულებით. უფრო მეტიც, ოფიციალურ წრეებში ელექტრომაგისტრალის აღდგენასაც უკვე განხორციელებულ ფაქტად მიიჩნევდნენ.

აღდგენითი სამუშაოები სამი დღის შემდეგ - ექვს ივნისს შეჩერდა. თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მისადგომებთან მიახლოებულ რკინიგზელებს შეიარაღებულმა პირებმა გარკვევით განუმარტეს, რომ მუშაობის გაგრძელების შემთხვევაში ესროდნენ. რკინიგზის აღდგენითი სამუშაოები შეწყდა. სალიანდაგო მეურნეობის უფროსის განმარტებით, ამჟამად ლიანდაგი მეთვალყურეობის ქვეშაა, რკინიგზელები სისტემატურად აკონტროლებენ და ექსპლუატაციას უწევენ უკვე აღდგენილ ლიანდაგს. სარკინიგზო მაგიტრალის უსაფრთხოებას ქვეყნის შინაგანი ჯარი და ადგილობრივი სამართალდამცავები უზრუნველყოფენ. აღდგენითი სამუშაოების შეჩერების გარდა, მოლაშხიას თქმით, ცხინვალის ტერიტორიაზე დამატებით კიდევ აყარეს და დააზიანეს ლიანდაგები, თუმცა მისივე განმარტებით, ზუსტი რაოდენობა და ახლახან დაზიანებული მონაკვეთის სიგრძე, ჯერჯერობით, უცნობია.

# ერაყულ ნავთობს მსოფლიო ბაზრისკენ გზა ძნელად ეხსნება

თორნიკე შარაშენიძე

გასულ კვირას განხორციელებული ტერაქტების შემდეგ ერაყმა კვლავ განაახლა ნავთობის ექსპორტირება სამხრეთის ორი ტერმინალიდან. ორშაბათს, ადგილობრივი დროით დილის 9 საათიდან, ბასრასა და ხორ ალ-ამაიადან დღეში 1 მილიონი ბარელის ტრანსპორტირება ხდება. ტერაქტებამდე, ნავთობსადენებით დღეში 1,6 მილიონი ბარელი მსოფლიო ბაზარზე გადიოდა და 30 ივნისისათვის ამ მაჩვენებლის 2 მილიონამდე გაზრდა იყო დაგეგმილი, მაგრამ ცხადია, ამის განხორციელება ახლა საკმაოდ დიდი ხნით გადაიდო.

ნავთობი, პრაქტიკულად, ერაყის ერთადერთ ექსპორტს და მისი შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ან იქნებ, სწორედ ამიტომაც, ნავთობის ინფრასტრუქტურა ტერორისტთა მთავარ სამიზნედ არის ქცეული. გასულ კვირას, სამხრეთის გარდა, ტერაქტები ქვეყნის ჩრდილოეთზე გამავალ ნავთობსადენზეც განხორციელდა. თუმცა, ადრინდელი შეტევების გამო, ეს უკანასკნელი, პრაქტიკულად, ისედაც გამოსული იყო მწყობრიდან. 2003 წლის შემდეგ ჩრდილოეთ ერაყიდან ჯეიჰანისკენ მიმავალ ნავთობსადენს, განუწყვეტელი თავდასხმების მიზეზით, არც უმუშავია.

ერაყის მთავრობის შეფასებით, ბოლო 7 თვის განმავლობაში ნავთობის ინფრასტრუქტურაზე განხორციელებულმა შეტევებმა ქვეყანა 200 მილიონი დოლარით აზარალა. ეს მაშინ, როცა მსოფლიო ბაზარზე საწვავის ფასი კრიტიკულ მაჩვენებლებს აღწევს და, "შავი ოქროს" სანაცვლოდ, ბაღდადი დიდძალ შემოსავალს მიიღებდა.

ნავთობსადენებს ერაყში 14 ათასი სამხედრო მოსამსახურე იცავს, მაგრამ როგორც ვხედავთ, საკმარისი ესეც არ არის. ამ დიდი ქვეყნის ტერიტორიაზე ტერორისტები სუსტ და დაუცველ წერტილს ყოველთვის იპოვიან, მით უმეტეს, თუკი მათ მოსახლეობაც მხარს უჭერს.

აშშ ერაყის აღების პირველივე დღეებიდანვე, ნავთობმრეწველობის ამუშავებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამას, სხვა ყველაფერთან ერთად, ფსიქოლოგიური დატვირთვაც ექნებოდა. მაგრამ ცხადია, ეს მომენტი ტერორისტებსაც კარგად აქვთ გაცნობიერებული. ახლა ისინი არა მხოლოდ ერაყში აწარმოებენ ამერიკელთა წინააღმდეგ ბრძოლას, არამედ ნავთობის მსოფლიო ბაზარზე ვითარების დესტაბილიზირებას ცდილობენ, რაც დასავლეთისათვის არცთუ ისე სასიამოვნოა. საწვავის მაღალი ფასები მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, თუკი ამ მხრივ ვითარება გაუარესდა, გლობალურ ეკონომიკას სერიოზული საფრთხე ელის.

ოპეკმა ახლახან მნიშვნელოვნად გაზარდა ნავთობმოპოვება, რითაც ფასებმა შედარებით დაიწია, მაგრამ სპეციალისტთა თქმით ნავთობის გაძვირების მიზეზი არა იმდენად მის დეფიციტში, რამდენადაც უფრო ახლო აღმოსავლეთში შექმნილ არასტაბილურობაშია, რაც ბაზარზე ერთობ უარყოფით გავლენას ახდენს.

ამ მხრივ ერაყულ ტერაქტებთან ერთობლივ კონტექსტში უნდა განვიხილოთ "ალ-ქაიდას" ბოლოდროინდელი გააქტიურება საუდის არაბეთში. ეს ქვეყანა, რუსეთთან ერთად, ნავთობის უმსხვილესი ექსპორტიორია და ოპეკის მიერ ნავთობმოპოვების გაზრდა უპირველესად სწორედ მის ხარჯზე ხდება. ყოველი ახალი ტერაქტი საუდის არაბეთში (მაშინაც კი, თუკი იგი ნავთობის ინფრასტრუქტურას ზიანს ვერ მიაყენებს) ნავთობის ბაზრისათვის ახალი შოკის მომტანი იქნება და საწვავის ფასი კიდევ უფრო აიწევს.


**ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს ბოქლომების მოწოდებაზე.**

დაინტერესებულ ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება
შეუძლიათ 2004 წლის 23 ივნისამდე; მისამართი:
თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება.
ტელ: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 25 ივნისი.


# ნოღაიდელს მოგზაურობისთვის არ სცალია

## ფინანსთა სამინისტროში ახალი საგადასახადო კოდექსის საჯარო განხილვა დაიწყო

დიანა ჩაჩუა

*გუშინ საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის საჯარო განხილვის დაწყების შესახებ პრესკონფერენცია გამართა. მინისტრმა ყველა დაინტერესებულ პირს მოუწოდა, მოინახულოს სამინისტროს ინტერნეტ-საიტი, რომელზეც საგადასახადო კოდექსის სამუშაო ვარიანტი უკვე განთავსებულია, და სამინისტროს შესაბამისი შენიშვნები გაუგზავნოს (თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ეს არ არის სამთავრობო კომისიაში საბოლოოდ შეთანხმებული საგადასახადო კოდექსის ვარიანტი, ეს არის ფინანსთა სამინისტროს მიერ იმ პრინციპებზე აგებული ვარიანტი, რომელიც მთავრობამ ერთი კვირის წინ წარმოადგინა).*



ვახო ბესელიას ფოტო

*ზურაბ ნოღაიდელი სსფ-ს რეკომენდაციებიდან მხოლოდ "ყველაზე მისაღების" გათვალისწინებას აპირებს.*

ნოღაიდელის განცხადებით, ყველა დაინტერესებულ პირს ექნება საშუალება, გაეცნოს ფინანსთა სამინისტროს საიტზე (www.mof.ge) მოთავსებულ საგადასახადო კოდექსის სამუშაო ვარიანტს, ხოლო მსურველებს წინადადებებისა და შენიშვნების შეთავაზება ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიტიკის დეპარტამენტის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: finpolicy@mof.ge, ან წერილობითი შენიშვნების დეპარტამენტში მიტანით.

ფინანსთა მინისტრმა დაინტერესებულ პირებს მონაწილეობის მისაღებად ორი კვირა მისცა და, ამასთან, აღნიშნა, რომ ეს ძალზე მნიშვნელოვანი და სწრაფ ტემპში გასატარებელი პროცესია. მისივე ინფორმაციით, დაახლოებით სექტემბრისთვის ბიუჯეტი განსახილველად პარლამენტს წარედგინება, ამიტომ ამ ეტაპზე საგადასახადო კოდექსი უკვე მზად უნდა იყოს, ხოლო ამოქმედებით კოდექსი 2005 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.

რაც შეეხება საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზაციას მეზობელ ქვეყნებთან და ზურაბ ნოღაიდელის მოსალოდნელ ვიზიტს მოსკოვში, მინისტრმა განაცხადა, რომ შეხვედრა სექტემბრისთვის გადაიდო. **"ვიზიტის მიზანი იყო გავცნობოდით რუსების გამოცდილებას საგადასახადო კოდექსზე მუშაობის შესახებ, მაგრამ ამჟამად ჩვენ მოგზაურობებისთვის ნაკლებად გვცალია. ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენი ვიზიტი სექტემბრისთვის გადაგვედო,"** - აღნიშნა ნოღაიდელმა.

აღსანიშნავია, რომ საგადასახადო კოდექსის სამუშაო ვარიანტი საერთაშორისო სავალუტო ფონდმაც განიხილა. ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, ფონდის შეხედულებები მათთვის ახალ კოდექსთან დაკავშირებით, დაახლოებით, ერთ თვეში გახდება ცნობილი. **"სავალუტო ფონდის რეკომენდაციებიდან ჩვენთვის ყველაზე მისაღებს გავითვალისწინებთ",** — განაცხადა მინისტრმა.

გუშინვე ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, რომ აქციზის გადასახადის გაზრდასთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტრო საკუთარ პოზიციას ორ კვირაში ჩამოაყალიბებს. როგორც დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, აქციზის გადასახადის გაზრდის საკითხი გადაწყვეტილია, თუმცა, რამდენად მოიმატებს აღნიშნული გადასახადი, რამდენიმე გარემოებაზეა დამოკიდებული.

**"კოდექსის შემუშავების დროს ყველაფერზე მუშაობას რომ დავასრულებთ, გაკეთდება გაანგარიშება და მიღებული შედეგის მიხედვით გადაწყდება, რა მოცულობით უნდა გაიზარდოს აქციზი. აუცილებელია სხვა გადასახადების გაუქმებით გამოწვეული საგადასახადო შემოსავლების გარკვეული კომპენსირება. ეს ნაწილობრივ აქციზის გაზრდით, ნაწილობრივ კი ადმინისტრირების გაუმჯობესებით განხორციელდება,"** - განაცხადა ნოღაიდელმა.

მისი თქმით, გასათვალისწინებელია, რომ ფინანსთა სამინისტროს გადასახადების შემცირების პარალელურად, ხარჯების გაწევაც მოუწევს, რასაც შემოსავლები სჭირდება. **"აშშ-სთან მიმართებაში გადასახადების ამოღების 17,3-17,5-პროცენტიანი მაჩვენებელი უნდა შევინარჩუნოთ, აქციზის გადასახადის განაკვეთის გაზრდისას სწორედ ამას გავითვალისწინებთ,"** - აღნიშნა მან.

არაოფიციალური არხებით გავრცელებული ინფორმაციით, იგეგმება ერთ ტონა ბენზინზე არსებული 100-ლარიანი გადასახადის 300 ლარამდე გაზრდა და ერთ ტონა დიზელზე არსებული 50-ლარიანი გადასახადის 200 ლარამდე გაზრდა.

# ქართველ მეწარმეებს 1 მილიარდ 400 ათასი ლარის საგადასახადო დავალიანებები დაუგროვდათ

პირველი გვერდიდან

საუბარია თბილისში "მაუდის" ქარხნის პროდუქციაზე, ახალციხეში - სააქციო საზოგადოება "ახალდაბის", რუსთავში სააქციო საზოგადოება "ალეკოს", თელავში სააქციო საზოგადოებების - "სტთელავი", "იორი", ქუთაისში სააქციო საზოგადოება "სამტრედიის ჩაის", "საკონსერვო ქარხნის", შპს "მღვინევი"-ს ქონების გარკვეულ ნაწილზე. აუქციონს საოლქო ინსპექციები ჩაატარებენ.

საგადასახადო დეპარტამენტის ვადაგადაცილებულ დავალიანებათა ანალიზის და იძულებით გადახდევინების მეთოდების სამმართველოს უფროსის ამირან თავართქილაძის ცნობით, აუქციონზე გაირკვევა, გაიყიდება თუ არა აქტივები სასურველ ფასად. რვა ორგანიზაციიდან დეპარტამენტი 1 მილიონ 274 ათასი ლარის ამოღებას გეგმავს.

**"მაქსიმალურად ვცდილობთ, გადამხდელის ინტერესები დავიცვათ, ამიტომ შესაძლებლობას ვაძლევთ მათ, ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანება აუქციონამდე დაფარონ, თუნდაც აუქციონის ჩატარების ვადამდე ერთი წუთით ადრე..."** - ამბობს ამირან თავართქილაძე.

მისივე თქმით, **"არსებობს პრაქტიკა, რომლითაც დავალიანების მქონე საწარმოს აქციონერები კუთვნილ აქციებს რომელიმე სხვა ინვესტორს უყოფენ და ამ გზით ვალს ისტუმრებენ."**

საინტერესოა, რომ აუქციონების ჩატარების საშუალება საგადასახადო ინსპექციებს 2002 წლის დეკემბერში მიღებულმა "საგადასახადო კოდექსის" ე.წ. 42-ე თავმა მისცა რომლითაც დეპარტამენტს შესაძლებლობა აქვს, ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანება იძულების წესით ამოიღოს.

**"ცვლილების მიღებამდე ბიუჯეტის მოვალე ორგანიზაციები ან ბანკებს უვარდებოდათ ხელში, ან სხვა კრედიტორებს. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ინტერესები ილახებოდა. ახლა შეგვიძლია, დავალიანების მქონე საწარმოები გირავნობის რეჟიმში ჩავაყენოთ, სადაც სახელმწიფოს უპირატესი უფლება გამოკვეთილია,"** - განაცხადა თავართქილაძემ.

ცვლილების მიღების შემდეგ საგადასახადო დავალიანებების ამოღების მექანიზმი რამდენიმე საფეხურის გავლას ითვალისწინებს, რომელიც საგადასახადო ინსპექციის სარჩელის საფუძველზე სასამართლოს მიერ საწარმოს ქონების აუქციონის წესით გაყიდვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებით სრულდება. ამირან თავართქილაძე ამბობს, რომ თუ მეწარმეს გასაყიდი ქონება რაიმედ უღირს, იგი აუცილებლად შეეცდება დავალიანების დაფარვას (საგულისხმოა, რომ პირველ ეტაპზე მეწარმეს ეძლევა შანსი, საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმების საფუძველზე საგადასახადო დავალიანების დაფარვა 3 თვეზე "გაწეროს").

ცხადია, საწარმოს ქონების აუქციონის წესით გაყიდვის უფლებამ საქართველოს საგადასახადო სამსახურს დავალიანებების ამოღების რეალური ბერკეტი მართლაც მისცა, თუმცა დღეს, ალბათ, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, თუ რამდენად არის დაცული თავად გადამხდელის ინტერესი, რომელსაც, ხშირ შემთხვევაში, ძველი დავალიანებები განვითარების შანსს უსპობს. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ დღემდე საქართველოში საკმაოდ მაღალი საჯარიმო სანქციები მოქმედებს - გადასახადის გადახდის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დღეს მეწარმეს 0,15-პროცენტიანი საჯარიმო სანქცია ეკისრება, რაც წლიურად, დაახლოებით, 54 პროცენტს შეადგენს. მაშინ, როცა, მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნებში ანალოგიური მაჩვენებელი 0,1 - 0,8 პროცენტს შორის მერყეობს.

სხვათა შორის, საგადასახადო ლიბერალიზაციის იდეის პრეზენტაციის დროს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა იმის თაობაზე, რომ საქართველო ამ საჯარიმო სანქციის შეცვლასაც გეგმავს.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, მთავრობაში განიხილებოდა სანქციის 0,1 პროცენტამდე "დაყვანა", თუმცა, ეს მაჩვენებლი საბანკო კრედიტების წლიურ პროცენტს ბევრად ჩამოუვარდებოდა, რაც მეწარმეებს, ხელისუფლების წარმომადგენელთა აზრით, გადასახადების გადაუხდელობისკენ უბიძგებდა. ამიტომ, საჯარიმო სანქციებთან დაკავშირებით მისაღები ცვლილებების სამუშაო ვერსიაში გათვალისწინებულია 0,07-პროცენტიანი საჯარიმო სანქციის დაწესება, რაც წლიურ 24-25 პროცენტს, ანუ საბანკო სესხის პროცენტს უტოლდება. ეს ცვლილება, სავარაუდოდ, ახალ საგადასახადო კოდექსთან ერთად გახდება განსჯის საგანი.

გადამხდელებისთვის გაწეულ შეღავათზე საუბრისას ხელისუფლების წარმომადგენლები განსაკუთრებულად გამოყოფენ იმ ფაქტს, რომ მიმდინარე წელს საქართველოს პარლამენტმა მთავრობის ინიციატივით მიიღო კანონი "საგადასახადო დავალიანებათა და სასესხო ვალდებულებათა რესტრუქტურიზაციის შესახებ", რომელიც საწარმოებისთვის (რომლებიც გარკვეულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ) დავალიანებების, მინიმუმ, 15 წლით რესტრუქტურიზებას ითვალისწინებს. თუმცა ჯერჯერობით, ამ კანონით ქართველ ბიზნესმენებს არ უსარგებლიათ.

სამაგიეროდ, 2004 წლის 13 აპრილამდე საქართველოში მოქმედებდა "საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზების შესახებ" კანონი, რომლითაც საქართველოში დღეს რესტრუქტურიზების რეჟიმში 22 საწარმო მუშაობს და მათ 33 მილიონამდე საგადასახადო დავალიანება აქვთ "რესტრუქტურიზებული".

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ "ძველი" კანონის მოქმედების მანძილზე რესტრუქტურიზების რეჟიმში მომუშავე საწარმოთა 60-მა პროცენტმა, ოფიციალური ინფორმაციით, იმ კანონით მინიჭებულ ვადაში - სამ წელიწადში ვალებისგან "გასუფთავება" ვერ შეძლო. გავრცელებული ინფორმაციით, ეს გახლდათ კიდეც ახალ კანონში, მაქსიმუმ, 15-წლიანი რესტრუქტურიზების ვადის გათვალისწინების საფუძველი.

თუმცა, ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ რესტრუქტურიზაციის რეჟიმი გაკოტრების საქმის დაწყებას ხელს უშლის. გაკოტრების მექანიზმი, რომელიც ეკონომიკისთვის უფრო ჯანსაღი ბერკეტია, ვიდრე რესტრუქტურიზაციის პირობებში ხელოვნურად ჩაყენება. თუმცა ფაქტია, რომ ამ ეტაპზე პირველმა პოზიციამ გაიმარჯვა და ერთ-ერთი პირველი კანონი, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხელი მოაწერა, სწორედ რესტრუქტურიზების შესახებ კანონი გახლდათ.

რაც შეეხება წლების მანძილზე დაგროვილი დავალიანებების დაფარვის მასშტაბებს, ოფიციალური ინფორმაციით, საგადასახადო დეპარტამენტმა 2003 წელს 220 მილიონი ლარის ოდენობის ვადაგადაცილებული დავალიანების ამოღება შეძლო, 2004 წლის პირველ კვარტალში ეს მაჩვენებელი 47 მილიონ 400 ათას ლარს შეადგენს.

# ილჰამ ალიევი დიდი რეფორმებისთვის ემზადება

ბაქოში მყოფი მიმომხილველები ერთსულოვნად აცხადებენ, რომ აზერბაიჯანის სახელისუფლებო დაჯგუფებებს შორის არსებულმა დაპირისპირებამ ძალზე სერიოზული ხასიათი მიიღო. ჯერჯერობით, ნათელი არ არის, როდის გეგმავს ილჰამ ალიევი ზომების მიღებას. ეს, სავარაუდოდ, პრეზიდენტის პოზიციების გამყარებას გამოიწვევს. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი დაპირისპირებული მხარე საკუთარ თავს პროდემოკრატიულად წარმოაჩენს და, შესაძლოა, სწორედ ის აღმოჩნდეს ალიევის მოკავშირე, რადგან ახალმა პრეზიდენტმა თავის საგარეო-პოლიტიკურ მიზნებად ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანება გამოაცხადა.

მთავრობასა და პარლამენტში, რომელიც ილჰამ ალიევს "მემკვიდრეობით" მამამისისგან ერგო, მრავლად არიან არაკომპეტენტური და კორუმპირებული პიროვნებები. თუმცა, მთავარი პრობლემა ის არის, რომ ზოგი მათგანი პრეზიდენტის გაცილებით ერთგულია, ვიდრე დადებითი რეპუტაციის მქონე ზოგიერთი პოლიტიკოსი.

აზერბაიჯანის კონსტიტუცია პრეზიდენტს უფლებას აძლევს, რომ მთავრობა დაითხოვოს და თავის შეხედულებებისამებრ დანიშნოს მისი წევრები. მართალია, ალიევმა არაერთხელ განაცხადა, რომ იგი მინისტრების უმრავლესობას "კარგ და კვალიფიცირებულ პროფესიონალებად" მიიჩნევს და მნიშვნელოვან ცვლილებებს არ გეგმავს, მაგრამ ბაქოში ხმები ვრცელდება, რომ პრეზიდენტი კაბინეტს ძალიან მალე განაახლებს.

გასულ კვირას აზერბაიჯანულ გამოცემა "ზერკალოში" რაუფ მირკადიროვის სტატიები გამოქვეყნდა, სადაც აზერბაიჯანელი მიმომხილველი ამტკიცებს, რომ ილჰამ ალიევი მთავრობისა და საკანონმდებლო ორგანოს სერიოზულ გადახალისებას აპირებს. მირკადიროვის აზრით, პრეზიდენტი მთავრობის დათხოვნით დაიწყებს და ამის მეშვეობით ის "ყველაზე ოდიოზურ და გავლენიან ფიგურებს მოიშორებს თავიდან, რომლებიც არა მარტო მოსახლეობას, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობასაც აღიზიანებენ". ასევე მოსალოდნელია, რომ ალიევი სტრუქტურულ რეფორმებს დააჩქარებს, სამინისტროებს გააერთიანებს და ძალაუფლებას პრეზიდენტს, მთავრობასა და პარლამენტს შორის ხელახლა გადაანაწილებს. მთავრობის დათხოვნისა და ენერგიული კადრების დანიშვნით ალიევი, მოსახლეობის გარდა, საერთაშორისო თანამეგობრობის გულსაც მოიგებს.


გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ილჰამ ალიევი ძირეული ცვლილებებისთვის ემზადება.*

მთავრობისგან განსხვავებით, ალიევი, სავარაუდოდ, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს არ დანიშნავს. თუმცა, ალიევს კანონი ამის უფლებას აძლევს. მირკადიროვის მტკიცებით, ალიევი დიდ შეცდომად მიიჩნევს 2002 წელს მიღებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომლის თანახმად, 125-ვე საპარლამენტო მანდატი მომავალში მაჟორიტარული წესით უნდა განაწილდეს. პრეზიდენტთან დაახლოებული წყაროების თანახმად, მას საპარლამენტო მანდატების 200-მდე გაზრდა სურს, რომლიდანაც 150 პროპორციული წესით განაწილდება, ხოლო დანარჩენ ადგილებს მაჟორიტარები დაიკავებენ. ამ ცვლილებებს მოწონებით შეხვდებიან ეუთო და ევროპის საბჭო, ხოლო აზერბაიჯანის ოპოზიციას შანსი მიეცემა, შედარებით მეტი ადგილი მოიპოვოს პარლამენტში. ამას გარდა, მაჟორიტარების რაოდენობის შემცირება, მირკადიროვის აზრით, კრიმინალური კავშირების მქონე პარლამენტარების რიცხვს შეამცირებს, რომლებიც არჩევნების დროს თავიანთ ადგილებს, ფაქტობრივად, ყიდულობენ.

კონსტიტუციაში აღნიშნული ცვლილებების შეტანას რეფერენდუმი სჭირდება. მომავალი საპარლამენტო არჩევნები აზერბაიჯანში 2005 წელს არის დაგეგმილი და, მირკადიროვის თქმით, ალიევი რეფერენდუმს 2004 წლის შემოდგომაზე, ადგილობრივი არჩევნების პარალელურად დანიშნავს.

პარლამენტარებმა მოსალოდნელი ცვლილებების მოახლოება იგრძნეს და მთავრობის კრიტიკა უკვე ღიად დაიწყეს. 12 ივნისს "ზერკალოში", პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან, გოვჰარ ბახშალიევასთან ინტერვიუ დაიბეჭდა, სადაც ის ამბობს, რომ "მთავრობის მუშაობით კმაყოფილი არ არის". ბახშალიევა მმართველი პრტიის "იენი აზერბაიჯანის" წევრია. მან იქვე დასძინა, რომ "ოდიოზური მინისტრები უნდა შეიცვალონ!"

მაისის ბოლოს "რადიო თავისუფლებისთვის" მიცემულ ინტერვიუში პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა რამიზ მეხთიევმა აღნიშნა, რომ მთავრობასა და საკანონმდებლო ხელისუფლებაში ახალი თაობის მოსვლის დრო დადგა, რომელთაც სოციალური, პოლიტიკური და სამართლებრივი საკითხების მიმართ ახლებური მიდგომა ექნებათ, იმ ხალხის მოსვლის დრო, "რომელსაც დასავლური ყაიდის განათლება აქვს მიღებული და რომელსაც ქვეყნის მოდერნიზებისთვის აუცილებელი რადიკალური რეფორმების გატარება შეუძლია".

როგორც ბაქოელი ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რეფორმატორთა გუნდს სათავეში მეხთიევი ჩაუდგება და სწორედ მას დაუჭერს მხარს პრეზიდენტი. სავარაუდოდ, ბახშალიევა პარლამენტის ამჟამინდელ თავმჯდომარეს მურთუზ ალესკეროვს შეცვლის. ამის თაობაზე აზერბაიჯანული პრესა უკვე წერდა. აღსანიშნავია, რომ მმართველი პარტიის მეორე ფრთიდან მეხთიევზე თავდასხმები უკვე დაიწყო და მას აზერბაიჯანის პრეზიდენტის როლის დაკნინებაში დასდეს ბრალი. ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ უახლოეს მომავალში აზერბაიჯანში პოლიტიკურ ძალთა ახალი გადანაწილება აუცილებლად მოხდება.

# ჩეჩნეთში საერთაშორისო თანამეგობრობის ჩარევის დროა

თომას დე ვაალი
IWPR

პრეზიდენტ აჰმად კადიროვის სიკვდილის შემდეგ, ჩეჩნეთის ხელისუფლებაში ვაკუუმი შეიქმნა. აქედან გამომდინარე, უკვე ისმის კითხვა, ხომ არ დადგა საერთაშორისო თანამეგობრობის ჩარევის დრო? უკვე ათწლეულს ითვლის საბჭოთა იმპერიის ნგრევის შემდგომი ჩეჩნეთის სისხლიანი ისტორია. დღემდე საერთაშორისო საზოგადოება ჩეჩნეთის მიმართ რატომღაც "გულგრილი" რჩება. სტრატეგიის ცვლილების მიუხედავად, არ წყდება ძალადობა. 9 მაისს, გამარჯვების დღეს გროზნოს ცენტრალურ სტადიონზე განხორციელებული ტერაქტის შედეგად, ჩეჩნეთში მოსკოვის პოლიტიკის კიდევ ერთი გამტარებელი აჰმად კადიროვი დაიღუპა, რომელიც უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში რიგით უკვე მესამე ძალადობის მსხვერპლი პრეზიდენტია. თუმცა, ამჯერად კრემლი ჩეჩნეთთან მიმართებაში მართლაც რომ დაბნეულია. ჩეჩნეთისთვის კი ეს უკვე ისტორიის ახალი ფურცელია, რომელიც მას საუკეთესო შემთხვევაში - სასიკეთო ცვლილებებს, ხოლო უარეს შემთხვევაში - ქაოსის ტალღის ხელმეორედ შემობრუნებას უქადის.

აჰმად კადიროვი ჩეჩნეთ-რუსეთის პირველი ომის პერიოდში იჩქერიის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ჯოხარ დუდაევის აქტიური თანამოაზრე იყო და რუსეთის ფედერალური ჯარების ქმედებების წინააღმდეგ გამოდიოდა. თუმცა, რუსეთის ოთხწლიანი მცდელობების შემდეგ, იგი თანდათანობით რუსული პოლიტიკის მარიონეტად გადაიქცა.

მამას არც შვილი ჩამორჩა და რამზან კადიროვმა "[ჩეჩნეთის] პრეზიდენტის უსაფრთხოების სამსახურის" ულმობელი შეფის სახელი დაიმკვიდრა, სამსახურისა, რომელიც, ზოგიერთი წყაროს თანახმად, 12 000 კარგად შეიარაღებული პირისგან შედგებოდა.

პუტინისეული "ჩეჩენიზაციის" სტრატეგია კადიროვს შავი სამუშაოს შემსრულებლის ფუნქციას აკისრებდა, რაც რუსეთს ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის დამყარების საშუალებას აძლევდა.

კრემლის არჩევანი წარუმატებელი გამოდგა, რადგან პუტინის მიერ კადიროვისთვის ნდობის გამოცხადებამ რუსული არმიის გაღიზიანება გამოიწვია. უკმაყოფილება იმდენად ძლიერი იყო, რომ ჩეჩნეთში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, სავსებით შესაძლებელია, იგი მკვლელობის მოტივი გამხდარიყო.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თუ აქამდე რუსეთის პოლიტიკა ერთ კონკრეტულ პირზე იყო გათვლილი, დღეს მისი "თარგად" გამოყენება შეუძლებელია, თვით ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა ამჟამინდელი მინისტრის ალუ ალიხანოვის შემთხვევაშიც, რომელიც საპრეზიდენტო მარათონში აშკარა ფავორიტად განიხილება. წინამორბედისაგან განსხვავებით, იგი არც პოლიტიკური წონითა და ძლიერებით გამოირჩევა, რომ აღარაფერი ვთქვათ მის მიმართ კრემლის კეთილგანწყობაზე.

კადიროვის სიკვდილის შემდეგ შექმნილი პოლიტიკური ვაკუუმი უამრავი საფრთხის შემცველია, თუმცა, ეს სრულიად საპირისპირო ცვლილებების შესაძლებლობასაც არ გამორიცხავს. სავსებით რეალურია, 1999-2000 წლების მსგავსად, რუსეთის მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის განმეორებით ტერორიზირების საშიშროება.

რუსეთის შეიარაღებულ ძალებს ეჭვიც არ ეპარებათ, რომ ამ უთანასწორო ბრძოლაში უპირატესობა მათ მხარესაა, რადგან ჩეჩნები უკვე აქტიურ წინააღმდეგობას აღარ უწევენ და, ნაცვლად ამისა, მხოლოდ მცირემასშტაბიანი რეიდებით კმაყოფილდებიან. თუმცა, არ ღირს იმ ფაქტის იგნორირებაც, რომ ზომიერი ნაციონალისტი მასხადოვი და რადიკალური ისლამისტური შეხედულებების მქონე შამილ ბასაევი ჯერ კიდევ არ არიან "გაუვნებელყოფილნი". ამდენად, რუსული არმიის მიერ ჩეჩნეთში მიღწეული საბოლოო გამარჯვების აღნიშვნა ნაადრევია მაშინ, როცა თვითმკვლელების ტერაქტების სერია ჯერ კიდევ მოსალოდნელია.

მოსკოვის ხელისუფლებას შეეძლო ეღიარებინა, რომ მისმა ათწლიანმა მცდელობამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. თავისთავად ცხადია, რომ ეს კონფლიქტში საერთაშორისო ჩარევას გამოიწვევდა. ჩეჩნეთის ტრაგედიამ უკვე მიაღწია იმ წერტილს, როცა კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა, შესაძლებელია, ზოგიერთ საკითხზე შეთანხმებას მიაღწიონ.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის საკითხმა პრიორიტეტულობა დაკარგა და მისი დაუყოვნებელი გადაწყვეტა სასიცოცხლო მნიშვნელობის აღარ არის. ყოველ შემთხვევაში, ასეთი განცხადების სრულ საფუძველს თვით ჩეჩნების მიერ ამ საკითხის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები იძლევა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ჩეჩნეთმა ორჯერ შეძლო დამოუკიდებლობაზე თავისი პრეტენზიის გაცხადება, პირველად 1991-1994 და მეორედ უკვე 1997-1999 წლებში, მაგრამ ეს იმდენად ძვირი დაუჯდა მას, რომ შეუძლებელია ითქვას, სანუკვარი მიზნის მისაღწევად რამდენად მზად არიან ჩეჩნები, უახლოეს მომავალში მსგავსი მასშტაბის მსხვერპლი გაიღონ. კადიროვთან დაკავშირებული გამოცდილების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვი თანახმაა, ჩეჩნეთის ნებისმიერი ლიდერი მნიშვნელოვანი უფლებამოსილებით აღჭურვოს იმ პირობით, თუ ის დამოუკიდებლობისადმი სწრაფვაში ზომიერი იქნება.

ამდენად, თუკი სუვერენიტეტის საკითხმა აქტუალობა დაკარგა, რა რჩება პრიორიტეტულ საკითხებად? პირველ რიგში, ესენია უსაფრთხოებისა და ადამიანთა უფლებების საკითხი. რუსეთს კი მის სამხრეთ საზღვრებთან უსაფრთხოების პრობლემები ნამდვილად აქვს, ვინაიდან ესაა რეგიონი, რომელიც უამრავი თვითმკვლელი-ტერორისტის სამშობლოა. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მათ მიერ განხორციელებული ტერაქტების შედეგად, ასობით სამოქალაქო პირი დაიღუპა.

ჩეჩნეთის მშვიდობიანი მოსახლეობის წინაშე კი არსებითი პრობლემები დგას, ისეთი, როგორიცაა წამება, დაბომბვები და ადამიანთა გატაცებები. უამრავი ადამიანი დაიხოცა რუსეთ-ჩეჩნეთის ორი ომის განმავლობაში. ომში ჩადენილი დანაშაულების გამო, რუსეთში გასამართლებულთა შორის რეალური დამნაშავეები შეიძლება თითზე ჩამოსათვლელი იყოს.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში თამაშგარე მდგომარეობაში რჩება ორი ჯგუფი. პირველი - ჩეჩნეთის რიგითი მოქალაქეები, რომელთა აზრი ყველა შემთხვევაში იგნორირებულია და, მეორე - საერთაშორისო საზოგადოებრიობა, რომლის მონაწილეობაც ჩეჩნეთში მიმდინარე პროცესებში ფრიად შეზღუდულია.

დასავლეთის სახელმწიფოების მთავრობები ჩეჩნეთის თემაზე პრეზიდენტ პუტინის ემოციური განცხადებებით შეშფოთებულები არიან. თუმცა, ამჯობინებენ, თვალი დახუჭონ იმ უხეშ დარღვევებზე, რასაც ადგილი აქვს ჩეჩნეთის ტერიტორიაზე, იმ იმედით, რომ ჩეჩნეთის საკითხი საბოლოოდ მოგვარდება. საერთაშორისო საზოგადოებრიობის ამგვარი დუმილი საკმაოდ უცნაურია. მოსკოვში ჩეჩნეთის საერთაშორისო პრობლემად წარმოჩენა უყვართ, რადგან იგი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ფრონტს წარმოადგენს. თუმცა, იმავდროულად, რუსეთის ხელისუფალნი თავგამოდებით ამტკიცებენ, რომ ეს მათი "საშინაო პრობლემაა" და მესამე მხარე არ უნდა ჩაერიოს.

მაგრამ ასეთი დამოკიდებულება დიდხანს აღარ გაგრძელდება და საერთაშორისო თანამეგობრობის ჩარევის აუცილებლობის საკითხი, სავარაუდოდ, მალე დადგება.

# რუსეთი მილსადენების პრივატიზაციის წინააღმდეგ

ნიკა თარაშვილი

*რუსეთის ეკონომიკის აღმავლობა ნავთობის ექსპორტზეა დამოკიდებული. ენერგორესურსები ყოველთვის იყო და რჩება რუსეთის საგარეო-პოლიტიკური ზეგავლენის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად. თუმცა, პუტინის ეპოქაში მან კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა. სპარსეთის ყურის კრიზისმა, ნავთობზე ფასების მომატებამ და ევროპის რუსულ გაზზე მკვეთრად გაზრდილმა დამოკიდებულებამ, კრემლს დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური დივიდენდები მოუტანა. დღეისათვის, რუსეთიდან ევროპის ბაზარზე გადის არა მარტო რუსული, არამედ შუა აზიის ენერგორესურსების უდიდესი ნაწილი. ევროპაში მოხმარებული ბუნებრივი აირიდან 40 პროცენტი რუსული წარმოშობის ან რუსეთზე ტრანზიტით გამავალი გაზია. რუსეთს ენერგორესურსების ექსპორტის დივერსიფიკაციის სერიოზული გეგმებიც აქვს: დღის წესრიგში დგას ჩინეთისა და იაპონიის ენერგობაზრების ათვისება. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში სრულიად ლოგიკურად ჟღერს მეზობელ ქვეყნებში სტრატეგიული ობიექტების პრივატიზაციის აქტიურად მხარდამჭერი რუსეთის სურვილი, თავის ტერიტორიაზე გამავალ ძირითად მილსადენებზე სახელმწიფო კონტროლი შეინარჩუნოს.*



*რუსეთი მილსადენებზე კონტროლს არ თმობს.*

რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრი ნავთობსადენების კერძო მფლობელობაში გადაცემის წინააღმდეგ გამოდის. "კერძო მილსადენების თაობაზე დღეს საკითხი არ დგას," - განუცხადა ჟურნალისტებს ტალინში მყოფმა პრემიერ-მინისტრმა.

ამავდროულად, მისი თქმით, აუცილებელია ნავთობსაბადოების დაზვერვითი სამუშაობის განვითარება. ამასთან დაკავშირებით, პრემიერ-მინისტრი ამბობს, რომ კერძო კომპანიებს, მათ შორის - უცხოურს, ფართო შესაძლებლობები ექნებათ, რათა ინვესტიციები სწორედ გეოლოგიურ სამუშაოებში დააბანდონ. თუმცა, ფრადკოვი ხაზს უსვამს, რომ კერძო კომპანიებს არსებული სახელმწიფო მილსადენების გამოყენების საშუალებას მისცემენ, ხოლო ამ ეტაპზე ვინმესათვის ნავთობსადენების გადაცემაზე საუბარიც კი არ არის.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე რუსეთის მთავრობის მეთაურმა მილსადენების პრივატიზაციასთან დაკავშირებით თავისი უარყოფითი დამოკიდებულება უკვე გამოხატა. 9 აპრილს მან განაცხადა: "ეს ჩვენი ინფრასტრუქტურა და უპირატესობაა კონკურენციის პირობებში. ამას უნდა გავუფრთხილდეთ." უპირატესობა რომ მართლაც ძალიან დიდია, ნათელი ხდება, თუ ცენტრალური აზიის ენერგორესურსების ტრანსპორტირების დღევანდელ მარშრუტს გადავხედავთ - დღეს ევრაზიის კონტინენტის ენერგორესურსებით უმდიდრესი ნაწილი ამ რესურსების მთავარ მომხმარებელს - ევროპას რუსეთის მილსადენების საშუალებით უკავშირდება.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში, რუსეთის მთავრობაში ბუნებრივ რესურსებზე სახელმწიფო კონტროლის სრული დამყარების ერთგვარი ტენდენცია გამოიკვეთა. ფრადკოვმა ერთ-ერთ თავის გამოსვლაში, ასევე, უარყოფითად შეაფასა ტყის რესურსების გასხვისებაც. ფრადკოვის თქმით, არსებობს გრძელვადიანი არენდის შესაძლებლობა და, შესაბამისად, ტყის მასივების საკუთრებაში გადაცემის აუცილებლობაც აღარ არის. მისი აზრით, ეს "არაპროდუქტიული ნაბიჯია". მანამდე მთავრობამ მთლიანობაში მოიწონა სატყეო კოდექსის ახალი რედაქცია, რომელიც კერძო საკუთრების ზოგიერთ ელემენტს ითვალისწინებს.

ნიშანდობლივია, რომ რუსეთის მთავრობის მეთაური ამგვარ განცხადებებს ტალინში აკეთებს. მიხაილ ფრადკოვის ესტონეთის დედაქალაქში ვიზიტი კვირას დაიწყო, სადაც 21 ივნისს ბალტიის აუზის ქვეყნების საბჭოს სხდომაში იღებდა მონაწილეობას.

ეს უკვე რიგით მეხუთე სხდომაა, რომელშიც ბალტიის აუზის ქვეყნების საბჭოს წევრების მთავრობის მეთაურები მონაწილეობენ. შეგახსენებთ, ეს ორგანიზაცია 1992 წელს შეიქმნა და მასში 11 ქვეყანაა გაერთიანებული: რუსეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, პოლონეთი, გერმანია, ფინეთი, შვედეთი, დანია, ნორვეგია და ისლანდია. ამ ორგანიზაციის წევრთა უმეტესობა დღეს უკვე ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრია. გუშინდელი სხდომა, ევროკავშირის გაფართოების შემდეგ, ორგანიზაციის პირველი შეკრებაა და დღის წესრიგში ძირითადი ადგილი რეგიონის განვითარებაში აღნიშნული საბჭოს შესაძლო როლის განხილვას უკავია. სხდომაზე ფრადკოვი აქტიურად ცდილობდა, ორგანიზაციის მომავალზე გამოთქმული ეჭვები გაექარწყლებინა და აცხადებდა, რომ "ეს საკმაოდ ეფექტური რეგიონული ორგანიზაციაა, რომელიც გაფართოებულ ევროპაში ფუნქციონირების შესაძლებლობას გამონახავს".

ტალინში მყოფ ფრადკოვს რუსეთ-ესტონეთის ურთიერთობების კიდევ ერთი საკითხზე მოუწია პასუხის გაცემა. საქმე "საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში მიყენებული ზარალისათვის" ესტონეთის მიერ კომპენსაციის მოთხოვნას ეხება. ფრადკოვის თქმით, ამგვარი საკითხი განსახილველად არც უნდა დამდგარიყო. პრემიერის განმარტებით, ეს მხოლოდ რუსეთ-ესტონეთს არ ეხება და იგი მრავალმხრივ ფორმატში უნდა იქნეს განხილული. თუმცა, პრემიერმა იქვე დასძინა, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ თემაზე მუშაობს.

# ირანში ჩილიმის აკრძალვას აპირებენ

ბრიტანული ტელეკომპანია "ბიბისი" იუწყება, რომ ირანელმა მაღალჩინოსნებმა ყველა რესტორანსა და გასართობ ადგილზე ჩილიმის მოწევის აკრძალვა გადაწყვიტეს. ახლო აღმოსავლეთში ჩილიმის მოწევა ძალზე პოპულარულია და ეს საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებულ ტრადიციას წარმოადგენს.

თეირანის კაფეებისა და ჩაიხანების ირგვლივ თამბაქოს ტკბილი სურნელი მუდამ დგას. თუმცა, სამართალდამცველების გეგმით, მალე ამას წერტილი დაესმება. იმათ, ვისაც ჩილიმის მოწევისას წაუსწრებენ, დიდი ჯარიმა და ჩილიმის კონფისკაცია ელით. მცირე ხნით რესტორანში გამოიყოფა ოთახები, სადაც მხოლოდ კაცებს ექნებათ უფლება, თავი შეიქციონ.

საზოგადოებისთვის გაუგებარია, რატომ აკრძალა ხელისუფლებამ ასე პოპულარული გასართობი. ოფიციალური განმარტების თანახმად, ეს ყველაფერი საზოგადოების ჯანმრთელობის დასაცავად კეთდება, თუმცა, იმავე სიგარეტის მოწევა გაცილებით ვნებს ჯანმრთელობას. ჩილიმს ნარკოტიკებთან კავშირი არ აქვს.

როგორც მიმომხილველები ამბობენ, ხელისუფლება კანონების გამკაცრებისათვის ემზადება, რადგან, მათი აზრით, საზოგადოება გარყვნილების მორევში ეფლობა. თანაც, ახალგაზრდობა, რომელიც პოლიტიკურად აქტიურია, შეკრებებს სწორედ ჩილიმის გარშემო აწყობს. შეყვარებულებიც ხშირად ჩილიმთან ერთად არჩევენ განმარტოებასა და ინტიმურ საუბარს.

თუმცა, ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ ამ კანონის ამოქმედება ვერ მოხერხდება, რადგან ჩილიმი პოპულარული კულტურის ნაწილია.

ფოსტა

# პარლამენტო, ჩვენზე ზრუნვით გათეთრებულო!

*(ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს და იმ 112 დეპუტატს, რომლებმაც 2004 წლის 15 ივნისს მხარი დაუჭირეს თავისი ხელფასის 1300 ლარამდე გაზრდას)*

საქართველოს ახლანდელი პარლამენტის (თუმცა არც წინა პარლამენტი იყო ამ საკითხში მორცხვი და მორიდებული) "შემოქმედებით" მუშაობაში ერთი ასპექტი მკვეთრდ გამოიხატა: რაც შეიძლება სწრაფად გაიუმჯობესოს საკუთარი სოციალური მდგომარეობა და ამით ქართული ანდაზა გაამართლოს: "ჯერ თავო და თავოო.."; ის კი ავიწყდებათ, რომ საქართველოში არსებული 3 თუ 4 მილიონის თავებზე ზრუნვა მათ აკისრიათ და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება მათი უპირველესი მოვალეობაა.

ჩემი და სრულიად საქართველოს (112 პარლამენტარისა და მათი ოჯახების გამოკლებით) განწყობა გასაგებია: აღშფოთებული ვართ ამ უმსგავსი საქციელით (რასაც, ალბათ, ბატონმა პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმაც დაუჭირეს მხარი - აბა სხვაგვარად ეს სამარცხვინო მოქმედება არ განხორციელდებოდა). აღშფოთება არც ხათუნა გოგორიშვილის გოდებამ გაგვინელა: თურმე შარშან ბენზინის უქონლობის გამო ნინო ბურჯანაძეს დაცვის მანქანით უხდებოდა გადაადგილება.

ბატონო პრეზიდენტო, ბატონო პრემიერ-მინისტრო!

თქვენი ზრუნვა საქართველოს მოსახლეობაზე პენსიების 3 ლარით გაზრდაში გამოიხატა, თუმცა "ახლობლებისათვის" (იგულისხმება პარლამენტი, კანცელარია) წუხილი ბიუჯეტიდან სრულიად შეუსაბამო ხელფასების გაზრდით აღინიშნა. დაელაპარაკეთ ამ საკითხზე ნებისმიერ გამვლელს, ჩაატარეთ რეფერენდუმი და დააფიქსირეთ შიდა პოლიტიკაში საკუთარი მარცხი!

ჩემს დამოკიდებულებას არსებული სოციალური პოლიტიკისადმი შემდეგი კითხვებით თუ შენიშვნებით გამოვხატავ:

1. რას აკეთებს 237 კაციანი პარლამენტი? აშშ-ს 300 მილიონიან მოსახლეობას 600 კაციანი კონგრესი ჰყავს; ე.ი. 1 მლნ მცხოვრებზე 2 კონგრესმენი მოდის. საქართველოს პარლამენტში ამ პროპორციით 8-10 კაცი უნდა იყოს. კარგი, იყოს 20, 30 ან 40 კაციანი პარლამენტი, მხოლოდ იურისტებითა და ეკონომისტ-ფინანსისტებით დაკომპლექტებული. ხომ არ გეჩვენებათ (ჩვენ კი ნამდვილად ასე ვფიქრობთ), რომ ჩვენი პარლამენტი მისი არაპროფესიონალიზმის გამო, საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოს ემსგავსება, რომლის დეპუტატებიც ძირითადად სოფლის მეურნეობის მშრომელები იყვნენ. ისინი მშრომელები მაინც იყვნენ, ზოგიერთი მათგანი შრომის გმირიც და გარკვეული დამსახურება ჰქონდათ ერისა და ქვეყნის წინაშე. ახლა კი... ბოროტი ენები იმასაც კი ამბობენ, რომ ზოგიერთი დეპუტატის შრომის წიგნაკი პარლამენტში გაიხსნაო?! რა ნიშნით აჯილდოვებთ 1300 ლარიანი ხელფასებით პარლამენტარებს? იმ ნიშნით ხომ არა, რომ წვიმაში იდგნენ ვარდების რევოლუციის დროს? სხვა 100.000-ობით საქართველოში მცხოვრები არ გიჭერდათ მხარს? ისინი აღარ გაინტერესებთ? არ გეჩვენებათ შურაცხმყოფელად ის, რომ არავითარო დამსახურების მქონე ადამიანს თვეში 1300 ლარს უნიშნავთ, ხოლო დამსახურებულ და პატიოსან მოქალაქეებს ქუჩაში უშვებთ 14 ლარით (უკაცრავად, შემეშალა - 17 ლარით)? მეტყვით, არ გვაქვს საშუალებაო. მჯერა, მაგრამ რატომ ქმნით ხელოვნურად ასეთ დაპირისპირებას პარლამენტსა და ხალხს შორის? სახელმწიფოს სიღარიბე პარლამენტართა და მთავრობის წევრთა ხელფასებზეც უნდა აირეკლოს (გამონაკლისი, ალბათ, ძალოვანი სტრუქტურები უნდა იყოს).

2. რამდენიმე ახალგაზრდა (რომ არა ვთქვა, ნორჩმა) მინისტრმა სიხარულით გვაუწყა, რომ სამინისტროების თანამშრომლების რაოდენობას გაანახევრებენ და დარჩენილი ნახევარი მშვენივრად შეძლებს საქმის გაკეთებასო. სამსახურიდან დათხოვნილ ნახევარზე არც ერთ მინისტრს არაფერი უთქვამს და ეჭვი არ მეპარება, რომ ბევრი მათგანი ბევრად უფრო დამსახურებულია, ვიდრე თქვენს საყვარელ პარლამენტში მოხვედრილი, მანამდე კი სამუშაო სტაჟის არ მქონე ნებისმიერი პროფესიის (თუ უპროფესიო) ადამიანი, რომლის ერთადერთი დამსახურება მორჩილ უმრავლესობაში ყოფნაა.

3. ამიხსენით, რა მექანიზმს ექვემდებარება სახელმწიფოს მართვაში ის დებულება, რომლის მიხედვითაც პარლამენტი თავის თავისთვის ხელფასს ინიშნავს და აორმაგებს? ეგებ ეს მთავრობამ მაინც "იტვირთოს" და ასეთი გულუხვი არ იყოს "კანონშემოქმედთა" მიმართ?

4. გაოცებას იწვევს სატელევიზიო არხების დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი. ყოველი მათგანი ტრაბახობს, რომ ყოველთვის მყისიერი რეაქცია აქვთ ყოველგვარ უმსგავსობაზე; 1300 ლარიანი ხელფასი კი გამორჩათ მხედველობიდან. ალბათ, იმიტომ, რომ თვითონაც მაღალი ხელფასები აქვთ, მცირეხელფასიანები კი მათი ყურადღების მიღმა რჩებიან, უთუოდ როგორც დაბალი რანგის და არასაინტერესო ადამიანები.

5. დაბოლოს, ჩემი (და არა მარტო ჩემი) შენიშვნა, რომელიც შეიძლება რჩევად ან გაფრთხილებად მიიღოთ: საქართველოში მცხოვრები ხალხი დაცინვას და აბუჩად აგდებას არც ერთ მთავრობას არ აპატიებს - ამის დასტური ვარდების რევოლუციაც იყო.

6. ერთი თხოვნაც: გამოაქვეყნეთ იმ 112 დეპუტატის სია, რომელმაც ასე დაუფიქრებლად და პარლამენტის ავტორიტეტის სრული დაცემით ხმა მისცა 1300 ლარიანი ხელფასის დანიშვნას (თუმცა, პარლამენტის სრული დისკრედიტაციისათვის ჩაქვის "ოაზისში" მიმავალი მატარებლის მგზავრები - ჭრელხალათიანი ქალები და მაისურიანი კაცები იყო სრულიად საკმარისი).

***რუსუდან ენუქიძე***
*თსუ პროფესორი*

# კოდორის (დალის) ხეობის მოსახლეობის ღია წერილი გაზეთ "24 საათს"

ძვირფასო რედაქციავ,

ჩვენი დიდი აღშფოთება გამოიწვია ა.წ. 14 ივნისის გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულმა სტატიამ "დაპირისპირება კოდორის ხეობის ყოფილ და ახლანდელ ხელმძღვანელებს შორის".

საოცარია, როგორ დაუთმო "24 საათის" რედაქციამ ადგილი ამ ავყია მოკალმის ლიტერატურულ ნავარჯიშევ-ნაცოდვილარს, სადაც არაფერი არ არის, გარდა ღვარძლისა, შხამგესლისა, შურის, ღირსეული ადამიანებისადმი ცოფმორეული სიძულვილისა. ნუთუ არავინ არ აღმოჩნდა რედაქციაში ისეთი, რომელიც ჭკუას ასწავლიდა, რჩევა-დარიგებას მისცემდა ამ საკუთარ თავზე შეყვარებულ თავხედს.

"მე მზად ვარ, ხელისუფლების ყველა დავალება შევასრულო, სამხედრო ხაზით იქნება თუ სხვა"... "მე თავის დროზე ხატზე დავიფიცე, რომ ხალხის გვერდით ვიდგებოდი," - ამბობს ნუგზარ ფანგანი. შე დალოცვილო, თუ ხატზე არ დაიფიცე, ისე ქართველი კაცი არ უნდა იდგეს ერისა და ქვეყნის სამსახურში, ან ვინც ხატზე დაფიცებული არ არის, ის ნაკლები პატრიოტია თავისი ქვეყნისა და ნაკლები უკეთებია ერის საკეთილდღეოდ? თუკი თანამდებობისთვის ხარ გაგიჟებული და გადარეული, ამის გულისთვის ჩირქი უნდა მოსცხო ერისა და ქვეყნის სასახელო შვილებს: "ემზარ კვიციანი გმირი არ არის", "ემზარ კვიციანი არასოდეს იმყოფებოდა კოდორის ხეობაში", "ის სამხედრო ოპერაცია, რომელსაც ემზარ კვიციანი ხელმძღვანელობდა, მარცხით დასრულდა - მან ყველაფერი წააგო" და ა.შ.

პატივცემულო რედაქციავ, ძვირფასო მკითხველო, ამ სტრიქონების ავტორი, გულახდილად ვთქვათ ყველამ, ხომ არ არის ადეკვატური? ხომ არ არის სასწრაფოდ სამკურნალო, სხვა ამას რა დავარქვათ. თუ ემზარ კვიციანი კოდორში არ იყო და მას არაფერი არ გაუკეთებია, კოდორის ხეობა დედა სამშობლოსათვის აფხაზებსა და რუსებს ჩვენთვის უჩუქებიათ და ამდენი მსხვერპლი არ ყოფილა. რაღაც პრიმიტივის დონის ლოგიკა ხომ მაინც უნდა იყოს, თუნდაც ერთუჯრედიანი იყო.

პატივცემულო რედაქციავ, ძალიან გვაშფოთებს და გვაწუხებს ასეთი განუკითხავი სიტუაცია. რა ვასწავლოთ ჩვენს შვილებს, რომ "დიდგორი" ყივჩაღებმა მოიგეს"? რომ "პრეზიდენტი გამსახურდია მისმა უახლოესმა ადამიანებმა (ვინც სიცოცხლე გაწირა) მოკლეს"? ჩვენი ერისა და ქვეყნის სასახელო ეროვნული გმირი ემზარ კვიციანი კოდორში ნამყოფი არ არის? ცოცხალი კლასიკოსის ჭაბუა ამირეჯიბის კალამს "არ ეკუთვნის "დათა თუთაშხია"? მსოფლიოში ცნობილი მთამსვლელი (რომლის ასვლაც ვიდეოფირზეც კი არის დაფიქსირებული) გია თორთლაძე ევერესტზე არ ყოფილა? და ა.შ. (თუმცა ბატონი გია არ აჰყვა ამ მითქმა-მოთქმას და ხელმეორედ დაიპყრო მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი), ბატონმა ჭაბუამ ახალი ნაშრომებით გააჩუმა დემაგოგები, მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ საქართველოს პირველ პრეზიდენტს, სამწუხაროდ, ვერ გავაცოცხლებთ, რომ ვკითხოთ, ვინ ესროლა? რა ვუყოთ კოდორის ხეობის მოსახლეობის გმირული ეპოპეის დღეებს? საბედნიეროდ, "ამას ხელახლა ვერ გავიმეორებთ", მით უმეტეს ამ პერიოდში, როცა დღეს-ხვალ უნდა მოხდეს აფხაზებსა და ქართველებს შორის შერიგება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასრულება და ახალი, მართლაც თანამედროვე დონის, ცხოვრების დასაწყისი.

ძვირფასო მამულიშვილნო! რა ხდება? ნუთუ იმისთვის ვარსებობთ, ვცხოვრობთ, ვიღვწით, რომ ერთმანეთი ვჯიჯგნოთ? ვჭამოთ? გავამწაროთ? თავს ლაფი დავასხათ? არ დავზოგოთ ერთმანეთი? ვლანძღოთ? ვაგინოთ? დავერიოთ? გავანადგუროთ ყველაფერი, რაც კი ჩვენს წინაპრებს შეუქმნიათ? მტრის წისქვილზე წყალი დავასხათ?

ძვირფასო რედაქციავ, პატივცემულო მკითხველო, დავიღალეთ ჩვენ, კოდორის ხეობის მაცხოვრებლები, დაიღალა მთელი ერი და ქვეყანა ამ ჭორიკნების ხელში.

თქვენი გაზეთის საშუალებით მოვუწოდებთ და ვთხოვთ ყველა ქართველს, ერთობლივი ბრძოლა გამოვუცხადოთ ასეთ უხამს პასკვილანტებს. თუ იყო ლოზუნგი "საქართველო შევარდნაძის გარეშე", "აჭარა აბაშიძის გარეშე", ამჟამად "სამაჩაბლო და აფხაზეთი სეპარატისტების გარეშე", ამავე დროს ყველგან და ყველა დონეზე უნდა იყოს მთავარი ლოზუნგი - "საქართველო ინტრიგნების - დემაგოგების გარეშე".

***კოდორის (დალის) ხეობის მცხოვრებლები:***

***ი.ჩოფლიანი, მ.ხარზიანი, ნ.კვიციანი, გ.გვარძიანი, ვ.ჩოფლიანი, ნ.გერლიანი, ნ.გუგუსიანი, რ.ჭკადუა, რ.გუგუსიანი, ბ.კვიციანი, ნ.კოპალიანი, რ.წიფიანი, რ.კორძაია, ლ.კორძაია, ლ.წულუკიძე, ვ.ჯანხოთელი, რ.პირველი, მ.პირველი, ი.ხარზიანი, მ.წიფიანი***

# ქვიშხეთელები მსოფლიო ფონდის პროგრამაში

თამარ ჯიშკარიანი

*16 წლის სოფო ნოზაძე ნახევარ ჰექტარზე გაშენებულ პლანტაციაში ყოველდღე გულდასმით მუშაობს. თანატოლებთან ერთად დისკოთეკებზე გართობას იგი შვიდი ოჯახისგან შექმნილ კოოპერატივ "სალბიში" ფუსფუსს ამჯობინებს. მარტში დათესილი საგაზაფხულო კულტურებიდან სოფო განსაკუთრებულად გვირილებს სწყალობს და, როგორც ამბობს, მოსავალსაც მალე აიღებს.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*"სალბი" სამკურნალო მცენარეების მოპოვების ახალი მეთოდის პიონერია.*

**"გვირილების შეგროვება პატარაობიდანვე მიყვარდა. გაგონილი მქონდა მათი სამკურნალო თვისებების შესახებ; თანაც ამოსაცნობადაც ყველაზე იოლი საქმიანობა იყო. ახლა მცენარეებზე უფრო მეტი რამ ვიცი. მომავალში სამედიცინო ცოდნის მიღება მინდა, ალბათ - უფრო ფარმაცევტიკის განხრით",** - ამბობს სოფო ნოზაძე.

სამკურნალო მცენარეების ამოცნობა და მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება ხაშურის რაიონის სოფელ ქვიშხეთის მკვიდრს სოფო ნოზაძეს დედამ, მანანა მჭედლიშვილმა, პროფესიით მედდამ ასწავლა. მათი ოჯახი ქვიშხეთის კოოპერატივში გაერთიანებული შვიდი ოჯახიდან ერთ-ერთია, რომლებიც ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის წარმომადგენლობისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ერთობლივი პროექტის, "სამკურნალო მცენარეების რესურსების მდგრადი გამოყენება კავკასიის რეგიონში", მონაწილენი გახდნენ.

კავკასიის რეგიონში სამკურნალო მცენარეები მოპოვება და გამოყენება ოდითგანვე იცოდნენ. დრომ მცენარეებით მკურნალობის მეთოდებშიც ცვლილებები შეიტანა; სიდუხჭირემ კი ბევრი მათგანი გადაჯიშების პირას მიიყვანა.

**"ბოლო დროს, კავკასიის ქვეყნებში არსებულ გაჭირვების ფონზე, ამ მცენარეების არანორმალური მოპოვება და ბუნებისაგან ბრაკონიერული წაგლეჯვა დაიწყო. ზოგი მცენარე ერთმანეთს ძალიან ჰგავს და მათი აღრევა და, შესაბამისად, არასწორი გამოყენებაც ხდებოდა. ჩვენ გაგვიჩნდა იდეა - შეგვემუშავებინა ისეთი პროექტი, რომელიც ამ მცენარეებზე არა მარტო ეკოლოგიურ მონიტორინგს დააწესებდა, არამედ იმ მოსახლეობას, რომელიც სამკურნალო მცენარეებით მდიდარ რეგიონში ცხოვრობს, სოციალური თვალსაზრისითაც მოუტანდა სარგებლობას",** - ამბობს პროექტის ხელშეწყობის რეგიონული კოორდიანტორი ზაზა გამცემლიძე. მისი თქმით, აღნიშნული პროექტის ხანგრძლივობა 36 თვეა, ხოლო ბიუჯეტი 480 000 აშშ დოლარს შეადგენს.

პროექტის შემუშავება 2002 წელს დაიწყო და საბოლოოდ კავკასიის სამი რეგიონი შეირჩა: საქართველოში სოფელი ქვიშხეთი (სიმაღლე 600 მ. ზღვის დონიდან, მოსახლეობა 5000), სომხეთში - ცამაკაბერდი (1500 მ./ 950) და აზერბაიჯანში სოფელი თოფჩუ (650 მ./ 1361). როგორც ირკვევა, ეს რეგიონები, ტარდიციულად, სამკურნალო მცენარეების გამოყენების თვალსაზრისით, ყველაზე აქტიურია. ამ სოფლებში ჩამოყალიბდა კოოპერატივები, რომლებშიც სამკურნალო მცენარეების პლანტაციებიც კი გააშენეს.

პროექტის ფარგლებში, უკვე განისაზღვრა სამკურნალო მცენარეების რესურსების მდგრადი გამოყენების ძირითადი მიმართულებები; შეიქმნა მეთოდური ლიტერატურა; ადგილობრივი მეწარმეებისთვის ტარდება ტრეინინგები; დაარსდა ვებ-გვერდი; ამუშავდა სამკურნალო მცენარეების მოპოვებისა და მარკეტინგის ძირითადი მიმართულებებიც, რომლებიც კონსულტანტების მიერ დადგენილი პრიორიტეტების მიხედვით ხორციელდება. პროექტის მიხედვით, სამკურნალო მცენარეების მოპოვება ეკოლოგიურად სუფთა რეგიონებში ხდება. საქართველოში დღეს შესაძლებელია ნაცარას, მურყანას, კოწახურის, შავი კუნელის, ძირტკბილას, უკვდავას, ხარისძირას, ქაცვის, ნეგოს, ასკილის, ტირიფის, ცაცხვის, ჭინჭრის, დიდგულას, მოცვის მოპოვება. სხვათა შორის, საწარმოს შექმნის შემდეგ არ არის გამორიცხული ამ მცენარეებით დიეტური და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის დამზადება - მაგალითად ჯემების, მურაბების, შერეული ნაყენების, ჩაის და ა.შ.

"სალბი" კი სამკურნალო მცენარეების მოპოვების ახალი მეთოდის პიონერია. ქვიშხეთში სახელდახელოდ გაშენებულ პლანტაციაში სექტემბერში გვირილის, ანისულის, გულყვითელას, ქრისტესისხლას, ზაფრანას, ლავანდის, ბალის ტიტას, პარამბოს, როზმარინის, სალბის მოსავალსაც მოიმკიან...

# "სიცოცხლეში" შიმშილობენ

*21 ივნისს შპს სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის - "სიცოცხლეს" თანამშრომლებმა შიმშილობა დაიწყეს. ისინი უნდობლობას უცხადებენ დირექტორს ლია დეკანოსიძეს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს: ონიანს და დიხამინჯიას. მოშიმშილეთა მოთხოვნებია: დაბრუნდეს სამსახურში ყოვლად უსაფუძვლოდ გათავისუფლებული ექვსი თანამშრომელი; შეწყდეს ადამიანთა უფლებების შემლახავი ყოვლად უსამართლო მანიპულირება ქონების მართვის სამინისტროდან; გაუქმდეს სამეთვალყურეო საბჭო და წავიდეს დირექტორი თავის მდივანთან ერთად.*

თამარ ჯაჯანიძე

შპს სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრ "სიცოცხლედან", რომელიც ადრე რკინიგზის №2 პოლიკლინიკა იყო, 2004 წლის 5 მარტს ექვსი თანამშრომელი გაათავისუფლეს. საფუძველი შრომითი კონტრაქტის ვადის ამოწურვაა. აღნიშნული ხელშეკრულება, დირექტორის ინიციატივით, ყოველ ექვს თვეში ერთხელ იდება და ითვალისწინებს ყოველთვიურად 60 ლარის გადახდას. შრომით კონტრაქტებს ამ დაწესებულების თანამშრომლები 2003 წლის სექტემბრიდან დებენ. ეს ის დროა, როცა დაინიშნა ახალი დირექტორი ლია დეკანოსიძე. თანამშრომლები მის დანიშვნას ქონების მართვის სამინისტროში პარტნიორთა კრებაზე ზეწოლას და ცრუ დაპირებებს უკავშირებენ.

ექიმებისთვის გაურკვეველია, თუ რა პრინციპით ხელმძღვანელობს დირექტორი თანამშრომლების შერჩევისას. მან გაათავისუფლა ხუთი პენსიონერი ხანდაზმულობის მიზეზით და იმავე დროს მიიღო სამსახურში 72 წლის ქალბატონი. თანამშრომლებს ეჭვი აქვთ, რომ დეკანოსიძე თავის თანამზრახველებთან ერთად ხელოვნურად ცდილობს, პოლიკლინიკაში დაამყაროს დაძაბული, არაჯანსაღი ატმოსფერო. ისინი ფიქრობენ, რომ ყოველივე რაც ამ პოლიკლინიკასთან დაკავშირებით ბოლო წლებში ხდება შენობის ხელში ჩაგდების სურვილითაა განპირობებული. ამასთან, დირექტორი მიზანმიმართულად აძლიერებს სამეთვალყურეო საბჭოში თავის მომხრეთა რაოდენობას.

"ჩვენი სამედიცინო დაწესებულება 60 წელი ემსახურებოდა რკინიგზელებს. ექვსი წლის წინ რკინიგზის დეპარტამენტმა უარი გვითხრა მომსახურებაზე. მას შემდეგ კონტინგენტი არ გვყავს. არც სახელმწიფო პროგრამებში ვართ ჩართული. ამ დროიდან დაიწყო ჩვენზე ზეწოლა, ძირითადად - ქონების მართვის სამინისტრიდან, სადაც არაერთხელ მოურიდებლად გვითხრეს, - თქვენი უბედურებაა შენობა ასეთ პრესტიჟულ ტერიტორიაზე რომ არისო (გამსახურდიას გამზირი). ქონების მართვის სამინისტრო ღიად აცხადებს, რომ მას სჭირდება თავისი წარმომადგენელი, რომელიც მის პოლიტიკას გაატარებს. ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის დღიდან დაიწყო თანამშრომლებზე ტერორი, უკიდურესად დაიძაბა ურთიერთობები, ყოველდღიურად იქმნება კონფლიქტური სიტუაციები. დავიღალეთ ყოველდღიური ნერვიულობით, დამცირებით და შეურაცხყოფით. 2004 წლის თებერვალში დირექტორმა ყოვლად დაუსაბუთებლად მოითხოვა ხელშეკრულების გადასინჯვა, რათა ზოგიერთი ექიმისთვის მოემატებინა გადასახადი. ამ ქმედებით დირექტორი ახდენს თანამშრომელთა დიფერენცირებას პირადი ინტერესების მიხედვით. იმუქრება, რომ ვინც ვერ მოახერხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გამომუშავებას, გაუუქმებს ხელშეკრულებას ანდა, სულაც - კაბინეტს. არადა, მისი მოსვლის დღიდან არ განხორციელებულა არც ერთი ახალი პროგრამა. რკინიგზის პოლიკლინიკა გადააკეთა სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრად და დღეს ჩვენი მოძველებული აპარატურით, გაურემონტებელი კაბინეტებით კონკურენცია უნდა გავუწიოთ ქალაქში არსებულ თანამედროვე აპარატურით აღჭურვილ სამკურნალო-პროფილაქტიკურ თუ დიაგნოსტიკურ ცენტრებს. დღეს ავადმყოფთა კონტიგენტს ათი წლის წინანდელი პაციენტები შეადგენენ. ისინი ჩვენ გვენდობიან, ჯერ კიდევ მოდიან და იხდიან ფულს ჩვენთან, როცა გვერდით პოლიკლინიკაში ძირითადი ნოზოლოგიებით უფასოდ ემსახურებიან. მალე ჩვენ ამ კონტინგენტსაც დავკარგავთ და ველარ შევიტანთ იმ სამოც ლარსაც კი", - აცხადებენ სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლები.

სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრის დირექტორი ლია დეკანოსიძე კი, თავის მხრივ, თანამშრომელთა არაკეთილსინდისიერებაზე საუბრობს. "ეს ხალხი გამუდმებით იპარავს თანხებს, იმის მომიზეზებით, რომ პაციენტები არ ჰყავთ. კონტრაქტის გაგრძელებაარგაგრძელება კი ჩემი კანონიერი უფლებაა", - აცხადებს იგი.

სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი "სიცოცხლეს" თანამშრომლები ამ აქციით საზოგადოების ყურადღების მიპყრობას ცდილობენ. მათ უკვე მიმართეს წერილობით საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს; იმედი აქვთ, რომ მათ სამუშაო ადგილებს საფრთხე არ დაემუქრება.

საფეხურები

# გულისხმიერების მოლოდინში

*არასამთავრობო ორგანიზაცია "საფეხურების" პროექტი - "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით", აგრძელებს "ნამდვილი ამბის" სერიის გამოქვეყნებას. ისტორიებს ქმნიან ადამიანები, ჩვენი საზოგადოების წევრები. ისინი გვიამბობენ თავიანთ პრობლემებზე. პროექტის საშუალებით, შესაძლებელია, მოვუსმინოთ და დავეხმაროთ მათ.*

თინათინ ასათიანი

74 წლის ნათელა მჭედლიშვილი ქალაქ რუსთავიდანაა. იგი, დიდი ხანია, თბილისში ცხოვრობს, რადგან მარტოხელა პენსიონერისთვის პატარა ქალაქში ცხოვრება გაუსაძლისი იყო.

ქალბატონი ნათელა რუსთავში ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდა და წლების განმავლობაში 20 ლარამდე პენსიითა და 22-ლარიანი დახმარებით არსებობდა.

ქალბატონი ნათელა გაუთხოვარია და არც შვილები ჰყოლია. ის განათლებით მათემატიკოსია და ახალგაზრდობაში პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მუშაობდა. შემდეგ, უსახსრობის გამო, ცოტა ხანს ფოსტალიონადაც მუშაობდა, მაგრამ ხანში შევიდა და იქიდანაც გაათავისუფლეს.

მოგვიანებით ქალბატონ ნათელას ორივე თვალზე გლაუკომა გაუჩნდა და ახლა, უსინათლო, თბილისში, ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე, დისშვილთან ცხოვრობს. **"მე და ჩემს მეუღლეს არანაირი შემოსავალი არ გაგვაჩნია; ლუკმა-პურის შოვნაც კი პრობლემაა ჩვენთვის",** - ამბობს მანანა ხომერიკი, მარტოხელა პენსიონერის დისშვილი, ორი შვილის დედა.

უსინათლოდ დარჩენილ, მარტოხელა, ხნიერ ქალბატონს მხედველობის დაბრუნების იმედი არ დაუკარგავს, რადგან ერთ თვალზე ოპერაციისთვის მხოლოდ 800 ლარი სჭირდება. მართალია, მისთვის ეს თანხა უზარმაზარია, რადგან წლების განმავლობაში მისთვის საარსებო საშუალებაც კი არ აქვს, მაგრამ მიანც იმედიანადაა. 2004 წელს სახელმწიფოს მოხუცისთვის სავალდებულო პენსია და დახმარება საერთოდ არ გაუცია. დიდი სურვილის მიუხედავად, არც ხომერიკების ოჯახს აქვს დახმარების საშუალება. ქალბატონ ნათელას არცერთხელ არ მიუმართავს სახელმწიფოსთვის, საჭირო ოპერაციით უზრუნველეყოთ, რადგან, დახმარების იმედი არ ჰქონდა. სამაგიეროდ, გულისხმიერი ადამიანების დახმარების იმედი აქვს. სწორედ მაშინ, როცა ინტერვიუს გამოქვეყნება გადაწყვიტა, ქალბატონ ქეთევანს ინსულტი დაემართა და ახლა მძიმე მდგომარეობაში, ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ სახლში იმყოფება. ყოველ დღე წვეთოვანს უდგამენ. ჯერჯერობით მარცხენა ხელ-ფეხის ამოძრავება და ლაპარაკი არ შეუძლია. ქალბატონი მანანას თქმით, დეიდა, სავარაუდოდ, გამოჯანმრთელდება და ხელ-ფეხის გამოყენებასაც შეძლებს, მაგრამ ეს ყველაფერი დიდ ფინანსურ პრობლემას უქმნის მათ ოჯახს.

ახლა ქალბატონ ნათელას დახმარება ისე სჭირდება, როგორც არასდროს. მოხუცი ქალბატონი წევს და, კეთილი ადამიანების გულისხმიერების გარდა, აღარაფრის იმედი არ დარჩენია.

შენიშვნა: სტატიის შინაარსი დაფუძნებულია რესპონდენტთან უშუალო ინტერვიუზე და მიუკერძოებლად აღწერს მხოლოდ იმ ფაქტებს, ისტორიებს, თუ პრობლემებს, რასაც თავად რესპონდენტი ჰყვება. პროექტის მიზანია, მისცეს საშუალება მარგინალური ჯგუფების წარმომადგენლებს, თავიანთი პრობლემის შესახებ ამცნონ საზოგადოებას. ამ ეტაპზე პროექტის ფარგლებში არ შედის რესპონდენტის მიერ მოთხრობილი ფაქტების სხვადასხვა დონეზე გადამოწმება.

P.S. თუ ვინმეს დახმარების სურვილი გაუჩნდება, დაუკავშირდით პროექტის, "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით", კოორდინატორს.

მობ: 893 32 44 41

ან ელექტრონული ფოსტით მისამართზე: stagesngo@hotmail.com

# სემინარი ჟურნალისტებისთვის

*ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო ატარებს ერთდღიან სემინარს ჟურნალისტებისათვის აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკაში მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ.*

სემინარის მიზანია, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების სფეროში მოღვაწე ექსპერტებმა მასმედიის წამყვან წარმომადგენლებთან ერთად განიხილონ უახლესი პროცესები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სფეროში.

სემინარი გაიმართება პარასკევს, 25 ივნისს, 11:00-17:00 ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის ოფისში - რადიანის ქ. 5

სემინარის სტრუქტურიდან გამომდინარე, მონაწილეთა რიცხვი შეზღუდულია. მონაწილეობის მსურველებს ვთხოვთ, დროულად, 23 ივნისამდე გააკეთონ განაცხადი მონაწილეობის შესახებ.

საკონატაქტო ტელ.: 22 77 05 ან **info@boell.ge**

**ქალაქ თბილისის მერის ინიციატივა
საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი**

**იწვევს მოხალისეებს**
სამეზობლო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობისათვის.

თქვენი დახმარებით და სახელმწიფო რესურსების მინიმალური გამოყენებით, მნიშვნელოვან ადგილობრივ პრობლემებს გადავჭრით.

ჩვენი მიზანია:

საზოგადოების ფართო ფენების ჩაბმა თბილისის მერიის მიერ განსახორციელებელ საქმიანობაში;
მოსახლეობისა და ქალაქის ადმინისტრაციის თანამშრომლობის განმტკიცება ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტისას;
მოსახლეობის ჩართვა გადაწყვეტილებების მიღებაში;
სამეზობლო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა;

**გახდი თბილისის კორპუსის მოხალისე!
შექმენი ამხანაგობა, მიხედე შენს უბანს შენ თვითონ!**
დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონის ნომერზე: 93-36-32
ელ-ფოსტა: tbilisi-corps@hotmail.com

# ხმაურიანი დაპატიმრებები ბათუმში







დიანა და გიორგი აბაშიძეების დაკავებული მეგობრები.

*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი მეთაურის ქალიშვილის დიანა აბაშიძის ბათუმში ვიზიტს დიდი ხმაური მოჰყვა. გუშინ, გამთენიისას, სროლის ხმა ისმოდა აბაშიძეების საცხოვრებელ სახლთან, სადაც აჭარის შს სამინისტროსა და უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, ასლან აბაშიძის ქალ-ვაჟის დაცვის თოთხმეტი წევრი დააკავეს. როგორც აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრი დავით ღლონტი აცხადებს, სპეცოპერაცია ძალოვან სტრუქტურებში მოქმედი ცხელი ხაზის საშუალებით შესული სატელეფონო ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე განხორციელდა. ანონიმური ზარების ავტორები იტყობინებოდნენ, რომ აბაშიძეების საცხოვრებელ სახლთან შეიარაღებული პირები მიმოდიოდნენ.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

**"საქართველოში უკვე ყველამ იცის, რომ ქვეყანას ჰყავს ერთიანი სამართალდამცველი ორგანოები, რომლებიც იარაღიანი ადამიანების თარეშს აღარ დაუშვებენ, სამართალდამცველებმა თავისი მოვალეობა შეასრულეს, არც ერთი შეიარაღებული პირი ბათუმში აღარ გაჭაჭანდება",** - ასეთი შეფასება მისცა გუშინდელ სპეცოპერაციას პრეზიდენტის რწმუნებულმა აჭარაში ლევან ვარშალომიძემ.

გიორგი და დიანა აბაშიძეების დაცვის წევრები დაკავებისთანავე აჭარის შს იზოლატორში გადაიყვანეს. თუმცა, რამდენიმე საათში, თოთხმეტი დაკავებულიდან სამი გაათავისუფლეს, სამის წინააღმდეგ კი გუშინვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

როგორც აჭარის შს სამინისტროში განმარტავენ, იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებას წაუყენებენ იმედა ხოზრევანიძეს, რომლის ავტომანქანის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა "აკს"-ის სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს; რუსლან ნემსაძეს, რომელსაც პირადი ჩხრეკისას ცეცხლსასროლი იარაღი "შმაიზერი" აღმოაჩნდა და კობა გოგმაჩაძეს, რომელსაც, ასევე პირადი ჩხრეკისას უცხოური წარმოების პისტოლეტი უპოვეს. რაც შეეხება დანარჩენ დაკავებულებს, მათთან დაკავშირებით მოკვლევა მიმდინარეობს.

აბაშიძეების გარემოცვის წევრებთან დაკავშირებული ხმაური ამით არ ამოწურულა. გუშინვე, გამთენიისას ჩატარებული სპეცოპერაციიდან რამდენიმე საათში, სამართალდამცველებმა ქუჩაში დააკავეს დიანა აბაშიძის სამი მეგობარი - მურად დიასამიძე, ალეკო ცეცხლაძე და დათო დანელია, მეტსახელად "მავნე".

როგორც აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროში განგვიცხადეს, დიანა აბაშიძის მეგობრებს დაკავებისას იარაღი არ აღმოაჩნდათ. სამაგიეროდ, დიასამიძეს ვერცხლისფერ ქაღალდში გახვეული, დაუდგენელი ნივთიერება აღმოაჩნდა, რომელიც სავარაუდოდ, ნარკოტიკული საშუალებაა. გუშინვე, ჩხრეკა ჩატარდა დიანა აბაშიძის დაკავებული მეგობრების საცხოვრებელ სახლებში, თუმცა სამართალდამცველებმა მურად დიასამიძის, ალეკო ცეცხლაძისა და დათო დანელიას ოჯახებში ჩატარებული ჩხრეკისას ვერც ნარკოტიკი და ვერც იარაღი ვერ იპოვეს.

სხვათა შორის, თავის დროზე, მურად დიასამიძეს და მის სამეგობროს თავად ასლან აბაშიძე არ სწყალობდა. მურად დიასამიძე რამდენჯერმეა გასამართლებული. გავრცელებული ინფორმაციით, მან ციხის კედლები, ფსიქიატრიულ კლინიკაში მასზე გაცემული სამედიცინო ცნობის საშუალებით, ორჯერ დატოვა. ამბობენ იმასაც, რომ მურად დიასამიძემ ბათუმის იზოლატორში რამდენიმე წელიწადი სწორედ ასლან აბაშიძის დაკვეთით გაატარა.

აჭარაში დაკავებების გუშინდელი სერია დიანა აბაშიძის სამი მეგობრის დაკავებით არ ამოწურულა. მოგვიანებით, სამართალდამცველებმა გიორგი აბაშიძის მეგობარი ზვიად ჩიჩუა დააკავეს. ჩიჩუას დაკავება ხალხმრავალ ადგილას მოხდა. პოლიციის ინფორმაციით, მას ნარკოტიკული ნივთიერება ჰქონდა ჯიბეში. თუმცა, თავად დაკავებულიც და დაკავების ფაქტის თვითმხილველებიც ირწმუნებოდნენ, რომ ნარკოტიკი მას სამართალდამცველებმა ჩაუდეს.

**"ყველა დაკავებული ნარკოლოგიურ შემოწმებას გაივლის, ხოლო ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ დადგინდება, იმყოფებოდნენ თუ არა ისინი ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ",** - აცხადებს აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრი დავით ღლონტი. შეგახსენებთ, რომ დიანა აბაშიძე ბათუმში გუშინწინ, დედის გარდაცვალების წლისთავის აღსანიშნავად ჩავიდა. მისი თქმით, გიორგი აბაშიძემ ბათუმში დაბრუნება გამომგზავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე გადაიფიქრა.

აბაშიძეების ოჯახს, სადაც გუშინ ხალხმრავლობა იყო, პროკურატურის წარმომადგენლები საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად სტუმრობდნენ. გასცა თუ არა პასუხი დიანა აბაშიძემ იმ კითხვებს, რომლებიც სამართალდამცველებს მის ოჯახთან დაკავშირებით დაუგროვდათ, ჯერჯერობით, უცნობია. გამომძიებლებმა აბაშიძეების სახლი რამდენიმე წუთში უკომენტაროდ დატოვეს.

ჯერ კიდევ ორი დღის წინ, შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი აცხადებდა, რომ საქართველოში ჩამოსული დიანა აბაშიძე აუცილებლად უნდა დაკითხულიყო, რადგან **"ასლან აბაშიძის მიერ უკანონოდ მითვისებული ქონების დიდი ნაწილი სწორედ გიორგი და დიანა აბაშიძეებზეა გაფორმებული. ყოფილი მეთაურის მიერ მოპარული ქონების წარმომავლობასთან დაკავშირებით უამრავ კითხვაზეა პასუხი გასაცემი"**

რაც შეეხება თავად ასლან აბაშიძეს, შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, აჭარის ყოფილი მეთაურის საქართველოში ჩამოსვლის მცდელობა მისი დაპატიმრებით დასრულდება. ოქრუაშვილის განმარტებით, ასლან აბაშიძისთვის მიცემული ხელშეუხებლობის გარანტია მხოლოდ რუსეთის ტერიტორიაზე ვრცელდება.

## ნაპოვნი წიგნების ქურდს ეძებენ

*საქართველოს ცენტრალური არქივის სამკითხველო დარბაზიდან დაკარგული წიგნები ნაპოვნია, პოლიცია კი ქურდის ძიებას აგრძელებს.*

საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის სამკითხველო დარბაზიდან ბიბლიოგრაფიული იშვიათობის ორი წიგნი - მე-19 საუკუნეში, 1895 წელს რუსეთში გამოცემული უნიკალური სამტომეულის - "სამეფო ნადირობა რუსეთში" - ორი ტომი მოიპარეს. ქურდობა 7 ივნისს მოხდა. თავად დეპარტამენტის დირექტორის ზურაბ მახარაძის თქმით, წიგნები ახალგაზრდა კაცმა გამოიწერა, თუმცა, მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ, როგორც მის მიერ ჩაბარებული, ირაკლი დუმბაძის სახელზე გაფორმებული სტუდბილეთი, ასევე ბლანკი, რომელსაც თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა ამშვენებდა, ყალბი იყო.

საარქივო დეპარტამენტის დაცვის თანამშრომლები ირწმუნებოდნენ, რომ ახალგაზრდა მამაკაცს არქივის შენობა ცენტრალური გასასვლელიდან არ დაუტოვებია, სავარაუდოდ, იგი პირველი სართულის ფანჯრიდან გადახტა.

დეპარტამენტის დირექტორის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ეს წიგნები ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა, ისინი არცთუ ისე ძვირადღირებულია. თუმცა, სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ბიბლიოფილებმა ამ წიგნებში შეიძლება რამდენიმე ათეული ათასი დოლარი გადაიხადონ.

სამკითხველოდან წიგნების მოპარვის გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმე ვაკე-საბურთალოს პოლიციას გადაეცა, თუმცა, სანამ ნაქურდალს სამართლადამცველები მიაგნებდნენ, წიგნები თავისით გამოჩნდა, უფრო სწორად, სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი-2"-ში გუშინწინ ღამით უცნობმა მამაკაცმა დარეკა და განაცხადა, რომ პოლიეთილენის პარკში გახვეული წიგნები ფინანსთა სამინისტროს სიახლოვეს, ბალახებში დატოვა. მითითებულ ადგილზე გასულმა პოლიციამ წიგნებთან ერთად ქურდის მშობლების წერილიც აღმოაჩინა, ისინი შვილის საქციელის გამო პატიებას ითხოვდნენ.

მოპარული წიგნების არქივში დაბრუნება და ქურდის მშობლების მხრიდან პატიების თხოვნა საკმარისი საფუძველი არ აღმოჩნდა ქურდობის გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმის ძიების შესაწყვეტად.

როგორც ვაკე-საბურთალოს პოლიციის უფროსი ზურაბ ბაქრაძე აცხადებს, მიუხედავად იმისა, რომ წიგნები ნაპოვნია, დამნაშავის პოვნამდე დანაშაული გახსნილად მაინც არ ითვლება, ამიტომ პოლიცია ქურდის ძებნას გააგრძელებს.

*24 საათი*

### შესწორება

**შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გუშინდელ ნომერში საპატრულო პოლიციის დაკომპლექტების მიზნით გასამართი შესარჩევი კონკურსის თაობაზე გამოქვეყნებულ განცხადებაში გაიპარა შეცდომა. ტექსტში, სადაც წერია "როკის გვირაბი", უნდა ეწეროს "რიკოთის გვირაბი".**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისის პროკურატურამ კონტროლის პალატაში დალუქული არქივის კარის დაზიანების ფაქტზე მოკვლევა დაიწყო. როგორც თბილისის პროკურატურაში განაცხადეს, კონტროლის პალატის არქივი, სადაც 6 ათასამდე მასალაა დაცული, მას შემდეგ დაილუქა, რაც ამ უწყების ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი დააკავეს.

არქივის კარი თანამშრომლებს ორშაბათს დილით გახსნილი დახვდათ და იმ მოტივით, რომ შესაძლო იყო არქივიდან დალუქული დოკუმენტაცია გაეტანათ, პოლიციას შეატყობინეს. როგორც თბილისის პროკურორი ვალერი გრიგალაშვილი აცხადებს, ჯერჯერობით, დადგენილი არ არის, გატანილია თუ არა მასალები არქივიდან. ვიზუალური დათვალიერებით მსგავსი რამ არ შეინიშნება. როგორც პროკურორი ვარაუდობს, შესაძლოა, დანაშაულის ინსცენირებას ჰქონდეს ადგილი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამოსამართლო სწავლების ცენტრში მოსამართლის თანაშემწეობის მსურველ იურისტებს, რომელთაც ცენტრში სამთვიანი სპეციალური სასწავლო კურსი გაიარეს, 22 ივნისს საკვალიფიკაციო ტესტირება ჩაუტარდებათ, რომლის შემდეგაც მათ სერტიფიკატებს გადასცემენ.

როგორც სამოსამართლო სწავლების ცენტრში განაცხადეს, სერტიფიცირებულ იურისტებს მოსამართლის თანაშემწედ მუშაობის უფლება მიეცემათ. 2004 წლის 16 თებერვლიდან, სამი თვის განმავლობაში, მოსამართლის თანაშემწეობის მსურველ ოთხმოცდაათ იურისტს ექსპერტებმა ლექციები წაუკითხეს სამოქალაქო, სისხლის, ადმინისტრაციულ სამართალსა და საკონსტიტუციო სამართალში. ტესტში 100 კითხვაა შეტანილი და მასზე 70 სწორი პასუხი დადებით ქულად ჩაითვლება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ყვარელის მკვიდრი ვეფხია რაქვიაშვილი კახა ობგაიძის ჯანმრთელობის დაზიანების ბრალდებით თბილისში დააკავეს. გამოძიების მასალებით, ურთიერთშელაპარაკების შემდეგ რაქვიაშვილმა ობგაიძე საფანტის სისტემის პისტოლეტიდან გასროლით ხელში დაჭრა. დაკავებულისგან პისტოლეტი "გლას-მაგნუმი" ამოიღეს. როგორც გაირკვა, რაქვიაშვილს ყვარელის პოლიცია ქურდობისთვისაც ეძებდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში ავტომანქანა "ოპელ-ომეგას" მფლობელზე იოსებ ჩალურზე ყაჩაღური თავდასხმა მოხდა, რის შემდეგაც გატაცებული ავტომანქანა ავარიაში მოყვა.

გამოძიების მასალებით, ლევან წერეთელი, ლევან მექოშვილი და ჯანი გულგედავა თავს დაესხნენ ჩალურს, რომელიც "ოპელ-ომეგას" მართავდა, დანის მუქარით წაართვეს 200 ლარი და ავტომანქანის უკანა სავარძელზე გადასვეს. საჭესთან წერეთელი დაჯდა და დიდი სისწრაფით მოძრავი მანქანა ბოძს შეეჯახა. წერეთელი ადგილზე გარდაიცვალა. პოლიციელებმა ლევან მექოშვილი დააკავეს, ხოლო გულგედავა შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. რაც შეეხება დაზარალებულ ჩალურს, იგი სხეულის დაზიანებებით საავადმყოფოში მოათავსეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს თბილისში მცხოვრები მ. ორახელაშვილი, რომლისგანაც ამოიღეს 3 ჩეკად დაფასოებული 0.463 გრ ჰეროინი. ორახელაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული ნარკოტიკული ნივთიერება მან 200 ლარად თბილისში მცხოვრებ ვინმე "რუბენისგან" შეიძინა. გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დააკავეს გალის რაიონის სოფელ პირველ გალში მცხოვრები, 41 წლის რ. ხორავა, რომლის ბინიდან ამოიღეს 5 ჩეკად დაფასოებული 0.539 გრ ჰეროინი და ორახელაშვილის გადახდილი 200 ლარი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს დ. გაფრინდაშვილი, რომლისგანაც ამოიღეს სარეალიზაციოდ გამზადებული 1 კილოგრამი და 35 გრამი ყაყაჩოს თესლი და სარეალიზაციო თანხა. ასევე გაფრინდაშვილისგან ნარკოტიკული ნივთიერებების შესყიდვის ფაქტზე დააკავეს ო. სემიტაშვილი, რომელიც განმეორებით იმყოფებოდა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის პოლიციის განყოფილებებში გასული კვირის განმავლობაში 53 სისხლის სამართლის დანაშაულია რეგისტრირებული, მათ შორის, ორი მკვლელობის, ორი მკვლელობის მცდელობის, თხუთმეტი ჯანმრთელობის დაზიანების, ოთხი ხულიგნობის, სამი ძარცვის, ორი ყაჩაღობის, რვა ქურდობისა და სხვა დანაშაულის ფაქტები. გასულ კვირას თბილისში დააკავეს ექვსი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის თერთმეტი წევრი, რომელთაც ბრალი ედებათ რვა დანაშაულის ჩადენაში. პოლიციელებმა ნარკოდანაშაულის ცხრამეტი ფაქტი აღრიცხეს, რომელთაგან რვაზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, ხოლო დანარჩენი ადმინისტრაციული წესით განხილვისთვის სასამართლოში გაიგზავნა. დაკავებულია ორი ნარკორეალიზატორი, ამოღებულია 6.81 გრ. ჰეროინი, 1.5კგ. მარიხუანა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ახალქალაქში მცხოვრები ე. სტერნიკოვი, რომელმაც მეზობელს, ოლგა გალიანს სახლიდან მოჰპარა 1.230 აშშ დოლარი. **მედია-ნიუსი**

# ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2004 წლის ანგარიში ადამიანთა ტრეფიკინგის შესახებ:

*როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა გასულ კვირას სახელმწიფო დეპარტამენტს წარუდგინა მეოთხე ყოველწლიური ანგარიში ადამიანთა ტრეფიკინგის შესახებ. ზუსტად ერთი წლის წინ გამოქვეყნებული ამგვარი ანგარიშის თანახმად, საქართველო ტრეფიკინგთან ბრძოლის თვალსაზრისით, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. ამერიკელ ექსპერტთა ასეთმა შეფასებამ ქვეყანას, ეგრეთ წოდებულ მესამე კალათის ქვეყნებში მოხვედრისა და მეგობარი ზესახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი დახმარების მიღების შანსის დაკარგვის საფრთხე შეუქმნა. საქართველოს ყოფილმა ხელისუფლებამ ეს საფრთხე სისხლის სამართლის კოდექსში ტრეფიკინგის შესახებ მუხლების შეტანით აიცილა, რის გამოც საქართველომ მესამე კალათიდან მეორეში გადაინაცვლა.*
*წელს საქართველო შედარებით სახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა - მას თავიდანვე მეორე კატეგორია არგუნეს, რაც ნიშნავს, რომ ქვეყანამ, მართალია, გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ მიღწეული პროგრესი ჯერ კიდევ არ არის საკმარისი.*
*ამერიკის საელჩომ საქართველოში "24 საათს" მოაწოდა სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის ის ნაწილი, რომელშიც საქართველოს შესახებ არის საუბარი.*

### საქართველო

საქართველო არის როგორც წყარო ქვეყანა, ასევე სატრანზიტო ქვეყანა, რომლიდანაც ქალები და მამაკაცები, სქესობრივი ექსპლუატაციისა და იძულებითი შრომის მიზნით, ისეთ ქვეყნებში გადაჰყავთ, როგორიცაა რუსეთი, საბერძნეთი, ისრაელი, თურქეთი და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები. საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ საქართველოზე გავლით ადგილი ჰქონდა უკრაინელ და რუს ქალთა ტრეფიკინგს თურქეთში. ტრეფიკინგის პრობლემის სრულ მასშტაბებთან დაკავშირებით არ არსებობს არანაირი ანგარიში; გარდა ამისა, გაჩნდა ინფორმაცია მამაკაცთა ტრეფიკინგის შესახებაც. გაერო-ს ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტის თანახმად, ბავშვთა სქესობრივი კომერციული ექსპლუატაციის, კერძოდ კი, პროსტიტუციასა და პორნოგრაფიაში ჩართვის ფაქტები საგრძნობლად მატულობს, განსაკუთრებით, გოგონებს შორის.

საქართველოს მთავრობა სრულად ვერ ასრულებს ტრეფიკინგის აღსაკვეთად აუცილებელ მინიმუმალურ სტანდარტებს, თუმცა, ქვეყანაში მნიშვნელოვანი პროგრესი აღინიშნება. საქართველოს მიეკუთვნა მეორე კატეგორიის სტატუსი, ვინაიდან მან ვერ შეძლო დაემტკიცებინა, რომ გასულ წელთან შედარებით ქვეყანამ მიიღო ზომები ადამიანთა ტრეფიკინგის სასტიკ ფორმებთან საბრძოლველად და რომ იგი მონდომებულია, მომავალ წელს შემდგომი ნაბიჯები გადადგას. საქართველოს მცდელობა აღიარებულ იქნა 2003 წლის სექტემბერში ქვეყნის მეორე კატეგორიისთვის მიკუთვნებით მას შემდეგ, რაც გარკვეული სამართლებრივი ზომები გატარდა და საზოგადოების ინფორმირება მოხდა. საანგარიშო პერიოდის დასასრულს ქვეყნის სათავეში ახალი მთავრობა მოვიდა. მთავრობის შეცვლამ მოითხოვა გარკვეული მექანიზმების შეცვლაც. ახალი მთავრობისგან მოელიან, რომ იგი უფრო ნაყოფიერად მოახდენს რეაგირებას ინსტიტუციონალურ სისუსტეებზე და კორუფციაზე, რომელიც წინა მთავრობის მიერ გატარებულ ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ზომებს საგრძნობლად აფერხებდა. მთავრობამ უნდა შექმნას ერთიანი საცნობარო სისტემა არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, უზრუნველყოს რესურსები პოლიციისთვის და გააუმჯობესოს მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები.

### სასამართლო წესით დევნა

სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლი კრძალავს ადამიანთა ტრეფიკინგს, ხოლო 172-ე მუხლი კი კრძალავს არასრულწლოვანთა ტრეფიკინგს სქესობრივი, შრომითი და სხვა სახის ექსპლუატაციის მიზნით. ორივე მუხლის თანახმად, ძირითადი სასჯელი საშუალოდ 5-დან 12 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. განსაკუთრებით მძიმე გარემოებების დროს სასჯელის მაქსიმალური ვადა 20 წლამდე პატიმრობაა. ექსპერტები ამ ვადებს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განიხილავდნენ, რათა გაეძლიერებინათ კანონი და უზრუნველეყოთ მსხვერპლთა დაცვა, მაგრამ შესწორებათა პროექტის გამოშვებას დამატებითი დრო დასჭირდა. რაიონული პროკურატურები იძიებდნენ ტრეფიკინგის ორ შემთხვევას, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა თურქეთში ქალთა გადაყვანას სქესობრივი ექსპლუატაციის მიზნით. ორი ბრალდებული წინა-სასამართლო პატიმრობაში იქნა მოთავსებული. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ტრეფიკინგთან ბრძოლის განყოფილება ყურადღებას უფრო მეტად უკანონო გაშვილებაზე ამახვილებდა და არა ტრეფიკინგზე, როგორც ეს საერთაშორისო დოკუმენტებშია განმარტებული. განყოფილებას, რომელიც ორი წლისაა, არა აქვს რესურსები მთავრობის მხრიდან, რათა დაკისრებული მოვალეობა სათანადოდ შეასრულოს.

### დაცვა

მთავრობას არა აქვს ერთიანი საცნობარო მექანიზმი მსხვერპლთა დაცვისთვის და არც საერთოდ, დაცვისა და დახმარებისთვის. რესურსების სიმწირის გამო იგი ეყრდნობოდა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების გამოცდილებას. ამოცნობილი იქნა რამდენიმე მსხვერპლი, რომლებიც დახმარებას საჭიროებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის სასამართლო პროცესის დროს მსხვერპლს შეეძლო გამოეყენებინა დაზარალებულის თეორიულად არსებული უფლებები, მსგავს პრაქტიკას ადგილი არ ჰქონია.

### პრევენცია

მთავრობამ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა პრევენციულ პროგრამაში, რომელთა შორისაა ტრეფიკინგის თემაზე შექმნილი დოკუმენტური ფილმის ჩვენება სატელევიზიო ეთერით. მაგრამ საანგარიშო პერიოდის დასასრულს მთავრობის აქტიურობა შემცირდა. ახალი მთავრობის ეროვნული უშიშროების საბჭომ შეინარჩუნა ტრეფიკინგის პოლიტიკაზე პასუხისმგებლობა და ჩამოაყალიბა ახალი, უმაღლესი დონის სამუშაო ჯგუფი, რომელიც 2004 წლის თებერვალში შეიკრიბა. სამუშაო ჯგუფმა შექმნა საკოორდინაციო საბჭო, რომელიც ორ კვირაში ერთხელ სახალხო დამცველის ოფისში იკრიბება.

წარსულში სახალხო დამცველის ოფისს ჰქონდა ტრეფიკინგის ცხელი ხაზი, რომელიც გაუქმდა სათანადო დაფინანსების არარსებობის გამო. საზღვრის დაცვის დეპარტამენტი ახორციელებდა მიგრაციის ფორმების მონიტორინგს, თუმცა უშუალოდ ტრეფიკინგზე ყურადღებას არ ამახვილებდა. ამიტომ პოტენციური მსხვერპლისთვის პრევენციული ინფორმაცია არ მიუწოდებია. პოლიცია, პროკურატურა, ცხელი ხაზის ოპერატორები და ეროვნული უშიშროების საბჭოს მოხელეები თანამშრომლობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რათა ტრეფიკინგის პრევენციასა და ამოცნობაზე რეგიონული ტრენინგები ჩაეტარებინათ. სახალხო დამცველის ოფისი, უცხოელ დონორთა დაფინანსებით, მსგავს ტრენინგებს აეროპორტის თანამშრომლებისთვის უკვე ატარებს.

# შავსა და თეთრს "შუა უდევს დიდი ზღვარი"

## რაც უწინარეს ყოველთა მომავალმა სჯულის მსახურებმა უნდა უწყოდნენ

*ამ რამდენიმე ხნის წინათ გაზეთ "24 საათის" ფურცლებზე დაიბეჭდა თბილისის სასულიერო აკადემიის და სემინარიის კურსდამთავრებულთა ერთი ჯგუფის სტატია - "მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავრების შეურაცხყოფის გამო". პუბლიკაცია იმდენად შემაშფოთებელია თავისი პათოსით და შენიღბული (ცუდად შენიღბული) მიზნებით, რომ წაყრუება შეცდომა იქნებოდა. ამიტომ ორიოდე სიტყვა მინდა ვუთხრა მათ, ვინც მგონი არ იციან, რას სჩადიან.*

თავიდანვე ერთი რამ გვინდა ვთქვათ: სტატიის ავტორი ვინც უნდა ყოფილიყო, შესაძლოა ხმა არ ამოგველო, რადგან დღეს იმდენი აბდაუბდა იბეჭდება ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, ყველას რომ თითო სიტყვით მაინც უპასუხო, მთელი ინსტიტუტი უნდა მუშაობდეს ამაზე. მაგრამ როდესაც სასულიერო აკადემია-სემინარიის კურსდამთავრებულები ამგვარ პუბლიკაციას თამამად აწერენ ხელს, გაჩუმება არანაკლები დანაშაული შეიძლება იყოს, ვინემ ზემოხსენებულ სტატიაში დახვავებული ხელიხელსაგოგმანები "მარგალიტები".

პირველი კითხვა, რაც სტატიის წაკითხვის შემდეგ ბუნებრივად დაგვებადა, ის იყო, თუ რატომ შევიდნენ ეს ახალგაზრდები სასულიერო სასწავლებელში. ეს რიტორიკული შეკითხვა არ არის. ეს ის შეკითხვაა, მნიშვნელოვანწილად რომ ხსნის ბევრ რასმე და სტატიით გაჩენილ ბევრ სამწუხარო კითხვას პასუხობს; ოღონდ გულწრფელი პასუხია საჭირო. საერთოდ, როცა უფალთან დაკავშირებულ თემებზე საუბრობ, არაგულწრფელი ან კითხვა ან პასუხი რა დასაშვებია, მაგრამ... სამწუხარო "მაგრამ"... თუმცა ზემოთ ნახსენები წერილი არაგულწრფელობის გარდა სხვა რომ არაფრით სცოდავდეს, ხმას რა ამოგვაღებინებდა.

ახალგაზრდობა ის ასაკია, როდესაც ადამიანი უნდა სწავლობდეს. სანამ კალამს ხელს მოკიდებ და შენს ნააზრევს აუდიტორიას შესთავაზებ (მით უმეტეს, დისკუსიაში ჩაებმები), სწავლის გრძელი, რთული და შრომატევადი პროცესი უნდა გაიარო. სწავლა "აი ია"-დან ანუ ანბანის შესწავლიდან იწყება. ეს მაინცდამაინც კარგად ვერ უსწავლიათ ამ ვაიპუბლიკაციის ავტორებს თავის დროზე. 33 ასოს რომ ცნობდნენ, გაზეთ "მრევლიდან" იმ სიტყვებს როგორ მოიტანდნენ, თანაც ბოლდით (შავი ხაზგასმით), რომელიც უბრალოდ სამყაროში არ არსებობს, ანუ რომლის მსგავსი არაფერი დაბეჭდილა გაზეთში: "დიდება რუს ერს, დიდება რუსეთის პრეზიდენტს, დიდება რუსეთის პარლამენტს, სირცხვილი ქართველ ერს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს."

სად ნახეთ, ადამიანებო, ასეთი რამ გაზეთ "მრევლში?" - მინდა ვკითხო ავტორებს. ბარაქალა რუსეთის მასმედიას, მშობლებს, სამართალდამცავებს, დუმის ზოგიერთ დეპუტატს, რომლებმაც თავიანთ ქვეყანაში სექსუალური სწავლების შემოღება სკოლებში არ დაუშვეს და სირცხვილი საქართველოში ყველას, ვისაც შეუძლია ხმა აიმაღლოს ამ უხამსობის წინააღმდეგ და დადუმებულია, - ასე ვწერდით. რა არ მოგწონთ საკითხის ასე დაყენებაში? სექსუალური სწავლების უცილობელ შემოღებაზე ხომ არ გრჩებათ თქვენც თვალი თქვენგან გამოქომაგებული დასავლეთის მიერ მოსყიდული ბევრი საერო პირისდარად?

ასე აშკარად დამახინჯებული ციტატა რომ ვნახე, ეჭვი მაშინ შემეპარა, რომ ანბანის ცოდნაში მაინცდამაინც კარგად ვერ უნდა გქონდეთ საქმე. არ მინდა ვიფიქრო, რომ ყველაფერი კარგად გაიგეთ, მაგრამ მიზანმიმართულად და შეგნებულად ურევთ ტვინს მკითხველს. ასეთი საქციელი საერო ადამიანთათვისაც შეუფერებელი და უღირსია, არათუ სასულიერო აკადემიის სემინარიის კურსდამთავრებულების, ანუ მომავალი სასულიერო პირებისათვის. (იმაზე აღარაფერს ვამბობთ, ბოლდით ხაზგასმული პლაკატი რომ გგონიათ, თითქოს გაზეთი პირველად აგეღოთ ხელში).

დედაენის შესწავლის შემდეგ ყმაწვილი, წესისამებრ, ცოდნის უფრო მაღალ საფეხურზე ადის, ნელ-ნელა სწავლობს ლოგიკის ანა-ბანას, ფაქტების შეჯერებას, უფრო და უფრო ღრმა აზროვნებას. მას, ვინც ანბანში დამუხრუჭდება და წაიფორხილებს, ლოგიკის კატეგორიებზე როგორ უნდა ელაპარაკო. აკადემია-სემინარიაში სწავლის დროს ვერ გისწავლიათ და ახლა როგორ განგიმარტოთ თეთრისა და შავის ერთმანეთისაგან გარჩევა? არც კი ვიცი, რა ენაზე შეიძლება თქვენთან ლაპარაკი, როგორ უნდა აგიხსნათ, რომ რუსული "ფუნდამენტალისტური, იდეოლოგიზებული მართლმადიდებლობა" (რის პოპულარიზაციასაც გაზეთს აბრალებთ) და იმ წმიდა რუს მამათა ნააზრევი, რომელსაც თავის ფურცლებს სიამოვნებით უთმობს ადგილს გაზეთი "მრევლი", ერთი და იგივე არ არის. არ ვიცი, რანაირად შევარჩიო სიტყვები ისე, რომ მოხმობილი კონტექსტით ან აქცენტების სიმარტივით უნებურად არ შეურაცხვყო წმიდათაწმიდა სახელები, რომელთა ნააზრევი მართლმადიდებლობის ჭეშმარიტი ოქროს ფონდია; როგორ გითხრათ, რომ წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი და წმ. იოანე მაქსიმოვიჩი ფუნდამენტალისტები არ არიან; ვიფიქრო, და როგორ ვიფიქრო, რომ ჟირინოვსკი და წმ. სერგი რადონეჟელი, წმ. იოანე კრესტიანკინი, წმ. იოანე შახოვსკოი ერთმანეთში გეშლებათ? ერთი სხვაა, შვილნო, მეორე კიდევ - სულ სხვა; ერთი შავია, მეორე - თეთრი! "შუა უდევს დიდი ზღვარი!"

რომ გვმოძღვრავთ, "ჩვენ მხოლოდ მტრის და მოყვასის განსაკუთრებული სიყვარულის უფლება გვაქვს ჯვარცმული მაცხოვრისაგან." ნამეტანი "სიყვარული" მოგძალებიათ რუსეთის მიმართ, იმდენად დიდი, რომ თქვენთვის წმიდანად შერაცხული ნიკოლოზ მეორე, რომლის ხატებს მთელს რუსეთში მირონი სდის, მხოლოდ "რუსი მეფეა" და სხვა არაფერი; ნიკოლოზ მეორე, რომელიც ბოლო შემკავებელი, მართლმადიდებლობის უკანასკნელი საყრდენი იყო ამ ცოდვილ მიწაზე. სწორედ ამიტომ იყო ისეთი განსაკუთრებული გნიასი ატეხილი მისი პიროვნების გარშემო, ამიტომ სძულდა ასეთი ბრმა სიძულვილით იგი ბოლშევიზმს (ასე რომ მისტირის თურმე გაზეთი "მრევლი" მის დამხობას). დღემდე უნდა გრძელდებოდეს ეს გნიასი, თანაც ისეთი უძველესი მართლმადიდებელი ქვეყნიდან, როგორიც საქართველოა?! მაშ რითღა განსხვავდებით იმ პირტიტველა კომკავშირელებისაგან, ვისთვისაც ნიკოლოზ მეორე კლასობრივი მტერი იყო და სხვა არაფერი?!

სხვათა შორის, რუსებს საეკლესიო კალენდარში სხვა დიდი წმიდანების გვერდით ჩვენი უძვირფასესი სახელების - წმ. ნინოს, წმ გრიგოლ ხანძთელის და სხვათა ხსენების დღეები აქვთ შეტანილი.

გაზეთის წინააღმდეგ თქვენი მორიგი "მძიმე არგუმენტი" ის არის, რომ თურმე ჩვენ მკითხველს "რუსი სამხედროების სამხედრო საგმირო ისტორიებს" მოვუთხრობთ. ეს ისტორია კი თქვენი თანატოლი ბიჭის ამბავია, რომელსაც ჩეჩნებმა მხეცურად მოაჭრეს თავი მხოლოდ იმიტომ, რომ ჯვარი არ მოიხსნა. ევგენი(ასე ერქვა ბიჭს) წმიდანად შეირაცხა. თქვენ ამ ისტორიიდან იმაზე მეტი ვერაფერი გაიგეთ, რომ რუსის შესახებ ვყვებით, რომელიც ჩეჩნეთში იბრძოდა(?!). ყოველივე ამის შემდეგ რაღა ვთქვა იმაზე, რომ თქვენთვის გარუსებული ქართველის მეტი არაფერია რუსეთში მოღვაწე ქართველი წმიდანი. წმიდა მეფე დავით აღმაშენებელი რომ წამოახედა, გეტყოდათ ალბათ, "არა, ესრეთ არა!" არც საკუთარ მეფეს უსმენთ, არც უფლის მოციქულს, რომელიც გვასწავლის, რომ ჩვენთვის აღარ არის ეროვნება, ქალი და მამაკაცი, უმცროსი და უფროსი; ჩვენ, ყველანი, ერთნი ვართ იესო ქრისტეში, ჩვენ, ყველანი, ჯერ ქრისტიანები ვართ და მერე - სხვა ყველაფერი. კარგად ჩაუკვირდით მოციქულის სიტყვებს, რომელიც სულიწმიდის მადლით მეტყველებს. მომავალ სასულიერო პირებს გულში მართლმადიდებლობა თუ არ გექნებათ ამოჭრილი, როგორც წმ. ეგნატე ღმერთშემოსილს ჰქონდა ამოჭრილი ერთი წმიდათაწმიდა სიტყვა - "იესო", ისე რა აზრი ექნება სემინარიასა და აკადემიაში თქვენს სწავლას?!

ჭკვიანი და ღირსეული ადამიანი არასოდეს ლაპარაკობს იმაზე, რაც არ იცის. თუ ეჭვი შეგაქვთ კონსტანტინოპოლის დაცემის მიზეზში, ეს თქვენი პრობლემაა. ამის შესახებ თქვენი "ავლადიდების" (რწმენისა და ცოდნის სახით) გამომზეურებას მაინცდამაინც ნუ შეეცდებით. თუ არც ის გინდათ დაიჯეროთ, რომ მტყუანს ზაკვით არ უნდა შეეკრა, ეს პოზიციებიც თქვენთვის დაიტოვეთ. ის, რასაც თქვენ ირონიულად ისტორიოსოფიას უწოდებთ, სულ სხვა რამეა, რასაც მშვენივრად განმარტავს ჩვენი ეკლესიის მწყემსმთავარი, მისი უწმიდესობა ილია II: "ბოლო დროს წარმოიშვა ახალი მეცნიერება - ისტორიის ღვთისმეტყველება. იგი საშუალებას გვაძლევს სულიერი თვალით დავინახოთ, თუ რატომ ხდება ესა თუ ის მოვლენა." ეს სულიერი თვალი პირდაპირ არავის მისცემია საჩუქრად; ეს თვალი ნელ-ნელა - ლოცვით, მარხვით, საერთოდ სულიერი ღვაწლით უნდა აეხილოს ადამიანს. ამ თვალს მაგრად თუ მოხუჭავ და უნიასა და კონსტანტინოპოლის დაცემას შორის კავშირს ვერ (ან არ ) დაინახავ, სწორად საერთოდ ვეღარაფერს დაინახავ.

თავი დავანებოთ ყველაფერს და ყველაზე მთავარი ვთქვათ: მარკოზ ეფესელის ციტატა რომ მოგყავთ, სადაც იგი რომის პაპს ევედრება: "მიიღე შენი შვილები, რომლებიც შორეული აღმოსავლეთიდან მოგეახლებიან: გულში ჩაიკარი ისინი, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე განხეთქილებაში არიან..." და ასე... იქნებ განმარტებაც მოგეყოლებინათ ამისათვის, რატომ დაგჭირდათ ეს ციტატა მაინცდამაინც ახლა და ამ კონტექსტში? რას ნიშნავს, რომის პაპმა გულში ჩაგვიკრას? ეს შემთხვევით ქრისტეს სისხლის და ხორცის ერთობლივი ზიარებისკენ ფარული მოწოდება ხომ არ არის?! კონტექსტი და წერილის საერთო პათოსი სწორედ ამის მამხილებელია. თუ ეს ასე არ არის, ღია კარს რად უნდა მტვრევა?! - ვინ ამბობს, სხვა სჯულის ადამიანებს უმძრახად დავადგეთ და არ დაველაპარაკოთო, მაგიდის გარშემოც შემომსხდარან და პრობლემაზეც უმსჯელიათ ყველა აღმსარებლობის ადამიანებს, მათ შორის, მართლმადიდებლებსაც, მაგრამ პრობლემა ფუგასური ბომბივით სწორედ **ერთობლივ ლოცვაში** რომ არის ჩადებული, ეს ხომ აკადემია-სემინარიის სტუდენტებს ნებისმიერ საერო ადამიანებზე უკეთ მოგეხსენებათ. კი, ქრისტიანებს მოყვასის და მტრის სიყვარული მცნებად გვაქვს მოცემული, მაგრამ მცნებაა ესეც: "შენს პირად მტრებს მიუტევე, სამშობლოს მტრებს ებრძოლე და უფლის მტერი გძულდეს." მართლმადიდებლობა მოყვასის განგდებას და მისკენ ზურგშექცევას არასოდეს მოითხოვდა თავისი სამწყსოსაგან. ის მხოლოდ იესო ქრისტეს სისხლს და ხორცს იცავს მისი მტრებისაგან "რათა არა მტერთა შენთა უთხრა საიდუმო შენი, და არცა ამბორს-გიყო, ვითარცა იუდა"...

მარკოზ ეფესელის სიტყვები რომ მოგყავთ საერთო კონტექსტიდან ამოგლეჯილი... სხვათაშორის ეგ ის მარკოზი ეფესელია, ერთადერთი ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, რომელმაც იმ უნიას ხელი არ მოაწერა, რომელმაც ბიზანტიის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა (თქვენ რომ არ გჯერათ). რომის პაპს საგანგებოდ უკითხავს მაშინ, მოაწერა თუ არა მარკოზ ეფესელმა ხელი უნიას. და როდესაც უთხრეს, არაო, მაშინ თქვა, მაშ ვერაფრისთვის მიგიღწევიათო. ეს ის მარკოზ ეფესელია, ყველას და ყველაფერს რომ განერიდა იმ საშინელ დღეებში, დაეყუდა უდაბნოში და იქ გააგრძელა სჯულის სამსახური. ფაქტობრივად მან, ერთადერთმა, შემოინახა მართალი სარწმუნოება და შემდგომ თითქმის მკვდარი წერტილიდან ააღორძინა მართლმადიდებლობა. თქვენ გინდათ თქვათ, რომ ეს მარკოზ ეფესელი რომის პაპს ევედრებოდა, "გულში ჩაგვიკარით", ესე იგი ერთად ვილოცოთ, ერთი რწმენისანი ვართო?!

მოკლედ, ბიჭებო, სწავლის დრო გაქვთ ჯერ. ისწავლეთ, გაიწრთვენით, უფალი შეიყვარეთ, რწმენაში განმტკიცდით და მხოლოდ ამის შემდეგ გამოამზეურეთ აუდიტორიის წინაშე თქვენი ნააზრევი. ამავდროულად გისურვებდით, რომ ჯერ, ამ ეტაპზე, სიბრძნე თუ ვერა, შიში მაინც მოგეხვეჭოთ ღვთისა, რომ როცა საშიშ და საკრალურ თემებს შეეხებით, რაიმემ შინაგანი მუხრუჭის როლი შეგისრულოთ.

*გალინა ხარებაშვილი,*
*საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი,*
*გაზეთი "მრევლი".*

P.S. სტატიის გამოქვეყნების შემდეგ მისი ავტორები სპეციალურად გამართულ შეხვედრაზე მიიწვიეს, სადაც თავისავე პედაგოგებმა - სასულიერო აკადემიის პრორექტორმა დეკანოზმა გიორგიმ (ზვიადაძე) და საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარემ პროტოპრესვიტერმა გიორგიმ (გამრეკელი) შეცდომებზე მიუთითეს და მკაცრად გააკრიტიკეს.

# "ჩვენ ქართველები ვართ! ჩვენ მართლმადიდებლები ვართ!"

მაია გურაბანიძე

ყოველი მხრიდან გვესმის ეს ფრაზები. ტელევიზორის ეთერიდან, ქუჩებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ოჯახებში, კერძო საუბრებში და ა.შ.

"ვაშა პატრიოტები", სამშობლოს სიყვარულით "გულანთებულნი", პირად საუბრებში, საგაზეთო სტატიებსა თუ სატელევიზიო გამოსვლებში განგაშს ტეხენ, არიქა ვიღუპებითო, გულზე მჯიღს ირტყამენ და მსმენელებსა და მკითხველებს არწმუნებენ, რომ ვიღაც და რაღაც უცხო ძალები ქართულ მართლმადიდებლობას, სამშობლოს, მომავალს, ეროვნულ თვითმყოფადობას ემუქრებიან, ლამის წართმევასაც აპირებენ. ნაწილი ამ ადამიანებისა მიმდინარე პროცესში ახალ ხელისუფლებას ადანაშაულებს, ნაწილი ზესახელმწიფოების ინტერესს ხედავს ყველგან და ყოველთვის. ბევრი კი ვაგლახად შეწუხებული, ნიჰილისტური გამომეტყველებით გლობალიზაციას აბრალებს ყველაფერს (ეს შიში, ალბათ, ეროვნული იდეოლოგიის არქონამ გამოიწვია).

მასონები, იეღოველები, ჯორჯ სოროსი, ევროსაბჭო, კათოლიკები და, ბოლოს, ამერიკა და ამერიკელები. აი, ჩვენი დაუძინებელი მტრები. მოდით, წარმოიდგინეთ ასეთი ვირტუალური სცენა, სადაც ყველა ზემოთ ნახსენები ორგანიზაციის, კასტის თუ მიმდინარეობის წარმომადგენლები თვეში ერთხელ მაინც იკრიბებიან და მსჯელობენ, თუ როგორ დაღუპონ, მოაქციონ და თუ ამის საშუალება მიეცათ, გაანადგურონ საქართველო. აი, ავანსცენაზე გამოდის და სიტყვას წარმოთქვამს ჯორჯ სოროსი, რომელიც აუდიტორიას ჰპირდება, მე ვიკისრებო ქართული მეცნიერების დასაფლავებას და ამასთან დაკავშირებით ყველა ხარჯს, პანაშვიდების ჩათვლით, მევე გავისტუმრებო. შემდეგ მას ენაცვლება რომანო პროდი, რომელიც თავის თავზე უფრო დიდსა და რთულ ვალდებულებებს იღებს - ქართული ეროვნული თვითმყოფადობის სრულ განადგურებას. ყველაფერ ამას აგვირგვინებს ბუშის მგზნებარე მონოლოგი, სადაც იგი საზოგადოებას აცნობს ამერიკის დეპარტამენტის დადგენილებას, რომლის მიხედვით მართლმადიდებლობას ფარულად შემოსული იეღოველთა უზარმაზარი არმია ჩაენაცვლება. ვიღაცას შეიძლება ერთობ გაზვიადებულად, გროტესკულად მოეჩვენოს ეს სცენა, ირონიულადაც ჩაეცინოს. მაგრამ მერწმუნეთ, რომ საქართველოში არის ადამიანთა დიდი ჯგუფი, რომელსაც სწამს და სჯერა, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი ვირტუალური სცენა ფანტაზიის ნაყოფი კი არა, არამედ სავსებით რეალური მოვლენაა.

დღეისათვის საზოგადოების დიდი ნაწილის წუხილი და შიში ე.წ. ქართული სახელმწიფოს სრულ ამერიკანიზაციაზე, ყველა ბოლოდროინდელი პოლიტიკური მოვლენის მიღმა სოროსის "მსოფლიო გლობალიზაციის პროგრამის" უცილობელ განხორციელებაზე და მისი "მზაკვრული" ჩანაფიქრების აღსრულებაზე, გაბუქული და აბსურდულია.

ზესახელმწიფოების პოლიტიკურ ინტერესთა ჭიდილში ყოველთვის იყო ჩვენი ქვეყანა და, ცხადია, ახლაც ეხება მთელი რიგი პრობლემისა სოციალურ, ეთიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ასპექტში. ამგვარი წუხილი არა მხოლოდ პატარა ერებისა და ქვეყნების, არამედ ბევრი მძლავრი კაპიტალისტური და საკმაოდ ძველი კულტურული მემკვიდრეობისთვის, უცხო არაა. მაგრამ ის, რაც ხდება დღეისათვის ჩვენს საზოგადოებაში, არანაირ გამართლებას არ ექვემდებარება. ადამიანთა ძალიან დიდი ჯგუფი ფსევდოპატრიოტული, ფსევდომართლმადიდებლური დებულებებითა და იდეებით მანიპულირებს და სამარცხვინო სპეკულაციას ეწევა. თითქმის ყველა ბოლოდროინდელი პოსტრევოლუციური, პოლიტიკური, ეთიკური, სოციალური პრობლემა მართლმადიდებლობასთან მიმართებაში განიხილება - მისი სახელითაა შეფასებული, დაგმობილი თუ გამართლებული.

გაუგებარი ისტერია მოჰყვა განათლების რეფორმის მცდელობას და ინიციატივას. ასჯერ გვითხრეს, აგვიხსნეს, პროგრამებიდან არ ამოვიღებთ ჰაგიოგრაფიასა და "ვეფხისტყაოსნის" სწავლებასო. არ აღმოჩნდა საკმარისი! კვლავ გრძელდება ამ თემებით ანგაჟირება. განათლების რეფორმა პროგრამის ადაპტირებასა და აქცენტების სხვაგვარ გადანაწილებას გულისხმობდა. არ ირწმუნეს, არ იკმარეს ახსნა-განმარტებანი. უმალვე დაფაცურდნენ რეიტინგდაკარგული პარტიები, საქმე გამოუჩნდა უამრავ ადამიანს, ორგანიზაციას (ერთ-ერთი ყველაზე აქტიური "მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი") და ცეცხლი დაანთეს. შესაძლებელია, ამ ადამიანების უმეტესი ნაწილი მართლაც ძალზე გულწრფელია. ამ ზემოთ მოხსენიებული თემების ინსპირატორებმა კი კარგად იციან, რომ ქართველი ხალხისთვის აქილევსის ქუსლია ქრისტიანობა-მართლმადიდებლობა, რომ ქართველთა ცნობიერებაში საკუთარი რელიგიური მე-ს დაცვა სამშობლოს სიყვარულთან, მის ერთგულებასთან გაიგივებული ცნებებია. განა ხელოვნურად გაბუქული თემა არაა იეღოველები. მე არ ვიცი, როგორ შეიძლება ჩვენს რელიგიას, ჭეშმარიტ მართლმადიდებლობას რაიმე განსაკუთრებული საფრთხე მოუტანოს ამ სექტანტურმა მიმდინარეობებმა. მარტივი ჭეშმარიტებაა - რაც უფრო დიდ წინააღმდეგობას გავუწევთ მას, იგი უფრო მეტად გააქტიურდება.

მაშინ, როდესაც ვაშენებთ დემოკრატიულ სახელმწიფოს, პირადად ჩემთვის რელიგიური ექსტრემიზმი და ნაციონალიზმი ერთიმეორეზე უარესია (ჩვენი საზოგადოების სამარცხვინო მოვლენა! მოვლენას, როგორც მე ვფიქრობ, ჯერ კიდევ არ მიეცა სათანადო შეფასება. ვგულისხმობ გოჩა ფიფიას სამარცხვინო გამოსვლას). აბა, რა განსხვავებაა - "შენ რუსი ხარ", "შენ კათოლიკე", "შენ სომეხი", "შენ გრიგორიანელი" და ა.შ. ნაციონალიზმისა და რელიგიური ექსტრემიზმის ყველაზე საშინელი გამოვლენა "ფაშიზმი" და ფუნდამენტალიზმია! რელიგიური და ნაციონალური ნიშნით ადამიანების გარჩევა სწორედაც რომ ამგვარი უკიდურესობის გამოვლინებაა. სავსებით ვეთანხმებით ამასწინათ გამოსულ განათლების მინისტრს, რომელიც აღშფოთებით ლაპარაკობდა სკოლებში "ფაშისტური", თვითმარქვია პოეტების პატრიოტული "შედევრების" სწავლასთან დაკავშირებით. ტელეარხ 202-ის წამყვანი გაოგნებული იმეორებდა - "ფაშისტური", "ფაშისტური". დიახ, ბატონო, "ფაშიზმი" მარტო სვასტიკა და ნაციზმი არ არის. "ფაშიზმია", როდესაც სკოლის მოსწავლეს უნერგავ, რომ ის, როგორც ქართველი, განსაკუთრებულად გამორჩეული მოვლენაა, რომ ის მართლმადიდებელია და ღმერთთან ყველაზე ახლოსაა, რომ მათ სხვა რელიგიური აღმსარებლობის ადამიანებისადმი ზეაღმატებული დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს ამის აღიარება, უნდა გამოვუტყდეთ საკუთარ თავს, რომ ჩუმი, ფარული "მამა ბასილიზმი" ღვივის მრავალი "ქართველი პატრიოტის" სულში. მართლმადიდებლური ექსტრემიზმი შეიჭრა სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, დაწესებულებებში და, რაც უაღრესად შემაშფოთებელია, ეკლესიაში. "მამა ბასილიზმი" ბევრისთვის იქცა აკვიატებულ იდეად, რასაც, მოგეხსენებათ, ფსიქოლოგიაში შესატყვისი ტერმინი გააჩნია.

ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში ბევრი ღირსეული ადამიანი მოღვაწეობს, მაგრამ, ამასთანავე, სადღეისოდ ძალიან ბევრი გაუნათლებელი მღვდელი გვყავს. უმეტესობა მათგანის პატრიოტული აღტკინება და ქადაგებანი ევროსაბჭოს, ამერიკის, კათოლიციზმის გმობით შემოიფარგლება. მათი თეოლოგიური ცოდნა ზერელე სტერეოტიპებს არ სცილდება და ხშირ შემთხვევაში ყველა სულიერ პრობლემაზე პასუხი ერთი და იგივე აქვთ - "ეჰ, შვილო ჩემო, ეშმაკი გებრძვის". კი, ნამდვილად, მათი აზრით ნამდვილად ეშმაკი გებრძვის, როდესაც განგაშს არ უტეხ სკოლებში სხვადასხვა რელიგიის შესწავლასთან დაკავშირებით რეფორმის მცდელობას. რა არის ამაში საგანგაშო, ყველა განათლებულმა ადამიანმა ნამდვილად უნდა იცოდეს სხვა რელიგიების ისტორია. მოსწავლე რომ გაიგებს, სხვა რელიგიურ მრწამსში ჰუმანური, შემწყნარებლური ქადაგებანია, შემდგომში შეიძლება ასეთი ექსტრემისტული დამოკიდებულება აღარ ჰქონდეს სხვა რელიგიათა მიმართ. ხშირად მათი ეს აგრესია სწორედ არცოდნიდან მომდინარეობს.

მაინც რას დავუკავშიროთ ამ მოვლენის ბოლოდროინდელი ასეთი აღტკინება. ერთ-ერთი ვერსიით - და, ალბათ, მყარი ჰიპოთეზაა, - ახალი ძალის, ახალი იდეოლოგიისა და ხელისუფლების მორალს. მავანთა აზრით, ახალი ხელისუფლება ანტიქართულ პოლიტიკას ატარებს. ეს ხალხი, ვინც ასეთი გაშმაგებით ბობოქრობს და ქვეყანას "განსაცდელისაგან" იცავს, ქვეცნობიერად თუ ცნობიერად ამერიკას, როგორც ზესახელმწიფოს, ებრძვის. უმეტესობას მთელი ამერიკა და, საერთოდ, ამერიკელების სახელმწიფო რელიგია იეღოვა ჰგონია. და რახან ახალი ხელისუფლება პროამერიკული ძალებითაა დაკომპლექტებული, ამიტომ ეს ჩვენი ვაშა-რელიგიურ-ეროვნული პატრიოტები ასეთი ჟინითა და ინტერესით იკვლევენ ამ ხელისუფლების წარმომადგენელთა რელიგიურ მრწამსს. დემოკრატია არაა იმის თქმა, რაც ყველა უგუნურს პირზე მოადგება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განა არაეთიკური არ არის პირდაპირ, ღია ეთერში, თავკომბალა მიკროფონის წინ დააყარო ადამიანს შეკითხვები ისეთ პირადულ, ღრმად ინტიმურ საკითხზე, როგორიც რელიგიური მრწამსია (თანაც ნიშნისმოგებით!). ასეთი ქმედებებით "ეროვნულ საქმეს" ნამდვილად არ ჩავდივართ.

უმორჩილესად გთხოვთ, თავი დავანებოთ ფსევდომართლმადიდებლობას, ფსევდოპატრიოტიზმის გამოყენებას პირადი მიზნების მისაღწევად. პატივი ვცეთ იმ ადამიანებს, ვინც ჭეშმარიტად შეინარჩუნა ერის თვითმყოფადობა, საუკუნოვანი აღმსარებლობა.

ჩვენი ქვეყნის, რელიგიის სიყვარული თითოეული ჩვენგანის ღირსეულ საქციელში, მომავალი თაობების სწორად აღზრდაში, საქვეყნო საქმის ერთგულებაში და პროფესიონალიზმში უნდა გამოვლინდეს. არსებობს, ცოცხლობს, იბრძვის ქართველი ხალხი, სამარადჟამოდ იარსებებს რელიგია, კულტურა, მისი წარსული და მომავალი. დავაფასოთ ღვთის მიერ ნაჩუქარი თავისუფლება, თავისუფლება, რომელიც მარტო ლამაზი და მშვენიერი სიტყვა არ არის. ადამიანები ხშირად თავისუფლებას ვერ უძლებენ, თავისუფლებისაგან გარბიან, თავისუფლების ეშინიათ, თავისუფლებას ამახინჯებენ...



### ვლადიმირ ტარასოვის LIVE IN BORJOMI



ბორჯომის ფესტივალის ცოცხალი ჩანაწერი ლონდონში გამოდის

B2

### კოლექტიური ფსიქოანალიზის "ლიტერატურული ანშლაგი"




მკითხველებს ისღა დარჩენიათ, რომ წიგნის ხელმეორე გამოცემას დაელოდონ და იგი არავის არ მოაყოლინონ.

B3

### "დინამოს" ევროპული ამბები



ევროპაში გამგზავრების წინ "დინამო" "ლოკომოტივს" გაეჯიბრა და უგოლო ფრე იკმარა

B5

# ჯანდაცვას - ქირურგის დანა

## მინისტრს - მტრები

მაია ჭალაგანიძე

*საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი სინამდვილეში ქირურგია და, როგორც თავად აცხადებს, ყოველთვის ისე მოქმედებს, როგორც ქირურგი. რომელმა ადამიანმა არ იცის, რას ნიშნავს ეს?! ლადო ჭიპაშვილი მაშინ მხოლოდ ქირურგი იყო, როდესაც თავისი ჭკუის ადამიანებთან ერთად "ნაციონალურ მოძრაობას" აფუძნებდა. ის ლამის ერთადერთი იყო, ვინც არ მალავდა, რომ ჯანდაცვის მინისტრობა სურდა (ამ მოთხოვნით ექიმთა ერთი ჯგუფის აქციებიც გვახსოვს). საბოლოოდ, წილად პარლამენტში ანალოგიური კომიტეტის თავმჯდომარეობა ერგო და ის-ის იყო, ოთხწლიანი პროგრამის შესრულებას უნდა შესდგომოდა, პრეზიდენტმა დაუძახა და ჯანდაცვის მინისტრობიდან ამომრჩეველთა დაჟინებული მოთხოვნით გადამდგარი დემოკრატი წერეთლის პოსტი შესთავაზა. ჭიპაშვილი ირწმუნება, რომ, ყველაფრის მიუხედავად, ეს დანიშვნა მისთვის მოულოდნელი იყო და ახლა ყოველი დილის 4 საათამდე დაუცველ და გაჭირვებულ ადამიანთა თხოვნებს უსმენს...*

**- ჯანდაცვის რეფორმა რომ რიგიანად ჩატარებულიყო, თქვენს მისაღებში ამდენი მთხოვნელი იჯდებოდა?**

- თუ ასე გავაგრძელე, მალე მომიწევს ამ კაბინეტის დატოვება. შეუძლებელია, ყოველდღე დილის 4 საათამდე გაჭირვებულ ადამიანებს ილებდე. შეუძლებელია, მაღალმთიანი სოფლიდან ჩამოსულ ადამიანს, რომელსაც შვილი უკვდება, იმ მიზეზით უთხრა უარი მიღებაზე, რომ უფრო მნიშვნელოვანი საქმე გაქვს. ჩემი სამუშაო დროის ნახევარი იმ საქმეს მიაქვს, რომელსაც, წესით, არ უნდა ვაკეთებდე... რა რეფორმაზე მესაუბრებით?!

**- ამის შეტყობას თქვენგან ველი...**

- იმ ცვლილებებს, რაც ჯანდაცვის სისტემაში განხორციელდა, რეფორმას ვერ დავარქმევდი. რეფორმების განხორციელებას სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა გეგმავს და ვფიქრობ, რომ ჩვენს ხელში ეს სიტყვა დისკრედიტებული აღარ იქნება. თუმცა, ჩემს მეგობარს, გიგი წერეთელს არ ვგულისხმობ.

**- გიგი წერეთელი რომ არა, უარეს მემკვიდრეობას მიიღებდით?**

- სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, გიგის არაფერი გაუფუჭებია.

**- რის გაკეთება მოასწრო?**

- მან კონცეპტუალურად სწორი ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. შეიძლება, განსხვავებული ტემპერამენტი გვაქვს, მაგრამ კონცეპტუალურად თანამოაზრეები ვართ.

რაც შეეხება, შეკითხვას - საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში აქამდე გატარებული პოლიტიკა არც პაციენტზე და არც ექიმზე არ იყო ორიენტირებული. ამ პოლიტიკამ ექიმებს ძალიან ბევრი თავის ტკივილი გაუჩინა და ვერაფრით ვერ გააუმჯობესა პაციენტების, ანუ საზოგადოების ჯანდაცვის დონე.

**- თქვენ საიდან იწყებთ?**

- ვიწყებ სიტუაციის რეალური ანალიზიდან და აქედან გამომდინარე - სიმართლის თქმიდან. მოქმედების ვერანაირ გეგმას ვერ დასახავ, თუ არ გაქვს სიტუაციის ანალიზი, რეალური სურათი; მეორე - ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწევ, თუ ამ რეალურ სურათს მოქალაქეებს და სამწყსოს (ამ შემთხვევაში სამედიცინო საზოგადოებას) სიმართლეს არ ეტყვი. ეს არის ყველაზე მთავარი, რასაც ჩვენ ახლა ვაკეთებთ და რის შესახებაც ხმამაღლა ვაცხადებ.

**- რა არის ეს სიმართლე?**

- სახელმწიფოს მიერ ქაღალდზე დაწერილ სოციალურ ვალდებულებებსა და მათ რეალურ განხორციელებას შორის ძალიან დიდი უფსკრულია. იმ ვალდებულებების მიხედვით, რასაც სახელმწიფო თავის თავზე იღებდა და წლების განმავლობაში მხოლოდ ქაღალდზე ასრულებდა, ჯანდაცვა უფასო უნდა იყოს, ჩვენი პენსიონერები უზრუნველად უნდა ცხოვრობდნენ, სოციალურად დაუცველი ფენები უნდა იღებდნენ უზარმაზარ დახმარებებს და ა.შ.

არ დამიჯერებთ, მაგრამ ქაღალდზე ეწერა, რომ საქართველოს მთავრობა გადაუდებელი ოპერაციების, რეანიმაციის, ინტენსიური თერაპიის ღირებულებას თითქმის სრულად აფინანსებდა. საბუთების მიხედვით, ამ თანხების 75 პროცენტს სახელმწიფო ფარავდა. რომელიმე ჭკუათმყოფელი დაიჯერებს ამას?

სახელმწიფო აცხადებდა, რომ საქართველოში ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა უფასოა. ნებისმიერი ადამიანი, ვისაც ამ სფეროსთან შეხება ჰქონია, გეტყვით, რომ სამკურნალო დაწესებულებას ახლოსაც ვერ გაეკარებოდით, თუ წინასწარ 500 ან მეტ დოლარს არ გადაიხდიდით - ეს რეალობაა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ონკოლოგიურ საავადმყოფოებს უნდა დავერიოთ. ეს არ იყო ონკოლოგების ბრალი, ეს იყო არასწორი დაგეგმარების, იმ აბსოლუტურად ყალბი, თავმომწონე პოლიტიკის შედეგი, რასაც წინა ხელისუფლება აწარმოებდა.

**- დღეს სახელმწიფოს აქვს საშუალება, თქვენ მიერ ჩამოთვლილი კატეგორიები დააფინანსოს?**

- რეფორმის მთავარი არსი სიმართლეა...

**- და ეს სიმართლე არის ის, რომ ამის ფული სახელმწიფოს არა აქვს?**

- არც მთლად ასეა. მაგალითისთვის მშობიარობა ავიღოთ. სახელმწიფო აცხადებდა, რომ მან თავისი მოქალაქეები უფასო მშობიარობით უზრუნველყო. ნებისმიერი დამიდასტურებს, რომ რეალურად დღეს არანაირ უფასო მშობიარობაზე არ შეიძლება საუბარი, ყველა ფასიანია. წინა მთავრობის ეს პოზიცია მხოლოდ სიყეყეჩე, თავმომწონე კიტრის პოზიცია იყო და სხვა არაფერი. სახელმწიფო ბიუჯეტი კი მილიონობით ლარს ხარჯავდა იმისთვის, რომ მშობიარობა უფასო ყოფილიყო. ფული მიდიოდა ხელისუფლების ფავორიტ ორ ან სამ დაწესებულებაში, სადაც ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ ეს ფული გათეთრებულიყო და რამდენიმე ოჯახის კეთილდღეობას მოხმარებოდა. მილიონობით ლარი ვერც მშობიარემდე აღწევდა და ვერც მშობიარობის მიმღებ ექიმამდე. თუ ჩვენ ამ სიტუაციის შეცვლა არ შეგვიძლია, ის მაინც უნდა ვთქვათ, რომ მშობიარობა ფასიანია... თუმცა, არის ეფექტური გამოსავალი და უახლოეს მომავალში ამის განხორციელება ცვლილებების (რეფორმა ძალიან ხმამაღალი სიტყვაა) ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იქნება. სახელმწიფო ბიუჯეტში მეანობის პროგრამაზე 9 მილიონი ლარია გამოყოფილი. ამ თანხას გავყოფ მშობიარეთა რაოდენობაზე (წელიწადში, დაახლოებით, 45 000) და მივიღებ საშუალო ციფრს. ეს იქნება ის თანხა, რისი გამოყოფაც მშობიარობის ერთ პროცესზე შემეძლება. დავუშვათ, ეს 170 ლარი იქნება - ამ ფულს თითოეულ მშობიარეს მივცემ და სადაც უნდა, იქ იმშობიაროს. უნდა, ფეშენებელური სამშობიარო აირჩიოს, სადაც ამ თანხაზე გაცილებით მეტის დამატება მოუხდება, ან იმშობიაროს რომელიმე სახალხო სამშობიაროში, სადაც ამავე ფასად ან უმნიშვნელო დანამატის ხარჯზე შეძლებს მშობიარობას.



იური ლობოდინის ფოტო

*ერთი თვეა, რაც მინისტრი ვარ და ჭერჭერობით ვაკეთებ იმას, რომ ჩემი გამონათქვამებით ყოველდღე ახალ-ახალ მტერს ვიძენ.*

> ფული მიდიოდა ხელისუფლების ფავორიტ ორ ან სამ კლინიკაში, სადაც ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ ეს ფული გათეთრებულიყო და რამდენიმე ოჯახის კეთილდღეობას მოხმარებოდა.

**- რა პირობებს სთავაზობს სახელმწიფო წარსულში პრივილეგირებულ კლინიკებს?**

- სწორედ იმას, რაც უკვე გითხარით. ფულს არა საავადმყოფოებს, არამედ უშუალოდ ავადმყოფს მივცემ. შეიძლება ეს იყოს ფასიანი ქაღალდი, ე.წ. ვაუჩერი, რომელიც პირველივე მოთხოვნისთანავე განაღდდება. ეს იქნება ყველაზე მთავარი ცვლილება - აღარ იარსებებენ პრივილეგირებული სამკურნალო დაწესებულებები. შეიქმნება კონკურენტუნარიანი გარემო და სამკურნალო დაწესებულებების ხელმძღვანელობაზე, მენეჯმენტზე, კოლექტივის ავტორიტეტსა და პროფესიონალიზმზე იქნება დამყარებული მათი წარმატება. ერთხელ და სამუდამოდ მოკვდება ფავორიტი კლინიკების დრო და ეს ჩემი მთავარი ცვლილება იქნება.

**- ჯანმრთელობის პრობლემების დროს თავად ვის მიმართავთ დასახმარებლად?**

- როდესაც დამჭირდა მწვავე აპენდიციტის ოპერაცია, იმ საავადმყოფოში გავიკეთე, სადაც მაშინ ვმუშაობდი - ქალაქის პირველ საავადმყოფოში, ჩვეულებრივი სახალხო საავადმყოფოს ჩვეულებრივ პალატაში ვიწექი.

**- სახელმწიფოს მხრიდან ავადმყოფებზე ზრუნვა მხოლოდ ის არ არის, რაზეც თქვენ ისაუბრეთ. პრობლემა ექიმთა პრიოფესიონალიზმიცაა. როგორ გააკონტროლებს ჯანდაცვის სამინისტრო მომრავლებული უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების მუშაობას?**

- სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მოღვაწეობის იმ ფაზაში შევედი, როდესაც ნაკლები მნიშვნელობა აქვს, რას იფიქრებს რომელიმე ჩემს გამონათქვამზე მოსახლეობის ესა თუ ის ჯგუფი. შეიძლება რაღაც ჯგუფისთვის არაპოპულარული რამ ვთქვა და ათეულობით მტერი შევიძინო, მაგრამ ვაცხადებ, რომ სოკოებივით მომრავლებული უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების მიმართ მკვეთრად უარყოფითი, ძალიან ნეგატიური დამოკიდებულება მაქვს. რადგანაც მთავრობაში ერთიანი გუნდი ვართ, განათლების სამინისტროსთან აქტიურ თანამშრომლობას ვაპირებ. უნდა შეიქმნას აკრედიტაციის უმკაცრესი პირობები. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოს ორ ან სამ უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელზე მეტი არ სჭირდება. არც ის შეიძლება, ქვეყანაში მხოლოდ ერთი ინსტიტუტი არსებობდეს, რადგან კონკურენტუნარიანი გარემო არ იქნება და ამ ინსტიტუტს განვითარების სტიმული არ ექნება.

**- სად იპოვით კადრებს, პედაგოგებს?**

- რომელ პედაგოგებზე შეიძლება ვისაუბროთ, როდესაც ერთი ლექტორი ცხრა ინსტიტუტში კითხულობს ლექციას? ეს ხომ ფიქციაა?

**- ექიმებისთვის უწყვეტი სამედიცინო განათლებაც ფიქციაა?**

- ძალიან საინტერესო საკითხს მივადექით. აქაც ხისტი, მკვეთრი და მკვახე პოზიცია მაქვს. ერთი თვეა, რაც მინისტრი ვარ და ჯერჯერობით ვაკეთებ იმას, რომ ჩემი გამონათქვამებით ყოველ დღე ახალ-ახალ მტერს ვიძენ. ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლების არსებული სისტემა არის აბსოლუტურად მახინჯი, ექიმების ღირსების შეურაცხმყოფელი და არაჯანსაღი სისტემა. ეს უახლოეს ერთ კვირაში რადიკალურად შეიცვლება.

**- სამედიცინო ინსტიტუტებისგან განსხვავებით, ეს თქვენს სამინისტროს ეკუთვნის?**

- დიახ, ამ სასტუმროში უკვე მე ვარ დირექტორი.

დღეს ნებისმიერი სოფლის, პოლიკლინიკის, საავადმყოფოს ექიმი ნერვული დოღის პირობებშია ჩაყენებული, რადგან თუ მან გარკვეული პერიოდის განმავლობაში 250 კრედიტსაათი არ დააგროვა, გამოცდაზე არ უშვებენ, არ აძლევენ საშუალებას, დაამტკიცოს თავისი კვალიფიკაცია, რის გამოც ექიმობის უფლებას ართმევენ. ეს 250 კრედიტსაათი დაახლოებით 1500-2000 ლარი ჯდება. სოფლიდან ჩამოსულმა ექიმმა ოფიციალურად რამდენიმე ათეულ ლარად უნდა იყიდოს თავისი კრედიტსაათი, იცხოვროს ან სასტუმროში ან ნათესავებთან, ფული უნდა დახარჯოს კვებაზე, ტრანსპორტზე, უცხო ქალაქში ცხოვრებაზე და ა.შ. ჩემი გამოთვლებით ეს ჯამში 1500-დან 2000 ლარამდე ჯდება. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ვიდრე მინისტრი გავხდებოდი, კრედიტსაათების ღირებულება ყოველთვიურად იზრდებოდა, რეალურად ეს ციფრი უფრი მეტიც შეიძლება იყოს. ამას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო.

ჩვენ გვექნება ისეთივე სისტემა, როგორიც ევროპის ბევრ ცივილიზებულ ქვეყანაშია. რა თქმა უნდა, ყოველმხრივ წავახალისებთ ექიმების მიერ კვალიფიკაციის ამაღლების სურვილს და ის ექიმები, ვინც ამ პროცესში იქნებიან ჩართულნი, გათავისუფლდებიან ყოველგვარი გამოცდებისგან. აშშ-დან ახლგაზრდა პროფესორების დელეგაცია ჩამოვიდა და შემდეგი რამ გვიამბეს - ექიმთა საზოგადოება საკმაოდ ლაღ, უშუალო, მხიარულ ატმოსფეროში ერთ-ერთ რესტორანში შეიკრიბა და საჭირბოროტო საკითხებზე საუბრობდა. თან ჰქონდათ სლაიდოსკოპი, მოხსენებაც წაიკითხეს - ეს ყველაფერი ექიმებს შორის ცივილური ფორმით მიმდინარეობდა და არა ისე კოშმარულად, როგორც საქართველოშია.

**- მაგრამ, ხომ ცნობილია, რომ ქართველები რესტორნებში მშრალი საუბრით არ დაკმაყოფილდებიან?**

- ექიმთა ამ შეხვედრას შესაბამისი პროფესიული ასოციაცია აფინანსებდა. ჩვენთან კი განათლების პროცესის დაფინანსებას ექიმს საკუთარი ჯიბიდან სთხოვენ. ჩვენც მთელ მსოფლიოში მიღებული ცივილური გზით წავალთ, ექიმთა უწყვეტი განათლების სისტემას კორუფციული ჭაობიდან გამოვიყვანთ, რომლითაც ძალიან ბევრი ადამიანია გამდიდრებული და როდესაც ფულის კეთების წყაროს მოვუშლი, ეს ადამიანები, რა თქმა უნდა, ჩემი მტრები გახდებიან.

**- საქართველოს ჯანდაცვის სისტემის განვითარებაში როგორ ჩართავთ საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ ექიმებს, მათ, ვისაც საკუთარი გამოცდილების ქვეყნისთვის გაზიარება სურთ?**

- უახლოეს თვეებში სპეციალური კონგრესი მაქვს დაგეგმილი. მინდა შევხვდე საზღვარგარეთის წამყვან კლინიკებში მოღვაწე ქართველ ექიმებს. შევიმუშავებთ ერთობლივ სტრატეგიას იმისთვის, რომ მათი უნარ-ჩვევები და გამოცდილება საქართველოს ჯანდაცვის სისტემას მოხმარდეს. ისინი ჩვენს მოქალაქეებს ისედაც ეხმარებიან, მაგრამ ამას სისტემური ხასიათი უნდა მიეცეს. ფორმა კი მოსაძებნია.

თუ ცხოვრებაში რაიმე წარმატებას მივაღწიე, ამის საფუძველი ის იყო, რომ ვისწავლე მოსკოვში, შემდეგ აშშ-ში, შემდეგ იტალიაში. ვიცი, რას ნიშნავს საზღვარგარეთ ნაყოფიერად გატარებული თითოეული დღე. უცხოეთში მოღვაწე ყველა ქართველი ექიმი ჩემი ბუნებრივი მოკავშირე იქნება იმაში, რომ ამ ქვეყანას სიკეთე დავატყოთ.

**- სამხრეთ ოსეთში მიმდინარე პროცესებში აშკარად გამოიჩინეთ თავი. რა წინააღმდეგობები შეგხვდათ?**

- ადგილობრივი ხელისუფლება მაქსიმალურად აშინებს პენსიონერებს, რომ არ მოვიდნენ და ჩვენი პენსიები არ აიღონ. მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღაც სამი დღეა, რაც პენსიების დარიგება დაიწყო, მიუხედავად იმისა, რომ არის ექსცესები, მოლარეც დააწიოკეს და სხვა სახის ზეწოლასაც ჰქონდა ადგილი, გუშინდელი მონაცემებით 150-ს გადააჭარბა იმ ოსი პენსიონრების რიცხვმა, რომელთაც გაბედეს და ჩვენი პენსია აიღეს. დაგეგმილი მაქვს, რომ ივნისის პენსიას 300 ოსი პენსიონერი აიღებს, ივლისისას - 500-ზე მეტი, სექტემბრისას - 1000-ზე, ხოლო ოქტომბერ-ნოემბერში 3000-ამდე ავალთ. ეს საბოლოო გამარჯვება იქნება.

**- როგორ ფიქრობთ, რაც დრო გავა, ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მხრიდან წინააღმდეგობა უფრო ძლიერი იქნება თუ პირიქით?**

- რა თქმა უნდა, პირიქით. წინააღმდეგობასაც იდეოლოგიური საფუძველი სჭირდება. არ შეიძლება საკუთარი მოსახლეობა თითიდან გამოწოვილი მიზეზებით აშინო. იქაური პენსიონერებიც დარწმუნდებიან, რომ მითია ქართული პენსიის აღებისთვის გასახლება. შეუძლებელია, გაასახლო 1000 პენსიონერი.

> დღემდე ვერ დავეჩვიე მინისტრულ საუბარს და ჩემი ენა ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის აბსოლუტურად გასაგებია. კომუნიკაციის პრობლემა არც ქართველ და არც ოს პენსიონერებთან არ მაქვს.

ვილა დარჩება?! იქ ხომ ისედაც მოხუცები და ბავშვები ცხოვრობენ, ახალგაზრდობა სარჩოს საძებნელად სამხრეთ ოსეთის ფარგლებს გარეთ არის გასული.

**- ოსეთში შემოვლითი გზებით ჩახვედით?**

- ყველა შესაძლო გზებსა და ხერხებს ვიყენებთ - ფარულს, აშკარას, ადგილობრივ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებითაც და მის გარეშეც. ამ ტერიტორიაზე ყოველდღიურად ვმუშაობთ.

**- როგორ ხვდებიან ცოცხალ მინისტრს?**

- არ მრჩება შთაბეჭდილება, რომ ცოცხალი მინისტრის დანახვა მათში რაიმე განსაკუთრებულ ემოციებს იწვევდეს. დღემდე ვერ დავეჩვიე მინისტრულ საუბარს და ჩემი ენა ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის აბსოლუტურად გასაგებია. კომუნიკაციის პრობლემა არც ქართველ და არც ოს პენსიონერებთან არ მაქვს. იქაური პენსიონერები ისეთივე პრობლემების წინაშე დგანან, როგორც მთელი იქაური მოსახლეობა, იგივე სიხშირითა და იგივე სახის დაავადებები აწუხებთ, ისევე უჭირთ, როგორც დანარჩენ საქართველოში.

**- თქვენი და "ნაციონალების" მეგობრობა როდის დაიწყო?**

- რას ჰქვია, მეგობრობა? ვარ "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი დამფუძნებელი, განუყოფელი ნაწილი და ასე ვიქნები, სანამ იქ ჩემი თანამოაზრეები არიან.

**- "ნაციონალების" ტემპები და ტენპერამენტი სხვა პოლიტიკური ძალებისგან აშკარად განსხვავებულია. ეს თვისებები პარტიაში მიიტანეთ თუ მერე შეიძინეთ?**

- პოლიტიკური ძალის დაფუძნებისას ყოველთვის რაღაცის გარშემო ერთიანდებიან. ეს "რაღაც" ჩვენი იდეური თანხმობა იყო იმის შესახებ, რომ ისე ცხოვრება აღარ შეიძლებოდა, რომ ძალიან რადიკალური ღონისძიებებით რადიკალური ცვლილებები უნდა გატარებულიყო. მაშინაც და ახლაც ერთი ჭკუის ხალხი ვართ.

**- დიდი ხანია, ამ თანამდებობაზე ძალების მოსინჯვა გინდოდათ. დღეს უკვე ხართ ჯანდაცვის მინისტრი, ახერხებთ საკუთარი თავის რეალიზებას?**

- არ დავმალავ - საკმაოდ დაინტერესებული ვიყავი იმით, რომ საკუთარი თავისთვის დამემტკიცებინა, რა შემიძლია და რა - არა, მაგრამ უშუალოდ მინისტრად დანიშვნა ჩემთვის აბსოლუტურად მოულოდნელად მოხდა. როდესაც პრეზიდენტმა ამის შესახებ მითხრა, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ვიყავი და ჩემი ცხოვრება 4 წლით მქონდა განერილი - რა უნდა გამეკეთებინა და როდის... ამ კაბინეტში შემოსვლამ არია და დარია ჩემი გეგმები, მაგრამ ვაპირებ, რომ ამ სფეროს სერიოზული კვალი დავამჩნიო. აქ ნახევარზომების გასატარებლად არ ვარ მოსული. ვიცი, რომ ბევრ მტერს გავიჩენ, მაგრამ ისიც ვიცი, რომ აბსოლუტურად რადიკალური, მკვეთრი და ზოგჯერ უხეში ღონისძიებები თუ არ გატარდა, სფეროს არანაირი სიკეთე არ დაეტყობა.

**- როდის აღარ შეეშინდება ადამიანს ავად გახდომის?**

- 2005 წლის პირველი იანვრიდან საქართველოს ყოველ მოქალაქეს ეცოდინება, თუ რას გაიღებს სახელმწიფო მისი ავადმყოფობის შემთხვევაში. სამწუხაროდ, წლევანდელი ბიუჯეტი წინა წლების პრინციპებით არის შედგენილი და რადიკალური ცვლილებები ვერ მოვახერხეთ. მე რომ მინისტრად მოვედი, ეს ბიუჯეტი სწორედ იმ დღეებში დაამტკიცა პარლამენტმა. ბიუჯეტის ივლისში დაგეგმილი გადახედვა რევოლუციას ვერ მოგვიტანს, უბრალოდ, გარკვეული კორექციების საშუალებას მოგვცემს. ცვლილებებს ახლავე ვიწყებ, მაგრამ საბოლოოდ მართლა ფეხზე დამდგარი მექანიზმი 1 იანვრიდან ამოქმედდება.

**- პოლიკლინიკები ჯანდაცვის ყველაზე სახალხო და ხელმისაწვდომი დაწესებულებებია. იქ ახლა სრული ქაოსია...**

- პრობლემა არა მხოლოდ პოლიკლინიკებში, არამედ ყველა სამკურნალო დაწესებულებაში, ყველა საავადმყოფოში და სამშობიაროშია. მხოლოდ 10 პროცენტი თუ იქნება ისეთი დაწესებულება, სადაც ძალიან გამოცდილი და ჭკვიანი მთავარი ექიმი ჰყავთ. ყველა დანარჩენ შემთხვევაში ექიმებსა და მთავარ ექიმებს, ექიმებსა და სამეთვალყურეო საბჭოებს შორის ინსტიტუციონალური კონფლიქტია.

ეს მილიონები სადმე კი არ იფანტება, სწორედ იმ კორუმპირებული მთავარი ექიმების ჯიბეებში ილექება, რომელთა მთავარი ამოცანა ფულის მოპარვაა. ეს კასტა გამოსაცვლელია, ხელმძღვანელებად წესიერი და პატიოსანი ადამიანები უნდა მოვიყვანოთ - ისინი, ვინც ექიმებისა და პაციენტების ნდობით იქნებიან აღჭურვილნი, რომელთაც ექიმი გაჰყვება და ეცოდინება, რომ ის მის ფულს არ მოიპარავს. ეცოდინება, რომ ყველა ფინანსური ნაკადი გამჭვირვალეა და ფული ავადმყოფამდეც მიაღწევს და ექიმამდეც. დღეს ერთ-ერთ ასეთ დაწესებულებაში მივდივარ, სადაც წირვას გამოვუყვან ერთ-ერთ ასეთ ულირს ხელმძღვანელობას. წლის ბოლომდე საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებში ვარდების რევოლუციის დასრულებას ვაპირებ. ყველა ულირს მთავარ ექიმს, უკეთეს შემთხვევაში, სახლში გავაგდებთ.

**- სპეციალობით ქირურგი რომ ხართ, ამიტომ ჭრით ასე დაუნდობლად?**

- ეს შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალია.



## აფიშა

### კონცერტები

**აჭარა მიუზიქ ჰოლი**
მარიკა თხელიძე
"კოსმოპოლიტენი"
დას: 21:00 სთ

### თეატრები

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
უილიამ შექსპირი
"ვენეციელი შექსპირი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
"ივანოვი"
(ჩეხოვის მიხედვით)
რეჟისორი: გ. შალუტაშვილი
დას: 19:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
"ოცნების ჩიტი"
რეჟისორი: ლუკა ჩხაიძე
დას: 19:00 სთ.

### კინოთეატრები

**კინოს სახლი**
ბერნარდო ბერტოლუჩის ფილმების რეტროსპექტივა
"ალყაში მოქცეულნი"
დას: 18:00 სთ.

**"ამირანი"**
"ჰარი პოტერი 3"
დას: 14:00; 17:00 სთ.

"მოკალი ბილი 2"
დას: 20:00; 22:30 სთ.

### გამოფენები

**ორიენტი**
ცნობილი და მივიწყებული სახელები

**TMS**
ვახტანგ კაკულიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
არქიტექტორ გერა ხეჩინაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**"ქარვასლა"**
ნოდარ მალაზონიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**"ჰობი"**
თანამედროვე მხატვრების ნამუშევრების გამოფენა "ჩვენი პალიტრა"

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# ვლადიმირ ტარასოვის LIVE IN BORJOMI

## ბორჯომის ფესტივალის ცოცხალი ჩანაწერი ლონდონში გამოდის

მადი სერებრიაკოვა

70-იან წლებში, როდესაც საბჭოთა კავშირის მოლხენილ-მოწესრიგებულ მუსიკალურ სივრცეში "განელინ-ტარასოვ-ჩეკასინის" ექსპერიმენტულ ჯაზის ტრიოს ქაოსი შეჰქონდა – ჯერ დაბადებულიც არ ვიყავი. თუმცა, უფროსი კოლეგებისგან გამიგონია, რომ დრფ-მ (ასე ეძახდნენ ტრიოს მისი წევრების გვარების პირველი ასოებიდან გამომდინარე) თბილისში ფილარმონიის გავსებაც კი მოახერხა და კობზონისა და ლეშჩენკოს ტრადიციებზე გაზრდილი მსმენელი რაღაც უცნაური, ყურისთვის უჩვეულო, "დემონური მუსიკითაც" გააოგნა. **"ნეტა ყველგან ისე მიეღოთ ჩვენი მუსიკა, როგორც მაშინ თბილისში შეხვდნენ..."**- იხსენებს კმაყოფილებით დრამერი ვლადიმირ ტარასოვი. ამ ყველაფერს, მაშინ, რაღაცნაირი, ოკეანის გაღმიდან მობერილი ჯაზის ელფერი დაჰკრავდა. ბურჟუაზიის მოკრძალებული ხიბლი კი გულგრილს მაშინაც ბევრს არ ტოვებდა.

არა მთლად ასეც არ არის, ევროპული თუ ამერიკული ჯაზისა და როკის მაშინდელ ჩანაწერებზე თბილისში ჩუმად, მაგრამ ჯიუტად ბევრი მელომანი ნადირობდა. "კონტრაბანდული" ვინილის დისკები ხელიდან ხელში გადადიოდა და საბჭოთა კავშირის მოახლოებულ დაშლას საუნდტრეკად გასდევდა. მაგრამ, სულ სხვანაირად მწარ-ტკბილია, როცა უცხო ჰანგებსა თუ რიტმებს შენსავე ბედქვეშ მყოფი, ცოტა უფრო თამამი, ან თავისუფლების ოდნავ მეტი შანსისა და (რა დასამალია) ხარისხის მქონე საბჭოთა მოქალაქეებისგან ისმენ. განელინ-ტარასოვ-ჩეკასინის ტრიო ბევრ ძველ მელომანს დაამახსოვრდა. ტრიოს სახელი და პატივი ჯგუფის წევრების ემიგრაციის, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კიდევ უფრო მოემატათ. დღეს მათ აქტივში 50-ზე მეტი ფირფიტა და კომპაქტ-დისკია ინგლისში, აშშ-ში და სხვა ქვეყნებში გამართული ცოცხალი კონცერტების ჩანაწერებით. ტრიოს წევრები სოლო კარიერას აგრძელებენ და წარმატებას არა მხოლოდ მუსიკალურ ასპარეზზე აღწევენ.

"განელინ-ტარასოვ-ჩეკასინის" სახელი საქართველოს კიდევ ერთხელ ფესტივალ "ხელოვნების ზეიმის" წყალობით დაუკავშირდა. უკვე მესამე წელია ლიანა ისაკაძის ინიციატივითა და საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით ბორჯომში ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი იმართება. ფესტივალის მუდმივი და, ალბათ, ყველაზე კოლორიტული სტუმარი სწორედ დრფ-ს წევრი, დასარტყამ ინსტრუმენტებზე შემსრულებელი, ლიტველი ვლადიმირ ტარასოვია. გარდა ფესტივალში მუდმივად განახლებული პროგრამებითა და შემადგენლობით მონაწილეობისა, ლიტველმა ტარასოვმა კიდევ ორი პროექტით აღბეჭდა "ხელოვნების ზეიმი" და მისი მასპინძელი ბორჯომი და ლიკანი.

მათთვის, ვინც ჩემსავით არ მოსწრებია დრფ-ს ახალგაზრდობას, აღვნიშნავთ, რომ ვიაჩესლავ განელინი და ვლადიმირ ტარასოვი ასპარეზზე პირველად ქალაქ გორკიში 1970 წელს ჯაზ-ფესტივალზე გამოჩნდნენ, მაშინ ჯერ კიდევ დუეტის სახით. მოგვიანებით სვერდლოვსკში ისინი ტრიოს მესამე წევრს, საქსაფონისტ ვლადიმირ ჩეკასინს შეხვდნენ. პირველი საერთაშორისო აღიარება ტრიომ 1976 წელს მოიპოვა ლიტვის ფილარმონიის ჯაზ-ანსამბლის სტატუსით. დღემდე მათი მუსიკა თანამედროვე ჯაზის ერთ-ერთ ეტალონად ითვლება. ტრიოს თითოეული წევრი ერთგვარი პატარა ორკესტრია – ისინი უამრავ ინსტრუმენტს ფლობენ და თითოეულ მათგანს საკუთარ შემოქმედებაში სრულიად არასტანდარტულად იყენებენ.

1987 წელს დრფ-მ საკმაოდ გახმაურებული საკონცერტო ტურნე მოაწყო შეერთებულ შტატებში. რის შემდეგაც, განელინი შტატებში ემიგრანტის სტატუსით დარჩა. ამის შემდეგ ტრიო 15 წლის მანძილზე აღარ შეკრებილა. თუმცა, თითოეული წევრი სოლო კარიერას აგრძელებდა.

ტრიოს წევრები ერთმანეთს მხოლოდ 2002 წელს შეხვდნენ ფრანკფურტში. ამ მომენტს ვლადიმირ ტარასოვი, რომელიც ამ დღეებში პეტერბურგში მართავს კონცერტებს, ასე იხსენებს: **"ძალიან ვღელავდით, ამდენი წელი არ დაგვიკრავს ერთად, მაგრამ, როდესაც დავიწყეთ, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ერთი დღეც არ გასულიყო მას შემდეგ".** ამ კონცერტის ცოცხალი ჩანაწერი ინგლისში გამოიცა. ლონდონში ერთ თვეში ტარასოვის კიდევ ერთი პროექტი გამოიცემა. მას Live in Borjomi ჰქვია და სათაურიდანაც მიხვდებით, რომ იგი ბორჯომის ფესტივალს უკავშირდება. პროექტი გასულ წელს "ხელოვნების ზეიმის" ფარგლებში გამართული კონცერტის დროს ჩაიწერა. ტარასოვი მაშინ ვოკალისტ ლორენ ნიუტონსა და პიანისტ პატრიკ შეიდერთან ერთად უკრავდა. მსმენელი საკმაოდ არაერთგვაროვნად აღიქვამდა ყოველგვარი სტანდარტებისა და შტამპებისაგან თავისუფალ იმპროვიზაციულ ჯაზს. ჯაზურ სტანდარტებზე გაზრდილი მსმენელი იქ, ცხადია, ტრადიციულს ვერაფერს მოისმენდა. ლორენ ნიუტონი ფენომენალურ ვოკალურ ტექნიკას ფლობს, დაწყებული აღმოსავლური სასიმღერო ხელოვნებიდან, ე.წ. "თავით სიმღერიდან" – დამთავრებული კლასიკური ტექნიკით. შეიდერის საფორტეპიანო ექსპერიმენტები თითქმის სიმებიან ინსტრუმენტზე შესრულებაზე გადადის (როიალის სიმებს ვგულისხმობ). ტარასოვს კი ტყუილად როდი ეძახიან "დემონური რიტმების" ოსტატს.

"Live in Borjomi"-ს გამოსვლამდე ვლადიმირ ტარასოვმა კიდევ ერთი პროექტი მოამზადა. მას "ლიკანი" ჰქვია. იგი მუსიკალური და ვიზუალური ხელოვნების შერწყმის შედეგად შეიქმნა. ტარასოვი მას განსაზღვრავს, როგორც "ხმოვან ინსტალაციას". შარშან გამიმართლა და "ხელოვნების ზეიმის" მსვლელობისას, ლიკანში სწორედ ტარასოვის მეზობლად მომიწია ცხოვრება. იგი არა მარტო საინტერესო მუსიკოსი, არამედ ძალზედ საინტერესო პიროვნებაც გახლავთ. ის ხან ფოტოებს იღებდა, ხან ლიტერატურით იყო დაკავებული, ხანაც ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის შესწავლით. მოკლედ, როგორც ჩანს, მის "კლასგარეშე საქმიანობას" ლიკანში უქმად არ ჩაუვლია. პირველად ამ პროექტის ჩვენება გაზაფხულზე რუსულ მუზეუმში, მარმარილოს დარბაზში მოეწყო.

ტარასოვს დიდი სურვილი აქვს, საკუთარი ხმნოვანი ინსტალაცია საქართველოშიც ჩამოიტანოს და თბილისში აჩვენოს. მით უმეტეს, რომ 7 ივლისს იგი კვლავ "ხელოვნების ზეიმში" მონაწილეობის მისაღებად ჩამოდის. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამ პროექტისთვის შესაფერისი სივრცის მოძებნა ვერ მოხერხდა, იგი მუზეუმის ან გალერეის საკმაოდ ფართო სივრცეს საჭიროებს. თუ თბილისში პროექტს ვერ ვნახავთ, შეიძლება მისი მოდიფიცირებული ვერსია 13 ოქტომბერს ტრეტიაკოვის გალერეაში ვნახოთ, ანდა უკეთესი: ოდნავ მოგვიანებით ნიუ იორკში, ნაციონალურ მუზეუმში. ეს უკანასკნელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თუნდაც იმის გამო, რომ მუზეუმის სივრცეს ძირითადად უკვე ძალზედ აღიარებულ ავტორებსა და კოლექციებს უთმობენ, რომელნიც მინიმუმ 100 წელს მაინც მოითვლიან.

აღსანიშნავია, რომ ტარასოვისთვის ეს პირველი ვიზუალური პროექტი არ არის. მის ნამუშევრებს მოვლილი აქვთ მსოფლიო და ისეთ ცენტრებშია წარმოდგენილი, როგორიც ბარსელონას, ჩიკაგოს მუზეუმები, პომპიდუს ცენტრი და სხვა. ტარასოვი პოსტ-საბჭოთა არტის, ალბათ, ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ ავტორთან, ილია კაბაკოვთან თანამშრომლობს.

იმედი ვიქონიოთ, ხმოვან-ვიზუალური ინსტალაცია "ლიკანი" საქართველომდე მაინც ჩამოაღწევს. მანამდე კი ბორჯომის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე დრფ-ს ელოდებიან. ტრიო კიდევ ერთხელ საგანგებოდ "ხელოვნების ზეიმისთვის" შეიკრიბება. **"ძალიან ვიამაყებდი, რომ ყველგან ისეთი კონცერტი გაგვემართა, როგორც 70-იანი წლების თბილისში"** – აღნიშნავს ტარასოვი – **"ჩემი თაყვანისცემა საქართველოს!"**



ბესო გულაშვილი ფოტო

*ვლადიმირ ტარასოვი "ძალიან ვიამაყებდი, რომ ყველგან ისეთი კონცერტი გაგვემართა, როგორც 70-იანი წლების თბილისში.*

# "ისმენდიან, განჰკვირდიან"

## ამერიკული ფოლკლორული ანსამბლი Village Harmony ოზურგეთში

თამაზ ხარაიშვილი
*ოზურგეთი*

ასეთი რამ ფრიად უჩვეულოა პროვინციული ქალაქისათვის: ოზურგეთის ცენტრში მდებარე პარკში, უზარმაზარი ჭადრის ჩეროში ჟღერდა ამერიკული ხალხური მელოდია. ვიოლინოს, ბანჯოსა და მანდოლინის აკორდთა ხმაზე მუსიკის მოყვარულთა და ცნობისწადილით შეპყრობილთა დიდი ჯგუფი შეიკრიბა. რუსთველისა არ იყოს, "ისმენდიან, გაჰკვირდიან"... გაკვირვებულები ოზურგეთელები იყვნენ, ხოლო მომუსიკენი - ამერიკის ხალხური მუსიკის ანსამბლ Village Harmony-ის წევრები.

ეს ფოლკლორული ჯგუფი, რომელიც 25 მუსიკის მოყვარულისაგან შედგება, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გამართავს საჩვენებელ კონცერტებს. Village Harmony ამ ბოლო წლებში უკვე მერამდენედ სტუმრობს ოზურგეთს. თუმცა, რადგან ანსამბლის წევრთა როტაცია ხშირ-ხშირად ხდება, მისი ამჟამინდელი შემადგენლობა პირველადაა კრიმანჭულის ქვეყანაში, ანუ გურიაში. უცვლელი მხოლოდ მისი ხელმძღვანელი კარლ ლინეკია, ხელოვანი, რომელიც 150-ზე მეტ ქართულ ხალხურ სიმღერას ფლობს, კაი ძველი გურულივით კრიმანჭულობს და ჩინებული მოქართულეცაა. Village Harmony ოზურგეთში რამდენიმე დღეს დაჰყოფს, ისინი სოფელ მაკვანეთში განთქმული ლოტბარის, ტრისტან სიხარულიძის ოჯახში ცხოვრობენ. მასპინძლისაგან გაკვეთილებსაც იღებენ.

გუშინ მათ მინი კონცერტი გამართეს ოზურგეთის ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის საკონცერტო დარბაზში და ამერიკული ხალხური მუსიკის ნიმუშებთან ერთად ქართული სიმღერებიც შეასრულეს. შემდეგ კი სცენა უკვე შერეულ, ინტერნაციონალურ, სახელდახელოდ შეკრებილ ანსამბლს დაეთმო. ოკეანისგაღმელებს ოზურგეთის ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან არსებული ბავშვთა ანსამბლ "ხასანბეგურას" წევრებიც შეუერთდნენ. საამო სასმენი იყო მათ მიერ შესრულებული გურული სიმღერები, მათ შორის შეუდარებელი "ხასანბეგურა". აღსანიშნავია, რომ კრიმანჭულის ურთულესი, წამყვანი ხმა გასაოცარი ოსტატობით შეასრულა სტუმართა ხელმძღვანელმა.

# "ერისიონი" გასტროლებზე

ანსამბლი "ერისიონი" საფრანგეთში გაემგზავრა გასტროლებით. როგორც ანსამბლის ხელმძღვანელმა ჯემალ ჭკუასელმა განაცხადა, 26 ივნისს "ერისიონი" არლეს "ხელოვნების ფესტივალს" დახურავს ცნობილი პროგრამით - "ქართული ლეგენდა"; მისივე თქმით, ივლისის დასაწყისში ანსამბლი ოლიმპიასა და პარიზში შვიდ კონცერტს გამართავს; ბილეთების დიდი ნაწილი უკვე გაიყიდა. კონცერტების შემდეგ ანსამბლს სარეკლამო გადაღებები აქვს დაგეგმილი. შემოდგომით კი "ერისიონი" მთელ საფრანგეთში დიდ ტურნეს მოაწყობს.

"ერისიონი" თბილისში 8 აგვისტოს დაბრუნდება. *ინტერ-პრესი*

# ჟურნალისტებო, გაცვითეთ ქართული ჰიტები!

## მღერიან და სულაც არ ხუმრობენ მარინას სკოლაში

ვერა ნეფარიძე

*"ამ კონცერტის ერთადერთი "მინუსი" ისაა, რომ არ გვაქვს დაცული საავტორო უფლებები", - ეს მარინა ბერიძის მოსაზრებაა 23 ივნისს დიდ საკონცერტო დარბაზში დაგეგმილ მუსიკალურ საღამოსთან – "მუსმედია 2004" დაკავშირებით. არის თუ არა "საავტორო უფლებების" უგულებელყოფა ამ კონცერტის ერთადერთი უარყოფითი დეტალი, თავად განსაჯეთ: საუბარია დაახლოებით ორსაათიან პროგრამაზე, სადაც სამი წამყვანი სატელევიზიო არხის ჟურნალისტებმა ქართული საესტრადო ჰიტები უნდა შეასრულონ...*



ვახო ბესელიას ფოტო

*ორგანიზატორებს ჩაფიქრებული აქვთ, უახლოეს მომავალში პროგრამაში რადიოსა და პრესის წარმომადგენლებიც ჩართონ.*

გასაკვირი არაფერია, რომ იდეის ავტორები თავად ჟურნალისტები არიან "ახალი ჟურნალიდან"; იდეა აიტაცეს მერიის კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახურსა და სადაზღვევო კომპანია "იმედი ელში"; იდეის განსახორციელებლად კი მოიცალეს ტელევიზიებშიც. თუმცა, ჯობს დავაკონკრეტოთ. კონცერტზე მაყურებელი ვერ იხილავს ტელეკომპანია "მზისა" და სტუდია "მაესტროს" წარმომადგენლებს. როგორც ორგანიზატორებმა განმარტეს, "მზემ" ვერ მოიცალა (ის ჟურნალისტები, ვისაც სიმღერა შეუძლია, ახალ საინფორმაციო გადაცემაზე მუშაობენო), რაც შეეხება "სტერეოს" – ამ სტუდიის ეკრანული სახეები ისედაც მღერიან კლიპებსა თუ სცენაზე, ამიტომ ფილარმონიის სცენაზე მათი გამოჩენა სიახლე არ იქნებოდაო. პრინციპში, მისაღები არგუმენტია.

"ჩვენ ავიცდინეთ "მღერიან და ხუმრობენ"-ის ფორმა, ამიტომ ჩვენს ღონისძიებას კონკურსის ფორმა აქვს", - ამბობენ "მუსმედიის" ორგანიზატორები. თუმცა, ჩემი აზრით, "მღერიან და ხუმრობენ" ერთადერთი, მართალია მოყირჭებული და მეტად ბანალური, მაგრამ მაინც იქნებოდა ფორმა, რომელიც ქართველი ტელეჟურნალისტების ფილარმონიის სცენაზე გამოსვლას გაამართლებდა. თორემ, სერიოზულად ამ კონცერტზე მსჯელობა როგორ შეიძლება? თუმცა, განსხვავებული მოსაზრება აქვს მერიის კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელს: "ქართული ესტრადა საშიშროების წინაშე დგას იმიტომ, რომ თქვენი კოლეგები მათზე უკეთესად მღერიან", - გვეუბნებოდა გუშინდელ პრესკონფერენციაზე დათო ოქიტაშვილი. ქართული ესტრადის მდგომარეობას კარგა ხანია მეტი საშიშროება აღარ ემუქრება, უკვე ისეთ დღეშია; ეტყობა, ახლა მასმედიის დროა...

და მაინც: "მუსმედია 2004" ფეხს იდგამს და მეტიც: ორგანიზატორებს ჩაფიქრებული აქვთ, უახლოეს მომავალში პროგრამაში რადიოსა და პრესის წარმომადგენლებიც ჩართონ. მოტივი ასეთია - "დარწმუნებულები ვართ, ის ჟურნალისტებიც კარგად მღერიან; საქართველოში ხომ ყოველი მეორე მღერის?!" მტკიცე არგუმენტია. ყოველი მეორე რომ მღერის (თუ რომ ჰგონია, მღერის) და ამბიციაც არ უშლის ხელს, იმიტომ ჩავარდა ქართული ესტრადა იმ დღეში, დათო ოქიტაშვილს ასე ძალიან რომ არ მოწონს. კონცერტზე იმ მომღერლებსაც მოიწვევენ, ვის სიმღერებსაც ქართველი ტელეჟურნალისტები შეასრულებენ. რეპერტუარი მხოლოდ ქართულია (როგორც ორგანიზატორებმა გაგვიმხილეს, ერთადერთი სიმღერა გამონაკლისის სახით არაქართული იქნება) და ის კონცერტის მუსიკალურმა პროდიუსერმა მარინა ბერიძემ შეარჩია.

ჟურნალისტები ჟიურიშიც შეიყვანეს. როგორც ჩანს, არც ობიექტურობას ექცევა დიდი ყურადღება "მუსმედიაში". ჟიური (გაგაცნობთ რამდენიმე ცნობილ ჟურნალისტს მისი შემადგენლობიდან: კოკა ყანდიაშვილი, კაკო სიხარულიძე, სოფიკო ნარჩემაშვილი) ოთხი ტურის შედეგებს შეაჯამებს. საკონკურსო ტურები ქართული სატელევიზო არხების გადაცემების სახელწოდების ინტერპრეტაციებით დაასათაურეს. მაგალითად, პირველ ტურს ერქმევა "ზღვარი არ აქვს" ("არჩევანის ზღვარზე"), ბოლო ტურს კი – "მარინას სკოლა" (გადაცემიდან "ნუცას სკოლა") და ა.შ. ორგანიზატორები არც იმ პრიზებზე ამბობენ რაიმეს, რითაც ოთხივე ტურის გამარჯვებულებს დააჯილდოებენ.

დაბოლოს: ქართველ ჟურნალისტებს ბედმა გაუღიმათ – "მუსმედიადან" ოთხ დღეში იმავე სცენაზე ჯონ მაკლაფინი, ბობი მაკფერინი და კრის ბოტი თბილისის ჯაზფესტივალს ერთი საფეხურით დააწინაურებენ. ასეთი რამ მხოლოდ თბილისის ფილარმონიის სცენაზე შეიძლება მოხდეს...

რეცენზია

# კოლექტიური ფსიქოანალიზის "ლიტერატურული ანშლაგი"

თათა ცოფურაშვილი

ლიტერატურა ცხოვრების აღწერაა – რეალისტურად, სიურეალისტურად, სიმბოლისტურად, ფსიქოლოგისტურად, გნებავთ, ნებისმიერ "ისტურად" თუ "იზმურად". სიტყვა "აღწერაში" შეიძლება მარქსისტული ესთეტიკის ნოტაც გეცნოთ, მაგრამ ჩვენი თანამედროვე მწერლობა ხომ ძველი იდეოლოგიის ნოსტალგიითა და თუ ძველი ნაცადი ხერხების თანამედროვეობაზე მორგების გზებით სწორედ ამგვარი აღწერილობითი მცდელობებითაა დაკავებული და ამ "დაკავებულობას" თავისი არამარქსისტული ფორმულირებაც მოეძებნება: ჩვენი რეალობა ის ქვაკუთხედია, რომლის სხვადასხვანაირ ინტერპრეტაციას გვთავაზობს თანამედროვე ლიტერატურა და მისი სხვადასხვანარი პრიზმიდან ჩვენებას ცდილობს, თავად მწერლისგან განსხვავებით, "გზააბნეული" მკითხველისათვის.

ასეთია დღევანდელი ქართული სალიტერატურო პათოსი და იგი ლიტერატურული პრემია „საბას" ფავორიტების სიამაც ცხადყო.

"საბას" ლაურეატთაგან, ოთარ ჭილაძის რომანი "გოდორი" ამ მისიას უფრო სიმბოლიზმის კონტექსტშია შეჭიდებული. სიმბოლიზმი კი უკვე რომანის სათაურშია მოცემული – "გოდორი" ხომ მანკიერებითა და გარყვნილობა-გახრწნილობით შემკული საზოგადოების საშოა, და ეს გახრწნილობა კაშელთა საგვარეულო ისტორიის ფონზეა მოცემული. თავის მხრივ, რომანი უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე განვითარებული მოვლენების მწერლისეული ანალიზია და პრობლემებისა თუ ხსნის გზების ჩვენებისას იგი სიმბოლური დატვირთვის მქონე სახეებით ოპერირებს.

რომანში განმეორებადი რეფრენი მხოხავი მატლის მფრინავ პეპელად გადაქცევის შესახებ სიმბოლისტურ ელფერს ატარებს და პერსონაჟთა ისტორიის განვითარება-გარდასახვის მოლოდინით მუხტავს მკითხველს.

ეს არაერთგზის განმეორებული მოფარფატე პეპელას მხატვრული სახე კი ქართველი მწერლის შემოქმედებას ძველ ბუდისტურ პარადიგმასთან აახლოებს:

ბუდიზმის ჯაინისტური მიმდინარეობა ასეთ ლოგიკურ აპორიას, გნებავთ, პარადოქსს გვთავაზობს თავსატეხად: მწყემსს დაესიზმრა, რომ პეპალა იყო და გაღვიძებულმა ვეღარ გაიგო – იგი იყო მწყემსი, რომელსაც პეპელა დაესიზმრა, თუ პეპელა, რომელიც მწყემსს დაესიზმრა.

ბატონი ოთარის მიერ შემოთავაზებული თავსატეხი კი იმაში მდგომარეობს, რომ მხოხავ მატლად ქცეული (იგივე "გოდრიდან ამოსული") კაშელების მოდგმის პეპელად გარდაქმნის ისტორიაში - მატლია პოტენციური პეპელა, თუ პეპელაა - მატლის პოტენციური მშობელი.

ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობა კი ქართული საზოგადოების მძაფრი კრიტიკის ფონზე ვითარდება და ქართული მენტალიტეტის გარდაქმნას თუ მასში პატრიოტიზმის გაღვიძებას ისახავს მიზნად. ეს პატრიოტიზმი კი მწერლისთვის ის პატრიოტიზმია, რომელმაც მეთოთხმეტე საუკუნის საქართველოსკენ უკან დამაბრუნებელი დამწვარი ხიდების აღდგენა უნდა მოახდინოს მკითხველისათვის და ექვსასი წლის წინანდელი სულიერი შემართება დაუბრუნოს.

ყველაფერი (და რომანიც) პაპი პიოს მიერ ბიზანტიიდან ოსმალების განსადევნად თანაშემწეობისთვის საქართველოში გამოგზავნილი ლუდოვიკო ბოლონიელის სტუმრობით იწყება, რომელსაც საქართველო "ადგილზე აღარ დაუხვდა" ალექსანდრე პირველის ხელში ... და ისტორიული, სარკაზმნარევი ექსკურსით მეოცე საუკუნემდე აღწევს. ამას კი თან ახლავს "გოდრიდან ამოსული" "მხოხავი" თაობების – წითელი რევოლუციონერების, ტყავისხელთათმანიანი და მწვანესათვალიანი ჩეკისტების, სამთავრობო ფუნქციონერების ყოფის თუ აფხაზეთის ომის დროინდელი საქართველოს ილუსტრაციები.

ამგვარი მიმოხილვისთვის ფონს კი კაშელების საგვარეულო ხე ქმნის რევოლუციონერი თაობით დაწყებული "კაციჭამია" ჩეკისტი პაპით, ფუნქციონერი მამით და მისი პეპელად გარდასახვისთვის გამზადებული, ნარკომანი შვილით დამთავრებული.

მამისა და შვილის ანუ ბოლო ორი თაობის ცხოვრების აღწერას რომანის ძირითადი ნაწილი ეთმობა და ერთობ კონფლიქტური სახე აქვს. კონფლიქტის ფაბულა კი შეიძლება ითქვას, ერთობ "თანამედროვეა" კლასიკოსი მწერლისათვის - კონფლიქტის საფუძველი ხომ ცალსახად ფროიდისტულია:

ფუნქციონერ მამამთილს ახალგაზრდა რძალი (ლიზიკო) უყვარდება, პრინციპში, ერთი შეხედვით, რძალიც არ ამბობს უარს ("მე თუ გიღალატებ, მხოლოდ მამაშენთან გიღალატებ, აი, რა ჩასჩურჩულა ცოლმა ქმარს ყურში, უკიდურესი სიახლოვის ჟამს") და დიდი ოჯახური დრამაც იწყება, რომელიც მოქმედ პირთა ცნობიერების ნაკადში დაბადებული მონოლოგებისა თუ წინასწარმეტყველური სიზმრების აკომპანიმენტით ვითარდება – მას შემდეგ რაც ქმარი მამისა და ცოლის სასიყვარულო სცენას სამზარეულოში (მაინცა და მაინც დღისით, მზისით, სამზარეულოში) შეუსწრებს, მამამთილს მისივე ცოლი, ანუ დედამთილი მოკლავს და რძლის დახმარებით დამარხავს.

ცოლისგან რქებდადგმული შვილი კი პოლიციაში მიდის დანაშაულის თავის თავზე ასაღებად. თუმცა, მას არ უჯერებენ და ამის შემდეგ იგი, რიგი თავგადასავლებ და ექსცესებგამოვლილი, არც მეტი არც ნაკლები, სიმამრთან (მოღალატე ცოლის მამასთან ერთად) აფხაზეთის ომში მიდის და კვდება... ცოლი კი ამ დროს ვენებგადაჭრილი ფსიქიატრიულშია მოთავსებული და ლუდოვიკო ბოლონიელთან (აი იმასთან, პაპმა პიომ ერთ დროს რომ გამოაგზავნა დახმარების სათხოვნელად) საუბარშია გართული. ლუდოვიკოს თერაპია და დაკარგული საქართველოს მოძიების მცდელობა კი არის ის, რაც მას საღათას ძილივით ღრმა აპათიიდან გამოიყვანს და თვალს გაახელინებს......

მთელი ამ დრამის განვითარებას კი თან ახლავს მუმლის შემოსევა მოქმედების განვითარების ადგილად არჩეულ ქვიშხეთის აგარაკსა თუ თბილისში და ანტონის (შვილის) პირით წაღმა თუ უკუღმა წაკითხული "მუმლი მუხასაო გარს ეხვეოდაო", რაც ტრაგიკული მოვლენების განვითარებასთან ერთად ზედმეტი ანალოგიების ძიებისგან იხსნის მკითხველს. ანუ მწერალი რეალური მუმლით დაბინდულ სივრცეში სიმბოლური მუმლის ძიებას თავიდან გვარიდებს და პირდაპირ გვეუბნება – უბედურება მუმლის შემოსევით იწყებოდა და იწყებაო. თუმცა, ასეთი პირდაპირობა მცირე ამოვარდნადაც უნდა მივიჩნიოთ სიმბოლოებით დატვირთული მთელი კონტექსტიდან.




ოთარ ჭილაძის "გოდორთან" სამომავლო ზიარების მსურველ მკითხველებს ისღა დარჩენიათ, რომ წიგნის ხელმეორე გამოცემას დაელოდონ და იგი არავის არ მოაყოლინონ.

მოკლედ, ფაბულა დრამატულია, შეთხზული გრძელი, ქართული მხატვრულსიტყვიერების დამამშვენებელი წინადადებებით, რომელთა სიგრძე და უწყვეტობა თომას მანსაც კი შეშურდებოდა; ხოლო ამ წინადადებებს კი წითელ ზოლად გასდევს საბჭოთა იდეოლოგიის აჩრდილებთან მოქმედ პერსონაჟთა ერთგვარი დონ კიხოტური ბრძოლა.

"საბჭოთა ოდეოლოგიური კომპოტის" არსი კი, მწერლის პერიფრაზი რომ მოვახდინოთ, იმაში გამოიხატება, რომ საზოგადოებაც და ოჯახიც მოითხოვს, იყო "მშობელზე უარესი და როცა დრო მოგივა, შვილზე უკეთესი". პრინციპში, სწორედ ამ სენტენციის ილუსტრაციადაა ავტორის მიერ მთელი ეს რომანი ჩაფიქრებული და ერთგავრი კოლექტიური ფსიქოანალიზისა და ფსიქოთერაპიის ჩატარებას ისახავს მიზნად მისი მკითხველი ქართველებისათვის.

მაგრამ, დავუბრუნდეთ ისევ რომანის ფაბულას. ყველაზე საინტერესო ამ ფაბულაში სამზარეულოში ნანახი სცენის შემდეგ შვილის აკვიატებული იდეაა, რომელსაც დიდი არაცნობიერისკენ თუ კაცობრიობის მენტალური გარიჟრაჟის ამხსნელი თეორიებიკენ მივყავართ. ეს აკვიატებული ფიქრი კი იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ მან მოკლა მამა.

მამის წარმოსახულ თუ აკვიატებულ მკვლელობაში დიდი ფროიდისტული ქვეტექსტი იგრძნობა მამის, როგორც ავტორიტეტის, მოკვლისა და დირექტივების ავტორის დაცარიელებული ადგილის ღმერთით ჩანაცვლების შესახებ....

და ამ აკვიატებულ აზრში მწერლის მიერ გარკვეულ წილად მორალისტური საზრისიცაა ჩადებული, გამომდინარე სწორედ რომანის განმსაზღვრელი - მატლიდან პეპელად გარდასახვის პარადიგმიდან: დაანგრიეთ თქვენი კეთილდღეობისა და ქვიშხეთის აგარაკზე გატარებული ლამაზი დღეების (იქ, მამის ელექტრო-ჭიშკრიან სასახლეში გაატარა შვილმა ბავშვობის ლამაზი დღეები და შემდგომში თაფლობის თვე, გაიცნო ბავშვობის სიყვარული და შემდგომში ცოლი, ლიზიკო) წყაროს – მამის კერპი, რათა თქვენ ჭეშმარიტად ღმერთს და მორალურ სამყაროს დაუბრუნდეთ. თუმცა, ამ ნგრევას ანტონ კაშელი (ანუ ძე) მურმანსკელი კომკავშირელი გოგონას ტყვიით ეწირება სანგრის წინ აფხაზეთში...

ფროიდისტული სულისკვეთება მამამთილის რძლისადმი ვნებაშიც იგრძნობა. როგორც მკითხველი გებულობს, მთელი ამ გარყვნილების თავი და თავი ისაა, რომ ლიზიკო ძალიან ჰგავს მამამთილის დედას, კნიაჟნა ქეთუსიას. ამ ორი გმირის მიმართაც ერთნაირი ბედისწერის ბორბალს ატრიალებს მწერალი: კნიაჟნა ქეთუსია ქმრისა და მამის რეალურ მკვლელს, ანუ ანტონის ჩეკისტ ბაბუას გაჰყვა ცოლად; ლიზიკომ კი სარეცელი ქმრისა და მწერალი, სენტიმენტალურად პატრიოტი მამის მორალურ თუ სულიერ მკვლელთან გაიყო.

რეალობის აღწერისა და კონსტატაციის პრეტენზიას მორგებული ეს ფროიდისტული ქვეტექსტი, კიდევ გასაგები იქნებოდა, მაგრამ ლიზიკოს (ახალგაზრდა ქართველების სულისკვეთებისა და ინტერესების მებაირაღედ არჩეული პერსონაჟის) ცნობიერების ნაკადში ამოტივტივებულ, სკოლაში გაკვეთილების მაგივრად ნასწავლი სტრიპტიზის შესახებ მოგონებებზე კი რა მოგახსენოთ: "ჩვენს სკოლაში პირველად შაშუბეშა თეამ გაიხადა და გარიცხეს, მაგრამ მეორე სემესტრში უკვე მასწავლებლებიც იხდიდნენ... სამნეო განყოფილების გამგე უკვე ფულს ადებინებდა შედარებით გამოსულ მშობლებს სტრიპტიზისთვის საჭირო ინვენტარის შესაძენად."

ქართული სასკოლო განათლების სისტემა რომ ვერ დაიკვეხნიდა და დღემდე ვერ დაიკვეხნის მოსწავლისთვის სრულყოფილი განათლების მიცემით, ეს ყველასთვის ცხადია (რა თქმა უნდა, ახალმა მინისტრმა და ახლმა რეფორმებმა სექტემბრიდან მაინც თუ არ უშველა), მაგრამ ასეთი "ბრალდება" მაინც ყურსა და თვალში მოხვდება მკითხველს, ვიდრე არ გაიხსენებს, რომ ოთარ ჭილაძის რომანი სიმბოლოებით გველაპარაკება და არ დაფიქრდება, იქნებ, აქ სულაც ერთგვარი "სულიერი სტრიპტიზია" ნაგულისხმევი ნაცვლად რეალურისაო? მოკლედ, ასეა თუ ისე, ეს "იაღლიში" ფსიქიატრიულში მოთავსებული პერსონაჟის ავადმყოფურ ფანტაზიასაც შეიძლება გადააბრალოს რეალობასთან სკრუპულოზური adequatio-ს მაძიებელმა მკითხველმა.

ზოგადად რომ ვთქვათ, რომანი სიკვდილ-სიცოცხლეზეა: ადამიანების, თაობების, მატლებისა და პეპლების, სახელმწიფოების.

თუმცა, სიცოცხლის თემა მხოლოდ პერსონაჟთა თავგადასავლებში არ არის გამოვლენილი და ამის შესახებ თეორიული განაზრებებიც სჭარბობს. ოთარ ჭილაძის გმირები ხომ სიცოცხლის შესახებ კარტეზიანული ფილოსოფიისთვის შესაშური სენტენციებით მსჯელობენ: "სიცოცხლე ოპიუმია. გაშტერებს, გაცდენს, გაცდუნებს... გგონია - ხარ, მაგრამ სინამდვილეში დიდი ხანია აღარ არსებობ, არც შენთვის, არც სხვისთვის. სწორედ ამის გარკვევაა ძნელი, ხარ თუ არა." თუმცა, საკუთარი არსებობის უეჭველობის დასადგენად ოთარ ჭილაძის გმირები დეკარტესეულ მედიტაციას კი არ ეძლევიან, არამედ მოქმედებენ და ამ მოქმედებით საკუთარ სიცოცხლეს ისწრაფავენ: ზოგი ომში მიდის, ზოგს კლავენ, ზოგსაც თვითმკვლელობის მცდელობა აქვს...

ასეთი დრამატიზმი ავტორის მხრიდან განაცხადია რეალობის ან, გნებავთ, თაობების აზროვნების შეცვლის დრამატულობაზე – რევოლუციაზე და არა ევოლუციაზე – მატლი უნდა მოკვდეს, რათა პეპელა დაიბადოს.

გოდორს, საიდანაც რუსი "ურადნიკისა" და დედის სასიყვარულო თავგადასავლებს ორი წლის შვილი ადევნებდა თვალს, ავტორი მხოხავი მატლების პირველი თაობის განსახიერების თავშესაფრად გვიხატავს. ამ ორი წლის ბავშვის შთაბეჭდილებებით განისაზღვრა კაშელების ანუ "ბოლშევიზმის გაჭუპრებული მატლების" საგვარეულო მანკიერებათა მთელი ნუსხა.

ასეთი მიგნება ფროიდსაც შეშურდებოდა უდავოდ – ადამიანის არაცნობიერისა და შემდგომი კომპლექსების "აკვნად" მან ხომ პიროვნების განვითარების მთელი პირველი ხუთი წელი დაასახელა. ფსიქოანალიზის ქართული მხატვრული იტერპრეტაციით კი, გოდორში ჩაგდებული ორი წლის რაჟდენ კაშელის სექსუალურმა შთაბეჭდილებებმა მთელი მოდგმა დაამახინჯა საუკუნოდ. მოკლედ, ისღა დაგვრჩენია, ამაშიც სიმბოლიზმი დავინახოთ და არა ფროიდზე, უფრო ფროიდის მიერ ერისთვის ჩატარებული ფსიქოანალიზი.

მთელი ეს თაობათა სიმბოლური თავგადასავალი ავტორის მხრიდან კიდევ ერთი მინიშნებაა იმაზე, რომ ჩვენი რეალური პრობლემები თაობების მიერ დაგროვილ და მემკვიდრეობით შეძენილ არაცნობიერში, იუნგის ტერმინებით რომ ვთქვათ, კოლექტიურ არაცნობიერში უნდა ვეძებოთ.

ამ პრობლემების ამოსავალ პუნქტად კი რომანის პერსონაჟების სახით გამოვლენილი დაკმაყოფილებული თუ დაუკმაყოფილებელი ლიბიდო გვევლინება:

დაკმაყოფილებული სექსუალობის სახეა მამა და მამამთილი, რომელიც, თავისი ამორალურობის და გახრწნილობის გამოისობით, მატლივით ღოღავს;

დაუკმაყოფილებელი სექსუალობის განსახიერებად კი მასთან მიმართებაში ხდება შვილი (მას ჯერ ცოლი ჰღალატობს მამასთან და შემდეგ ბარის დაცვა აუპატიურებს ღამით ტუალეტში), რომელიც აფხაზეთის ომში კვდება. ანუ ადამიანობის მწერლისეული განსაზღვრების ("ადამიანობა არარსებული გზების ძიებაა") რეალობაში განხორციელებას ახდენს და სოხუმისკენ არარსებული გზების ძიებაში ამთავრებს სიცოცხლეს.

თუმცა, ეს სიკვდილი რომანის დასაწყისშივე შემოტანილი, მატლიდან პეპელად ქცევის პარადიგმის წყალობით, ერთობ მესიანურ ელფერს ატარებს და მორალური განწმენდის დასაწყისად უნდა იქნას მიჩნეული.

მოკლედ, რომანი კრიტიკულია და თავისი თემატიკით, არ გადავაჭარბებ, თუ კი ვიტყვი, რომ სკანდალურიც. მაგრამ, ჩვენი, რიგ შემთხვევაში, პურიტანული შეხედულებების მქონე საზოგადოებაში იგი არა მხოლოდ ლიტერატურული კონკურსის ლაურეატი აღმოჩნდა, არამედ წიგნის მაღაზიის დახლებიდან უკანასკნელი ეგზემპლარიც კი უკვე დიდი ხანია, რაც გაიყიდა.

ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ქართველ მკითხველს უყვარს ქართველი კლასიკოსი მწერალი და მისი ლიტერატურა.

ასე რომ, ოთარ ჭილაძის "გოდორთან" სამომავლო ზიარების მსურველ მკითხველებს ისღა დარჩენიათ, რომ წიგნის ხელმეორე გამოცემას დაელოდონ და იგი არავის არ მოაყოლინონ. როგორც ჩეხი რომანისტი მილან კუნდერა თავის "უკვდავებაში" ამბობს, კარგი რომანი ისეთია, რომელსაც ვერ მოყვები, ან სხვა გამომსახველობითი საშუალებებით (მაგალითად, კინემატოგრაფით) ვერ გამოხატავო. ოთარ ჭილაძის "გოდორშიც" არის რაღაც, რასაც ვერ მოყვებით ვერც თქვენ და ვერც მე, და რისი გაგებაც მხოლოდ მისი წაკითხვის შემდეგაა შესაძლებელი.

ალბათ, ამიტომაც გაიყიდა ეს წიგნი "ლიტერატურული ანშლაგით" უკანასკნელ ეგზემპლარამდე.

# კიდევ ერთი ავტობიოგრაფია

ბილ კლინტონი, "ჩემი ცხოვრება"

რამ შეიძლება საეჭვოდ განათლებული და მდარე გემოვნების მქონე ადამიანები გაახაროს? ცხადია, სკანდალმა. სხვისი მარცხისა და, მით უმეტეს, უზნეობის ამბავი არნახულ ინტერესს იწვევს. მერე რა, რომ ჩვენ არც ლამაზები ვართ, არც მდიდრები, არც სახელგანთქმულნი; რა მნიშვნელობა აქვს, რომ არც ხელოვნების სფეროში ვივარგეთ და არც ვაჭრობა გამოგვივიდა? ხომ ხედავთ: იმას, ნიჭიერს, ლამაზს, წარმატებულს და სასურველს ისეთივე წამხდარი ყოფა ჰქონდა (თუ ახლაც აქვს, მაგას რა სჯობია), როგორიც ჩვენ! ასეთი ამბების გასაგებად შუაღამისას რიგში ჩადგომა და ფულის გამეტებაც კი ღირს. და თუ გავითვალისწინებთ, რომ დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობას სწორედ საეჭვოდ განათლებული და მდარე გემოვნების მქონე ადამიანები შეადგენენ, უცებ მივხვდებით, როგორ აშენდა გამომცემლობა "საიმონ ენდ შუსტერი" და რატომ გამოაცხადა წიგნით მოვაჭრეთა ქსელმა Barnes & Nobles-მა, რომ შეერთებულ შტატებში წიგნის მაღაზიები ორშაბათს მთელი ღამის განმავლობაში იმუშავებს - რადგან 22 ივნისიდან ყველა მსურველს შეეძლება ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის, ბილ ქლინტონის ავტობიოგრაფიული წიგნის, "ჩემი ცხოვრების" შეძენა.

ახალი ავტობიოგრაფიის სარეკლამო კამპანია შესანიშნავი იყო. მასში "ტელე-დედოფალი", ოფრა ვინფრიც კი ჩაერთო, ექს-პრეზიდენტი თავის გადაცემაში საპატიოდ მოიწვია და კარგახანს ესაუბრა. "ჩემი ცხოვრება" უკვე საუკეთესოდ გაყიდულ წიგნთა ათეულშია შესული: ოდესღაც საყვარელი პრეზიდენტისთვის თავდადებულმა თუ ძველი ჭორების გახსენებას მოწყურებულმა ამერიკელებმა წიგნის ინტერნეტულ მაღაზიას Amazon.com-ს სარეკორდო რაოდენობა შეუკვეთეს – ორ მილიონზე მეტი ეგზემპლარი! თან ბილ კლინტონამდე თავისი მოგონებები მისმა მეუღლემ, ჰილარიმ გამოაქვეყნა, და ყველას აინტერესებს, ეს ორნი ერთსადაიმავე ამბებს როგორ ჰყვებიან (შეთანხმებას რაღა უნდა, მაგრამ მაინც). ვარაუდობენ, რომ თავად ბილ ქლინტონმა ამ წიგნისთვის 10 მილიონი დოლარი უკვე მიიღო.

ივნისის დასაწყისში ბილ ქლინტონმა თავისი ავტობიოგრაფია ამერიკელი გამომცემლების ყოველწლიურ შეხვედრაზე Book Expo America-ზე წარმოადგინა. საკმაოდ შთამბეჭდავი მოცულობის ნაწარმოებია, 950 გვერდიანი ტომი. წიგნი მას მართლაც თავად დაუწერია, რედაქტორმა, მწერალმა რობერტ გოტლიბმა მხოლოდ დასრულების შემდეგ გადაავლო თვალი.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორმა ჯერ დაიგვიანა და მერე მეტისმეტად დიდხანს ილაპარაკა, შეკრებილი საზოგადოება თავდავიწყებით უკრავდა ტაშს. "იმხანად, როცა სულ ახალგაზრდა კაცი ვიყავი და იურიდიულ ფაკულტეტს გამოვეთხოვე, საკუთარ თავს ვუთხარი, რომ ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი მიზანი კარგი წიგნის დაწერა გახდებოდა," განაცხადა ქლინტონმა. "ვერ გეტყვით, რამდენად კარგია ეს წიგნი, მაგრამ ამბავი კი კარგია".



საზოგადოებას ყველაზე მეტად აღელვებს, თუ რას წერს ექს-პრეზიდენტი მონიკასთან დაკავშირებით.

თავის 45 წუთიანი გამოსვლის დროს ქლინტონმა ყველაფერზე ილაპარაკა – მეთვრამეტე საუკუნის პოლიტიკურ განვითარებაზე თუ გენდერულ საკითხებზე. მისი წიგნიც ასეთი ყოფილა – ავტორის თავგადასავლების გარდა, ისტორიულ მიმოხილვებსაც შეიცავს. მართალია, საზოგადოებას ყოფილი პრეზიდენტის ფილოსოფიური მრწამსი ნაკლებად ადარდებს, ძირითადად, ყველა მონიკა ლევინსკისთან დაკავშირებულ ამბებს ელოდა. პრეზიდენტმა ხალხი ბოლომდე არ გაახარა, ბევრი არაფერი უთქვამს, თუმცა ბევრი ისაუბრა თავის პოლიტიკურ და პირადულ შეცდომებზე. მან თქვა, რომ წიგნში თავის მოწინააღმდეგეებსაც წარმოადგენს, ბობ დოლსა თუ უფროს ჯორჯ ბუშს, ისიც თქვა, რომ წერის პროცესში მრავალი უსიამოვნო მოგონების ამოტივტივება მოუხდა – ასე, კენეთ სტარის, "ლევინსკური თავგადასავლის" დროს თავისი ძირითადი მოწინააღმდეგის გახსენებისას გუნება ისე გაჰფუჭებია, რომ რამდენიმე საათის განმავლობაში სავსებით დაუკარგავს წერის ხალისი.

ამ წარმატებული პრეზენტაციის შემდეგ საზოგადოება ქლინტონს წიგნის ბაზრობაზეც დიდი ენთუზიაზმით შეხვდა. მის სანახავად ხალხი დილიდან უზარმაზარ რიგში დგებოდა.

წიგნი ჯერ არავის წაუკითხავს, მისი შინაარსი სასტიკად გასაიდუმლოებულია. მაგრამ "ნიუ იორკს თაიმსს" რაღაც-რაღაცეები მაინც გაუგია, კერძოდ, ის, რაც საზოგადოებას ყველაზე მეტად აღელვებს: თუ რას წერს ექს-პრეზიდენტი მონიკასთან დაკავშირებით.

"ამის მიზეზი მიზეზთა შორის უსაშინელესი იყო: იმიტომ გავაკეთე, რომ შესაძლებლობა მქონდა," განაცხადა ერთხელ ექს-პრეზიდენტმა ამერიკულ არხზე CBS, თორემ ამ ქალთან ყოფნა უაღრესად დამამცირებელი იყოო. წიგნიდან ირკვევა, რომ ეს უმსგავსო ურთიერთობა მისი ბავშვობის დემონების ბრალი ყოფილა (რომლებიც მას სკანდალის შემდეგ ჩამოსცილებიან). კლინტონი წერს, რომ პატარა ბიჭი როცა იყო, თავისი მამინაცვლის ლოთობისა და მოძალადეობის გამო სირცხვილით იწვოდა. მას ისიც კი უნახავს, როგორ სცემა ამ კაცმა დედამისს. არადა, ოჯახში პრობლემებს არავინ იმჩნევდა, და ასე განუვითარდა მასაც იმის მოთხოვნილება, რომ თავისი პირადი ცხოვრება გაესაიდუმლოებინა. სწორედ ბავშვობის მოგონებების ბრალი ყოფილა, რომ ის თავის ცოლ-შვილსა და მთელ ერს თვეების განმავლობაში ატყუებდა. შეგახსენებთ: პრეზიდენტისა და თეთრი სახლის პრაქტიკანტის, მონიკა ლევინსკის ურთიერთობის ამბავი 1998 წელს გაირკვა, არადა, თურმე 1995 წლის ნოემბრიდან 1997 წლის მაისამდე გრძელდებოდა.

ქლინტონის მემუარებში წერია, რომ დღეს ამ ამბის გახსენებაც კი თავზარს სცემს, რომ ეს მისი ცხოვრების "ყველაზე ბნელი მხარე" იყო, რომ ის ლევინსკისთან "სექსუალური შეხვედრების" წარმოდგენაზეც ცუდად ხდება და საკუთარ თავს სარკეშიც ვერ უსწორებს თვალს. სწორედ ამიტომ ხდის ცუდად კენეთ სტარის გახსენება – მისი "იაფფასიანი" გამოსვლების წყალობა ყოფილა, რომ ბილს რამდენიმე თვის განმავლობაში თეთრ სახლში, დივანზე უწევდა ძილი.

მეორე მხრივ, ექს-პრეზიდენტი მონიკას მადლიერიც უნდა იყოს: ის რომ არა, ვის რად უნდოდა მისი ფილოსოფიური წიაღსვლები და ერთი რიგითი პრეზიდენტის ცხოვრების ამბავი...



EURO 2004

# მეოთხედფინალები:

საფრანგეთი – საბერძნეთი
პორტუგალია – ინგლისი

## საფრანგეთი 3:1 შვეიცარია

გოლები: 1:0 ზიდანი (20'), 1:1 ფონლანტენი (26'), 2:1 ანრი (76'), 3:1 ანრი (84')
გაფრთხილება: პ. იაკინი, ანრი, ვოგი, ჰუგელი

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)




| | | |
|---|---|---|
| 8 | დარტყმა კარში | 3 |
| 16 | დარტყმა | 7 |
| 15 | ჯარიმა | 20 |
| 6 | კუთხური | 4 |
| 53% | ბურთის ფლობა | 47% |

შეცვლები:
სანიოლი - გალასი,
ტრეზეგე - საჰა,
გალასი - ბუმსონგი.

შეცვლები:
ჰ. იაკინი - ჰუგელი,
ანშო - მანინი,
ჩიგაკისი - რამა.



## ინგლისი 4:2 ხორვატია

გოლები: 0:1 ნ. კოვაჩი (5'), 1:1 სქოულზი (40'), 2:1 რუნი (45'), 3:1 რუნი (68'), 3:2 ტუდორი (73'), 4:2 რუნი (79')
გაფრთხილება: შიმიჩი

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)




| | | |
|---|---|---|
| 14 | დარტყმა კარში | 8 |
| 19 | დარტყმა | 13 |
| 15 | ჯარიმა | 17 |
| 6 | კუთხური | 4 |
| 50% | ბურთის ფლობა | 50% |

შეცვლები:
სქოულზი - კინგი,
რუნი - ვასელი,
ლამპარდი - ფ. ნევილი.

შეცვლები:
რ. კოვაჩი - მორნარი,
რაპაიჩი - ოლიჩი,
შიმიჩი - სრნა.



TV-სპორტი

**სამშაბათი. 22 ივნისი**

**НТВ+ФУТБОЛ**
07:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: დეივ კოუენსი
08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1997. ფინალი. "CHICAGO BULLS" - "UTAH JAZZ". პირველი მატჩი
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ბავარია" - "ბორუსია"
15:00 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/2001. "სპორტინგი" – "სპარტაკი"
16:50 თავისუფალი დარტყმა
17:05 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "მილანი" - "ინტერი"
18:50 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "მალაგა" - "ბარსელონა"
20:35 თავისუფალი დარტყმა
20:50 სახვალიო ტელეპროგრამა
20:55 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/2001. "რეალი" – "ბაიერი"
22:40 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
23:10 განვლილი სეზონის გახსენება. პორტუგალიის ჩემპიონატი. "ბენფიკა" - "ბოავიშტა"
00:55 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "ჩელსი" - "ნიუკასლი"
02:40 02:40-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. დრაფტი NBA 2004. პირდაპირი ტრანსლაცია
05:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1998. ფინალი. "UTAH JAZZ" - "CHICAGO BULLS". პირველი მატჩი

**НТВ+СПОРТ**
11:00, 14:00, 16:40 პრესცენტრი
11:20 "ოლიმპის შვილები"
11:25, 14:15 "ფორმულის ჰარმონია"
11:45 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი
14:35 "რკინის ფაქტორი". რუსეთის ჩემპიონატი ბოდიბილდინგში
15:40 ბილიარდი. რუსეთის ჩემპიონატი. ევროპული პირამიდა
16:55 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი ლიბიაში
00:30 ტრიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი ესპანეთში
01:20 ახალი ამბები
01:35 მოტოსპორტი. რუსეთის ჩემპიონატი ქანთრიკროსში. პირველი ეტაპი

**EUROSPORT**
10:00 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
10:30 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში
11:30 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
12:00 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
12:30 მძლეოსნობა. ევროპის თასი პოლონეთში
14:15 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები
15:15 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
15:45 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა
16:00 მულტისპორტი
16:30 სპიდვეი. უელსის გრან-პრი
17:30 კრივი
18:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები
19:30 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
20:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები
21:00 ნასკარის ავტორბოლები. ნექსტელის თასის ეტაპი აშშ-ში
22:00 კრივი
23:00 ფეხბურთის სიახლენი
23:15 კრივი
01:45 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
02:15 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში
03:15 ახალი ამბები
03:30 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში
04:30 ახალი ამბები

# "დინამოს" ევროპული ამბები

მიხეილ აბაიშვილი

დღეს თბილისის "დინამო" თბილისი-ფრანკფურტის რეისით გაემგზავრება გერმანიაში, სადაც შტუტგარტთან ახლოს, დაბა რუიტში, წინასასეზონო საწვრთნელ შეკრებას გაივლის.

გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე საქართველოს ექსჩემპიონმა ბოლო საკონტროლო მატჩი გამართა. ამ შეხვედრისთვის "დინამომ" თბილისის "ლოკომოტივი" შეარჩია, ხოლო გია გეგუჩაძემ ექსპერიმენტული შემადგენლობა გამოიყვანა მინდორზე. მატჩში მონაწილეობა არ მიუღიათ კვირკველიას, მელქაძეს, იაშვილს, ანჩაბაძეს... თუმცა, როგორც გავიგეთ, გიორგი ანჩაბაძე უკვე ყოფილი დინამოელია. გამგზავრების წინ, პრესკონფერენციაზე, გეგუჩაძემ აღნიშნა, რომ ბოლო წლების გუნდის საუკეთესო გამთამაშებელმა ანჩაბაძემ სარფიანი წინადადება მიიღო და სხვა გუნდში გადასვლა გადაწყვიტა.

"იმის გამო, რომ გიორგის დიდი დამსახურება აქვს "დინამოს" წინაშე, ჩვენ მისთვის ხელსაყრელი წინადადების მიღებაში ხელი არ შეგვიშლია", - განაცხადა გეგუჩაძემ.

მთავარი მწვრთნელის თქმით, გუნდი გერმანიაში 10 ივლისამდე დარჩება და მოახლოებული უეფას თასის ტურნირისთვის კარგად მოემზადება. გერმანიაში, ავსტრიასა და შვეიცარიაში გუნდი რამდენიმე ამხანაგურ მატჩსაც გამართავს და ორ საერთაშორისო ოთხთა ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. კერძოდ, 26 ივნისს "დინამო" შტუტგარტის მხარის ნაკრებს გაეჯიბრება, 29 ივნისს ჩაებმება შვეიცარიის ქალაქ ბაზელში გასამართ ტურნირში, სადაც პირველ შეხვედრას ამავე ქალაქის საკლუბო გუნდთან, 2002-03 წლის სეზონის ჩემპიონთა ლიგის მონაწილე "ბაზელთან" გამართავს. თუ "დინამომ" გაიმარჯვა, 3 ივლისს ბუქარესტის "დინამოსა" და "იანგ ბოიზს" შორის გამარჯვებულს შეხვდება, დამარცხების შემთხვევაში კი ამ წყვილების აუტსაიდერები გაითამაშებენ მესამე ადგილს.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ევროპაში გამგზავრების წინ "დინამო" "ლოკომოტივს" გაეჯიბრა და უგოლო ფრე იკმარა

6-9 ივლისს "დინამო" უკვე ავსტრიის ქალაქ ზალცბურგში გადაინაცვლებს, სადაც "ალპენ ქაფ"-ის ტურნირში სცდის ძალებს. პირველი მეტოქე მასპინძელი "ზალცბურგი" ეყოლება, მეორე მატჩი კი "ბეშიქთაშთან" ან "ბრონდბიუსთან" მოუწევს. სხვათა შორის, "ევროსპორტი" ამ ტურნირის პირდაპირ ტრანსლაციებს გეგმავს.

გერმანიაში გეგუჩაძეს მიჰყავს: ზოიძე, მამალაძე, თოთლაძე (მეკარეები), შაშიაშვილი, კანდელაკი, ჭიჭვეიშვილი, სალუქვაძე, გიგაური, კაშია, ნემსაძე, ბურდული, კვირკველია, რომერო, ხმალაძე, ალადაშვილი, გრიგალაშვილი, კანკავა, ქუცურუა, ჩირიკაშვილი, იაშვილი, მელქაძე, ახალაია, გონჩაროვი, კაკალაძე, დვალი, დვალიშვილი.

რაც შეეხება გუშინდელ მატჩს, იგი ფრედ, 0:0 დასრულდა. აღსანიშნავია, რომ მეორე ტაიმში "ლოკომოტივის" კარში დაინიშნა პენალტი, რომლის შესრულებაც დვალმა ითავა, მაგრამ ბრწყინვალედ ითამაშა გვარამაძემ – მან პენალტი მოიგერია.

ეს წინასასეზონო სამზადისში "დინამოს" მეოთხე ამხანაგური სპარინგ-მატჩი იყო. მანამდე გეგუჩაძის გუნდი ბაქოს "ნეფთჩის" დაუზავდა (2:2), ხოლო "თბილისი" და "დილა" ერთნაირი ანგარიშით - 3:0 დაამარცხა.

რაგბი

# საქართველოში მეშვიდე რუსეთში პირველია

პაატა თოთაძე

თბილისის შვიდკაცას შემდეგ ევროპული სერიის მორიგი ეტაპი მოსკოვში გაიმართა. წესის თანახმად, თითოეულმა გუნდმა, სულ მცირე, ორ ტურნირში უნდა მიიღოს მონაწილეობა. დასკვნით ეტაპზე სათამაშოდაც სწორედ ამ ორი ეტაპის საუკეთესოები შეირჩევიან.

ბორჯღალოსნებმა ორი კვირის წინ თბილისის შვიდკაცაზე ითამაშეს, მეორედ კი თვის ბოლოს კიევის შვიდკაცაზე ითამაშებენ. მოსკოვის ტურნირი ჩვენთვის იმით გახდა საინტერესო, რომ ივლისში მალიორკაზე გასამართ ფინალურ ეტაპზე ჩვენი მეტოქეები უნდა გარკვეულიყვნენ. რუსეთში შეკრებილ ნაკრებთაგან ფავორიტად მასპინძლები, პორტუგალიელები და შოტლანდიელები ითვლებოდნენ. რუსებმა წინა მსოფლიო ჩემპიონატზე მეცხრე ადგილი დაიკავეს. გადამწყვეტ ბრძოლაში მათ სწორედ ქართველები დაამარცხეს. პორტუგალიელები ბოლო პერიოდში აშკარა პროგრესს განიცდიან, რაც IRB-ს მსოფლიო სერიაშიც გამოჩნდა. სხვათა შორის, პორტუგალიელებს კიევში საქართველოს ნაკრებთან მოუწევთ თამაში. შოტლანდიელებს კი რაგბის თამაში არ ესწავლებათ.

ამ ტურნირზე ორი ისეთი გუნდი თამაშობდა, ორი კვირის წინ თბილისში რომ ითამაშა. ერთი შოტლანდიაა, რომელმაც ჩვენთან მეშვიდე ადგილი დაიკავა, მეორე კი - ისრაელი. ისრაელმა ტრადიციას არ უღალატა და, როგორც თბილისში, მოსკოვშიც ყველა მატჩი წააგო. შოტლანდიელებმა კი იყოჩაღეს - ტურნირი მოიგეს. ჯგუფურ ეტაპზე სქოთებმა ჯერ ისრაელი (64:0), შემდეგ კი გერმანია (50:0) და ჰოლანდია (35:0) დაამარცხეს და ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდნენ. მეორე გერმანიის ნაკრები იყო. მეორე ჯგუფში პირველობა პორტუგალიის ნაკრებს ხვდა წილად. პორტუგალიელებმა ლატვიელებს (24:5), ნორვეგიელებს (48:5) და რუსებს (26:5) მოუგეს. მეორე ადგილზე რუსეთის ნაკრები გავიდა.

ერთი ნახევარფინალური მატჩი უბრალო ფორმალობა იყო – პორტუგალიამ გერმანიას 50:0 მოუგო. ამ გუნდებს შორის კლასში დიდი განსხვავებაა, რაც ანგარიშზეც აისახა. მეორე ფინალისტის გამოსავლენად დამატებითი დრო გახდა საჭირო. რუსეთ-შოტლანდიის მატჩის ძირითადი დრო 19:19 დასრულდა. წინათ გამარჯვებულის გამოსავლენად გუნდები არეკნებს ურტყამდნენ, ახლა კი ერთი დამატებითი ტაიმი ითამაშეს, რომელიც შოტლანდიელთა ოქროს ლელოთი დასრულდა.

სქოთებმა არც ფინალში შეირცხვინეს თავი და 15:12 დაამარცხეს პორტუგალია. რუსეთის ნაკრებს მესამე ადგილი ერგო. მათ გერმანიის ნაკრები დაამარცხეს - 28:14. მანამდე რუსებს პოლონეთის შვიდკაცაზე ჰქონდათ ნათამაშები, სადაც მეორე ადგილი დაიკავეს - ფინალი ირლანდიასთან წააგეს. ასე რომ, ორი ეტაპის ჯამში რუსები მალიორკაზე თამაშის უფლებას მოიპოვებენ. ამის უფლება უკვე მოპოვებული აქვთ საქართველოს, ირლანდიის, შოტლანდიისა და იტალიის ნაკრებებს.

ალპინიზმი

# კაცხის სვეტის სიახლენი

თამარ ჭიშკარიანი

"გოგონათა შორის ინდივიდუალური ცოცვის ტრასის გახსნა მე მომიხდა. საერთოდ, შეჯიბრების დროს მონაწილეები ეგრეთ წოდებულ "იზოლატორში" სხედან და საასპარეზო ტრასას ვერ ხედავენ. ამჯერად ტრასაზე პირველი აღმოვჩნდი და არ ვიცოდი, რა გზით უნდა მევლო. იმპროვიზაცია მიწევდა. როცა თავი კლდეს ავარტყი და თავბრუ დამეხვა, ვიგრძენი, რომ ფინიშთან ახლოს ვიყავი. კლდეს ხელი მაინც არ გავუშვი, მოწყვეტა და ასპარეზობიდან გამოთიშვა არ მინდოდა. თოკი ჩემს თავზე ბოლოვდებოდა და მეც მას გავყევი, სანამ გულშემატკივართა ხმამ არ გამომაფხიზლა. ქვევით ჩავიხედე და დავინახე, რომ ფინიშს ოთხიოდე მეტრით ავცდი. ფინიშის დასაფიქსირებლად უკან დაბრუნება და ტრავერსის გაკეთებაც კი მომიხდა. მოკლედ, მეხუთე შედეგი ვაჩვენე. ძალიან დასანანია..." - ამბობს სოფო თვარაძე, საქართველოს 2004 წლის ჩემპიონი სისწრაფეზე ცოცვაში.

ეს კურიოზული შეცდომა სოფო თვარაძემ საქართველოს ჩემპიონატის ბოლო დღეს, პირველი ქართველი ალპინისტი ქალის, ალექსანდრა ჯაფარიძის მემორიალზე, ინდივიდუალური ცოცვის (შედეგი ვლინდება საუკეთესო დროის მიხედვით) დროს დაუშვა. ალექსანდრა ჯაფარიძის სახელობით პრიზს კი დაეუფლა ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი ნინო ჩარკვიანი, რომელიც ბოლო წელიწადია, ყაზბეგის გუნდის სახელით ასპარეზობს. ვაჟთა შორის ეს ჯილდო ბათუმელ ვალერი ფერაძეს ერგო. სხვათა შორის, ვალერი ფერაძე ტრავმით გამოწვეული ერთწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა მეკლდეურთა არცთუ მრავალრიცხოვან არმიას.

ალექსანდრა ჯაფარიძის მემორიალამდე მეკლდეურებმა წლის ჩემპიონები გამოავლინეს ცოცვის ორ სახეობაში - რთულ და სისწრაფეზე ცოცვაში. ასპარეზობა ჭიათურის მახლობლად, კაცხის სვეტის გარშემო მდებარე კლდეებზე გაიმართა.

ასპარეზობის პირველ სახეობაში, როგორც უკვე გითხარით, თბილისელმა სოფო თავრაძემ (1:03.90) გაიმარჯვა. მან მეორე ადგილზე გასულ, შარშანდელ ჩემპიონს ნინო ჩარკვიანს (1:06.17) რამდენიმე მეასედი წამით აჯობა. მესამე ადგილზე გავიდა სპორტის აკადემიის წარმომადგენელი თამარ დიდებულიძე (1:38.61). პრიზიორთა სამეულმა რთული ცოცვის ფინიშის შემდეგ მხოლოდ საპრიზო ადგილები გადაცვალა. აქ გამარჯვებული ყველაზე მაღლა დაფიქსირებული ზღვრით ვლინდება. პირველი ცდის შემდეგ სამივე გოგონას ერთნაირი სიმაღლე - 13 მეტრი და 40 სანტიმეტრი ჰქონდა დაფიქსირებული. ფინალში გამარჯვებულის ვინაობა კი 15-მა სანტიმეტრმა გადაწყვიტა. თამარ დიდებულიძემ 8 მეტრის სიმაღლეზე "ატიაჟკაში" თოკის ჩაგდება მოახერხა. თავრაძემ 7 მეტრი და 85 სმ დააფიქსირა. მესამე ადგილზე გასულმა ჩარკვაინმა კი - 7 მეტრი და 75 სმ.

რაც შეეხება ვაჟებს, აქ ორივე სახეობაში სპორტის აკადემიის წარმომადგენელმა ავთო ქურასბედიანმა გაიმარჯვა. რთულ ცოცვაში მან 15 მეტრისა 50 სმ-ის გავლა მოახერხა, სისწრაფეზე ცოცვაში კი უშუალო მდევარს ვალერი ფერაძეს მხოლოდ ერთი მეასედით მოუგო. ქურასბედიანის დრო 0:48.28 იყო, ფერაძის - 0:49.07. ამ სახეობაში მესამე შედეგი ლენტეხის გუნდის წარმომადგენელმა გურამ გაზდელიანმა უჩვენა - 0:53.57.

ვაჟთა შორის რთულ ცოცვაში პრიზიორები არ გადაადგილებულან. ფერაძემ 14 მეტრი და 15 სმ დაძლია, გაზდელიანმა - 13 მეტრის.

საქართველოს 2004 წლის ჩემპიონატის გუნდური პირველი ადგილი აჭარის წარმომადგენლებს ერგოთ.

ფორმულა 1

# შეჯანჯღარებული ინდიანაპოლისი

გიგა გურასაშვილი

*დრამატული და ქაოსური. მოვლენების კალეიდოსკოპური თანმიმდევრობა. ამოუცნობი და შიშის მომგვრელიც. ხიფათის ზღვარზე ქროლვა. სამეფო რბოლა და სამშვიდობოს გასული რვა მრბოლი. მანამდე... მანამდე კი გზიდან მრავალრიცხოვანი გადახვევები, მძიმე ავარიები; ტრასაზე ორჯერ შევარდნილი პეისკარი... ცოტა უფრო მოგვიანებით ექიმები და გზა საავადმყოფოსკენ. აი, ასეთი იყო "აშშ-ის დიდი პრიზი" და "მოტორ სპიდვეიზე" დატრიალებული მოვლენები.*




*რუბენს ბარიკელო სტარტზე პირველი იყო, მაგრამ მიხაელ შუმახერს მაინც ჩამორჩა.*

მსოფლიო ჩემპიონატის ინდიანაპოლისური მეცხრე ეტაპი, როგორც მოსალოდნელი იყო, მიხაელ შუმახერის გამარჯვებით დასრულდა. თუმცა, სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონს პირველობაში რიგმა გარემოებებმაც შეუწყო ხელი. შაბათის კვალიფიკაცია მისმა თანაგუნდელმა რუბენს ბარიკელომ მოიგო, რამაც კვირის რბოლის წინ გარკვეულწილად სიახლის მოლოდინისთვის განგვაწყო. რბოლისას თანაგუნდელებმა არაერთხელ გაცვალეს ლიდერის როლი. ბოლო პიტ-სტოპის შემდეგ ბრაზილიელმა ხელთ იგდო ლიდერობა. ფინიშის ხაზთან კი ყველაფერი სხვაგვარად გამოიყურებოდა. "შუმისა" და რუბინიოს შორის სხვაობამ თითქმის სამი წამი (2.9) შეადგინა.

...კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე მდგარი ბარიკელო იმედგაცრუებული ჩანდა. ის მთელი უიკ-ენდის განმავლობაში თითქოს უპირატესობას ფლობდა, თითქოს სტაბილურად უკეთესი შედეგები ჰქონდა, ვიდრე მის ტიტულოვან თანაგუნდელს და ამ დროს... მაგრამ მისი თანაგუნდელი ხომ მიხაელ შუმახერია...

ნირწამხდარმა გამარჯვება არც კი მიულოცა. ახლა ბრაზილიელსა და გერმანელს შორის სხვაობა 18 ქულაა და სავსებით შესაძლებელია, დროთა განმავლობაში იკლოს. თუმცა, შეიძლება მოიმატოს კიდეც. წინ კი საფრანგეთის "მანი კურია".

ასე რომ, შიდასკუდერიულ დაპირისპირებამდე ორკვირიანი ლოდინი მოგვიწევს. მანამდე კი ისევ ინდიანაპოლისს დავუბრუნდეთ.

ქაოსი შესახურებელ წრეზევე დაიწყო. მის დაწყებამდე 15 წამით ადრე "უილიამსის" კოლუმბიელი მრბოლი ხუან-პაბლო მონტოია კოკპიტიდან ფეთიანივით ამოხტა და ბოქსებისკენ გაექანა, რათა სათადარიგო ბოლიდში ჩაჯდომა მოესწრო. მოგვიანებით გაირკვა, რომ სტარტისთვის გამზადებული მანქანა არ იქოქებოდა. მაგრამ ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რა შარშიც მოგვიანებით კოლუმბიელი გაეხვა - 58-ე წრეზე მონტოიას შავი ალამი აუფრიალეს. კერძოდ, ფია-ს (საერთაშორისო საავტომობილო ფედერაცია) წარმომადგენლის განმარტებით, უილიამსელს რეგლამენტის 58-ე პარაგრაფი დაურღვევია: "მონტოიამ რბოლა სათადარიგო მანქანით ჩაატარა. გარდა ამისა, შესახურებელ რბოლამდე სასტარტო მოედანი 15 წამზე ადრე დატოვა".

ერთი სიტყვით, კოლუმბიელმა სასტარტო მოედნის დატოვების რეგლამენტით განსაზღვრული დრო დაარღვია და, შესაბამისად, დისკვალიფიკაციაც მიიღო.

საერთოდ, "მოტორ სპიდვეის" ტრასა მონტოიამდეც საკმაოდ შეთხელდა. ინდიანაპოლისური ეტაპი ერთგვარ "ბერმუდის სამკუთხედსაც" კი დაემსგავსა. თავად განსაჯეთ: რბოლა მხოლოდ რვა მრბოლმა დაამთავრა. დანარჩენები ან ტექნიკური გაუმართაობის გამო გამოეთიშნენ ასპარეზობას, ან ავარიაში მოხვდნენ. თუმცა, ის, რაც მე-11 წრეზე მოხდა, "აშშ-ის დიდი პრიზის" მთავარი "მშვენება" გამოდგა. "უილიამსის" მრბოლი რალფ შუმახერი მკვეთრი მოსახვევიდან გაიჭრა, მართვა დაკარგა და ბეტონის კედელს შეასკდა. რამდენიმე წამით ყველა დადუმდა. დალეწილ FW26 ბოლიდთან მივარდნილი სასწრაფო სამედიცინო სამსახურის მუშაკებმა რალფი კოკპიტიდან ამოიყვანეს და საავადმყოფოში გააქანეს. საბედნიეროდ, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ უმცროსს შუმახერს სერიოზული არაფერი სჭირს, თუ არ ჩავთვლით ზურგში ტკივილს. დასაწყისში ვთქვით, "აშშ-ის დიდ პრიზზე" აერაერთი ავარია იყოო. კინაღამ სწორედ მე-11 წრემდე მომხდარი ავარია გამოდგა რალფისთვის საბედისწერო. "რენოს" ესპანელ მრბოლს ფერნანდო ალონსოს მეცხრე წრეზე საბურავი დაუზიანდა და ტრაექტორიადაკარგული ბოლიდი სარეკლამო აბრებისკენ გაექანა. ამ შემთხვევამდე ალონსომ ექვსი მეოტოქე ჩამოიშორა და შესაძლო იყო, სამეულში მოსახვედრადაც კი ებრძოლა, მაგრამ არ გაუმართლა. ერთი სიტყვით, როგორც მოგვიანებით დადგინდა, როდესაც ალონსო გზიდან გადავარდა, ტრასაზე ნამსხვრევები მიმოიფანტა. რალფის ბოლიდმა სწორედ ერთ-ერთ ნამსხვრევს გადაუარა და უკანა მარცხენა საბურავი გაუსკდა.

"რალფი შეცდომის გამო არ გადავარდნილა ტრასიდან. ეს მისი ბრალი არ იყო, - ამბობს "უილიამსის" ტექნიკური დირექტორი სემ მაიკლი.

რაც შეეხება მოულოდნელობას, მისი ავტორია BAR-ის იაპონელი მრბოლი ტაკუმა სატო, რომელიც რბოლის ერთგვარ გმირადაც კი იქცა. მას შემდეგ, რაც რალფი საავადმყოფოში გააქანეს, ტრასა კი პეისკარმა დატოვა და რბოლა განახლდა, იაპონელმა რამდენიმე მეტოქე ჩამოიტოვა. შედეგად, ტაკუმა სატო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე აღმოჩნდა. მოგვიანებით კი დაიქადნა: ჯერ სადა ხართ, ეს დასაწყისიაო.

# კონკურსი ევრო 2004

ლიდერთა მდგომარეობა 10 მატჩის შემდეგ და მათი პროგნოზები

| ადგ | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქულა | პროგნოზი 11 | პროგნოზი 12 |
|---|---|---|---|---|
| 1. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 76 | 0:1 | 1:2 |
| 2. | გიორგობიანი მერაბ რევაზის ძე | 71 | 1:2 | 1:1 |
| 3. | დიდიძე გიორგი ზურაბის ძე | 70 | 1:2 | 1:2 |
| 4-5. | დოლიძე დავით პაატას ძე | 69 | 1:1 | 1:2 |
| 4-5. | მუმლაძე მარეხ შოთას ასული | 69 | 1:0 | 2:0 |
| 6-11. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 65 | 1:0 | 2:1 |
| 6-11. | დარბინიანი ვოსკან | 65 | 3:3 | 2:1 |
| 6-11. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | 65 | 2:1 | 0:1 |
| 6-11. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | 65 | 2:1 | 1:0 |
| 6-11. | ნიკოლაიშვილი ალექსი ზურაბის ძე | 65 | 0:1 | 1:0 |
| 6-11. | ჯიბლაძე ნიკოლოზ ლერის ძე | 65 | 2:1 | 1:2 |
| 12. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | 64 | 1:2 | 0:1 |
| 13. | მუმლაძე აკაკი დომენტის ძე | 60 | 1:0 | 0:2 |
| 14-28. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 59 | 0:1 | 1:0 |
| 14-28. | ახვლედიანი ვასილ ალექსანდრეს ძე | 59 | 0:1 | 1:1 |
| 14-28. | ახვლედიანი ვასილ ვასილის ძე | 59 | 1:0 | 1:1 |
| 14-28. | ბიგვავა მიხეილ გურამის ძე | 59 | 1:0 | 2:1 |
| 14-28. | გელაშვილი ზურა ვაჟას ძე | 59 | 2:1 | 2:2 |
| 14-28. | გელაძე გელა ტარიელის ძე | 59 | 0:2 | 1:2 |
| 14-28. | გრიშაშვილი მამუკა იურის ძე | 59 | 1:2 | 2:1 |
| 14-28. | კაპანაძე იოსებ აბელის ძე | 59 | 1:2 | 0:0 |
| 14-28. | მელაშვილი დავით დიმიტრის ძე | 59 | 1:0 | 3:2 |
| 14-28. | ნაცვლიშვილი შოთა ოთარის ძე | 59 | 1:2 | 2:1 |
| 14-28. | ნიქაბაძე ალექსანდრე თამაზის ძე | 59 | 0:1 | 1:1 |
| 14-28. | ონიანი დავით როლანდის ძე | 59 | 1:0 | 1:1 |
| 14-28. | რობაქიძე ოთარ მურმანის ძე | 59 | 1:1 | 1:1 |
| 14-28. | ჩინჩალაძე ლევან ალექსანდრეს ძე | 59 | 0:1 | 2:1 |
| 14-28. | ჯინჭარაძე ნიკა გიორგის ძე | 59 | 1:1 | 1:1 |
| 29-31. | გრიგოლაშვილი ვალერი ილიას ძე | 58 | 2:1 | 1:2 |
| 29-31. | ნიკოლაიშვილი ალექსი ზურაბის ძე | 58 | 1:1 | 1:1 |
| 29-31. | ყირიმლიშვილი ჯაბა ელგუჯას ძე | 58 | 1:0 | 1:0 |
| 32. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | 55 | 1:1 | 1:1 |
| 33-56. | ადიკაშვილი დანიელ დავითის ძე | 54 | 2:1 | 2:0 |
| 33-56. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 54 | 0:0 | 1:2 |
| 33-56. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 54 | 1:1 | 1:1 |
| 33-56. | გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე | 54 | 1:2 | 1:2 |
| 33-56. | გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე | 54 | 1:1 | 1:0 |
| 33-56. | გეთიაშვილი გიორგი გოჩას ძე | 54 | 1:1 | 1:0 |
| 33-56. | გიორგაძე ჟორა აკაკის ძე | 54 | 2:1 | 1:1 |
| 33-56. | გრიშაშვილი მამუკა იურის ძე | 54 | 0:2 | 1:1 |
| 33-56. | ზაზაშვილი ზურაბ ბეჟანის ძე | 54 | 1:0 | 1:1 |
| 33-56. | თავბერიძე ზურა კახის ძე | 54 | 1:1 | 1:1 |
| 33-56. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | 54 | 1:0 | 0:1 |
| 33-56. | კალანდაძე ბადრი გივის ძე | 54 | 1:0 | 2:1 |
| 33-56. | კახელიშვილი მამუკა ნოდარის ძე | 54 | 1:1 | 2:1 |
| 33-56. | მატარაძე ოთარ მამუკას ძე | 54 | 2:2 | 1:0 |
| 33-56. | მაწარაშვილი ელგუჯა ზაალის ძე | 54 | 2:2 | 2:0 |
| 33-56. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | 54 | 2:1 | 1:1 |
| 33-56. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | 54 | 1:1 | 0:1 |
| 33-56. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | 54 | 1:1 | 2:1 |
| 33-56. | მესხელი ნიკოლოზ ვლადიმერის ძე | 54 | 0:1 | 2:0 |
| 33-56. | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე | 54 | 2:1 | 2:2 |
| 33-56. | ქავთარაძე გივი ილიას ძე | 54 | 2:1 | 0:1 |
| 33-56. | წიკლაური თამაზ ალექსანდრეს ძე | 54 | 1:2 | 0:1 |
| 33-56. | ხარხელაური ვლადიმერ ლევანის ძე | 54 | 1:2 | 2:2 |
| 33-56. | ხვედელიანი ირაკლი მიხეილის ძე | 54 | 2:2 | 0:2 |
| 57-81. | ალბუთაშვილი გიორგი ელგუჯას ძე | 53 | 2:2 | 2:3 |
| 57-81. | გირკელიძე არჩილ ვალერის ძე | 53 | 1:1 | 3:1 |
| 57-81. | დავითულიანი გიორგი როლანდის ძე | 53 | 1:1 | 2:1 |
| 57-81. | დოხნაძე გიორგი ტუგოს ძე | 53 | 1:2 | 1:1 |
| 57-81. | ელბაქიძე ლია ივანეს ასული | 53 | 1:1 | 0:0 |
| 57-81. | თავართქილაძე მირიან იოსების ძე | 53 | 1:2 | 2:2 |
| 57-81. | იმნაიშვილი არჩილ ვაჟას ძე | 53 | 1:1 | 1:2 |
| 57-81. | ირემაძე გოგა გიზოს ძე | 53 | 1:2 | 1:1 |
| 57-81. | კაპანაძე გიორგი ვახტანგის ძე | 53 | 1:0 | 2:2 |
| 57-81. | მუმლაძე აკაკი დომენტის ძე | 53 | 1:2 | 0:1 |
| 57-81. | მღვდლიაშვილი გიორგი ირაკლის ძე | 53 | 1:0 | 0:2 |
| 57-81. | ფაცია გიორგი მურმანის ძე | 53 | 1:1 | 0:0 |
| 57-81. | ქაჯაია ლევან კარლოს ძე | 53 | 1:1 | 0:0 |
| 57-81. | ღაღანიძე სერგო ივანეს ძე | 53 | 0:1 | 1:0 |
| 57-81. | შავაძე ალექსანდრე გიგოს ძე | 53 | 0:1 | 1:1 |
| 57-81. | ჩარგაზია კახა გიორგის ძე | 53 | 2:1 | 1:2 |
| 57-81. | ჩაჩანიძე არჩილ ტიტეს ძე | 53 | 2:2 | 1:2 |
| 57-81. | ჩუბინიძე მერაბ ვლადიმერის ძე | 53 | 1:1 | 0:2 |
| 57-81. | ჩხაიძე გიორგი შოთას ძე | 53 | 1:0 | 0:1 |
| 57-81. | ცინცაძე დავით გიორგის ძე | 53 | 3:2 | 1:2 |
| 57-81. | ცუცქირიძე თეიმურაზ გიორგის ძე | 53 | 0:0 | 2:2 |
| 57-81. | ჯაბუა გრიგოლ მიხეილის ძე | 53 | 2:1 | 3:1 |
| 57-81. | ჯალაღონია ლაშა გენადის ძე | 53 | 1:1 | 1:2 |
| 57-81. | ჯაყელი ანრი გიორგის ძე | 53 | 2:2 | 1:0 |
| 57-81. | ჯიჯეიშვილი თენგიზ ალექსანდრეს ძე | 53 | 2:1 | 1:1 |
| 82-96. | ადუაშვილი თორნიკე ამირანის ძე | 52 | 2:1 | 0:0 |
| 82-96. | გორგაძე საბა ირაკლის ძე | 52 | 0:1 | 1:0 |
| 82-96. | გუსეინოვი თემურ ჰამლეტის ძე | 52 | 0:0 | 1:2 |
| 82-96. | დანელია არველოდ ილიას ძე | 52 | 1:1 | 2:1 |
| 82-96. | დოლიძე გიორგი თედორეს ძე | 52 | 2:0 | 2:2 |
| 82-96. | კაკუბავა გიორგი კარლოს ძე | 52 | 0:1 | 1:0 |
| 82-96. | მარტყოფლიშვილი პაატა ელგუჯას ძე | 52 | 0:2 | 0:0 |
| 82-96. | ნოზაძე გრიგოლ თამაზის ძე | 52 | 0:0 | 1:1 |
| 82-96. | ტარიელაშვილი თემურ სერგოს ძე | 52 | 1:2 | 1:1 |
| 82-96. | ურუშაძე ამირან აკაკის ძე | 52 | 2:4 | 1:1 |
| 82-96. | უშვერიძე გიორგი თამაზის ძე | 52 | 1:2 | 1:2 |
| 82-96. | ფაცია გიორგი მურმანის ძე | 52 | 1:4 | 1:2 |
| 82-96. | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე | 52 | 2:2 | 1:2 |
| 82-96. | ქორთუა ვლადიმერ მერაბის ძე | 52 | 2:0 | 1:1 |
| 82-96. | ჯიქია ლაშა ვლადიმერის ძე | 52 | 1:2 | 1:1 |
| 97-105. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 49 | 1:1 | 1:2 |
| 97-105. | გელენავა გიორგი ზაურის ძე | 49 | 1:1 | 2:1 |
| 97-105. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | 49 | 0:0 | 1:0 |
| 97-105. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | 49 | 2:1 | 0:1 |
| 97-105. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | 49 | 1:2 | 2:1 |
| 97-105. | კაპანაძე იოსებ აბელის ძე | 49 | 1:2 | 0:1 |
| 97-105. | ლომსაძე ლევან დავითის ძე | 49 | 2:1 | 3:0 |
| 97-105. | მამაცაშვილი თეო გურამის ასული | 49 | 0:1 | 3:1 |
| 97-105. | ხვადაგიანი მიხეილ ანდროს ძე | 49 | 2:1 | 2:1 |

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

განახლებული გადაცემა "ხალხის პირისპირ" სექტემბრიდან კვლავ გავა რუსთავი 2-ის ეთერში. [illegible]

[illegible]

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ტელეკომპანია "ხალხის პირისპირ", ვაჟა-ფშაველას 45, 380077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიზიისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საშუალებით, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: [illegible]

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

დამხმარე კატეგორია: [illegible]

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? [illegible]

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? [illegible]

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? [illegible]

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

რატომ გინდათ, მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. მასზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

„ხალხის პირისპირ" – ეს არის გადაცემა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჯდის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტებს.

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

| შეკითხვის ტექსტი: | პასუხის ტექსტი: |
| --- | --- |
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |
| 4 | |
| 5 | |

სახელი და გვარი

ბინის მისამართი

სამსახურის ტელეფონის ნომერი

ბინის ტელეფონის ნომერი

მობილური ტელეფონის ნომერი

[illegible]

[illegible]

თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

# მუსიკოსების საწარმოო ტრავმები

*თავისი პროფესია ყველას ყველა სხვაზე უფრო სახიფათოდ მიაჩნია. გამონაკლისს არც როკ-მუსიკოსები წარმოადგენენ. შეიძლება აჭარბებენ, თუმცა ფაქტებს თუ დავუჯერებთ...*





*ნიკო (მარცხნივ) ნიცაში იპოვეს მკვდარი თავის ველოსიპედთან.*

*საუკუნის დანაშაულის მსხვერპლი ჯონ ლენონი (მარჯვნივ).*

### ნარკოტიკები და ალკოჰოლი

ამ მიზეზით დაღუპულთა რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ჩამოთვლას აზრი არ აქვს.

### ტრანსპორტი

A-დან B პუნქტში მიღწევა მუსიკოსისთვის ისე ადვილი არ არის, როგორც ჟღერს...

### თვითმფრინავები

1959 წლის 2 თებერვალი - "დღე, როდესაც მუსიკა მოკვდა": ავიაკატასტროფაში დაიღუპნენ როკ-ენ-როლის პიონერები - ბიგ ბოპერი, რიჩი ვალენსი და ბადი ჰოლი.

ამავე მიზეზით სხვადასხვა დროს დაიღუპნენ: ოტის რედინგი, პეტსი კლეინი და გლენ მილერი; ხოლო სტივი რეი ვოენი შვეულმფრენის კატასტროფის დროს დაიღუპა.

### ავტომობილები

1977 წლის 16 სექტემბერი - მანქანა, რომელსაც მართავდა მარკ ბოლანის მეგობარი, ლონდონში ხეს შეასკდა. მუსიკოსი ადგილზევე გარდაიცვალა.

1984 წლის 31 დეკემბერი - ჯგუფ Def Leppard-ის დასარტყმელებზე შემსრულებლის, რიკ ალენის "კორვეტი" შეფილდის მახლობლად კედელს შეასკდა. მძლავრმა დარტყმამ ალენი მანქანის საქარე მინიდან გადააგდო, მაგრამ მისი მარცხენა ხელი მანქანაში დარჩა. ამის მიუხედავად, თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით მან შეძლო კარიერის გაგრძელება და, ალბათ, პირველი ცალხელა შემსრულებელია დასარტყამ საკრავებზე.

### მოტოციკლეტები

1971 წელს მოტოკატასტროფაში დაიღუპა ჯგუფ Allman Brothers-ის წევრი დუეინ ოლმენი. ზუსტად ერთი წლის შემდეგ, ზუსტად იმავე ადგილას და ისევ მოტოციკლეტით იღუპება ჯგუფის კიდევ ერთი წევრი ბერი ოკლი.

### სხვა ტრანსპორტი

1988 წლის 18 ივლისი - Velvet Underground-ის მომღერალი ნიკო კანში ველოსიპედიდან ჩამოვარდა და მოკვდა.

1990 წელი - "მეტალიკას" გიტარისტმა, ჯეიმს ჰეთფილდმა, რომელიც სცენაზე პიროტექნიკური ნომრების დროს მიღებული დამწვრობებით არის ცნობილი, სკეიტბორდზე ტრიუკების კეთებისას, ფეხი მოიტეხა.

1991 წელი - ბრაზილიური ჯგუფის, "სეპულტურას" ლიდერმა და გიტარისტმა, მაქს კავალიერმა რეაქტიული ციგიდან გადმოვარდნისას ხელი მოიტეხა.

1992 - მას შემდეგ რაც კარტინგი ამოუბრუნდა, ჯგუფ Alice In Chain-ის მომღერალმა ლეინ სტელიმ ფეხი მოიტეხა.

### ცეცხლსასროლი იარაღი

1955 წლის 25 დეკემბერი - ჰიუსტონში "რუსული რულეტით" გართობისას დაიღუპა როკ-ენ-როლის ამომავალი ვარსკვლავი, ჯონი ეისი.

1978 წლის 23 იანვარი - მეგობრებისთვის რომ დაემტკიცებინა, რევოლვერი ცარიელიაო, ჯგუფ Chicago-ს გიტარისტმა და მომღერალმა, ტერი კათმა იარაღი საფეთქელზე მიიდო და ჩახმახს თითი გამოჰკრა.

1980 წლის 8 დეკემბერი - მოკლეს ჯონ ლენონი; ეს ის შემთხვევაა, როცა ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია.

1984 წლის 1 აპრილი - აგრესიული დეპრესიის შეტევის დროს მერვინ გეის კლავს მწყობრიდან გამოსული მამა.

### მუსიკალური განსხვავება

1965 წლის 25 მაისი - Kinks-ის გიტარისტმა, დეივ დევისმა უკან მიიხედა და დასარტყმელებზე შემსრულებელ მიკ ეივორის შეაფურთხა. ამ უკანასკნელმა კი საპასუხოდ თავში თავისი ინსტრუმენტის პედალი სთხლიშა. შედეგად ტურნე ჩაიშალა და დეივს თავზე ათი ნაკერი დაადეს.

1966 წლის 20 მაისი - The Who-ს დასარტყმელებზე შემსრულებელს კიტ მუნს, სიმთვრალის გამო ჯგუფის კონცერტზე დააგვიანდა. ჯგუფის გაბრაზებულმა ლიდერმა პიტ ტაუნშენდმა მას გიტარით შეუტია. საბოლოოდ მუნს თვალი ჩაულურჯდა და ფეხზე სამი ნაკერი დაადეს.

### ბრბო

1956 წლის აპრილი - ალაბამაში კონცერტის დროს ნატ კინგ კოლს სცენაზე 6 კაცი აუვარდა და ძირს ჩამოათრიეს. მიზეზი რასიზმი იყო. თავდამსხმელებს სურდათ ამერიკის სამხრეთში შავკანიანი მუსიკოსების გამოსვლები აღეკვეთათ.

1979 წლის ოქტომბერი - "მედისონ სქვეარ გარდენში" თაყვანისმცემლის მიერ ნასროლმა ვარდის ეკალმა ჯგუფ Jethro Tull-ის ლიდერს, იენ ანდერსონს თვალი დაუზიანა.

### საკვები

1974 წლის 29 ივლისი - Mamas and Papas წევრი კეს ელიოტი სენდვიჩის ჭამის დროს დაიხრჩო. სამწუხაროდ, იმავე სახლში გარდაიცვალა The Who-ს კიტ მუნი. მას დოზა "ზედმეტი" მოუვიდა.

1980 წლის 27 ოქტომბერი - T.Rex-ის წევრი სტივ პერეგრინ ტუკი დაიხრჩო ალუბლის კურკით.

### სტაბილურობა

1977 წლის იანვარი - ფლორიდაში კონცერტის დროს პატი სმიტი სცენიდან ჩამოვარდა და კისერი მოიტეხა. მას 22 ნაკერი დაადეს და კარგა ხანი დადიოდა სამედიცინო საყელოთი.

1971 წლის 3 დეკემბერი - ფრენკ ზაპას კონცერტზე მონტრეიში ფანმა ცეცხლი გააჩინა. ხანძარმა მთელი კაზინო ჯგუფის 50 ათას დოლარიან აპარატურასთან ერთად მიწასთან გაასწორა. ამ ამბებიდან შვიდი დღის შემდეგ ზაპას კიდევ ერთხელ მოეცარა ხელი. ლონდონში კონცერტის დროს მისი ფანის ზედმეტად ეჭვიანმა ბოიფრენდმა ზაპა სცენიდან საორკესტრო ორმოში ჩააგდო. ამ ინციდენტის შემდეგ ზაპამ ცხრა თვე ინვალიდის სავარძელში გაატარა.

### ელექტროდენი

1965 წლის 26 მარტი - დანიაში რეპეტიციის დროს "როლინგსტოუნზი" ბასისტმა, ბილ ვაიმენმა მიკროფონიდან 220 ვოლტის სიმძლავრის დარტყმა მიიღო. მუსიკოსი რამდენიმე წუთის განმავლობაში კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში იმყოფებოდა.

1976 წლის 12 მაისი - "იარდბერდსის" მომღერალი კეიტ რელფი საკუთარ სახლში ელექტროგიტარიდან დენის დარტყმის შედეგად გარდაიცვალა.

### თვითგვემა

1984 წელი - ლივერპულელი ჯგუფის Frankie Goes To Hollywood-ის დასარტყმელებზე შემსრულებელი, პიტერ გილი რამდენჯერმე შეგნებულად დაგორდა თავისი სახლის კიბეებიდან, სანამ ფეხი არ მოიტეხა. ამ ყველაფრის მიზეზი კი ის იყო, რომ მას არ უნდოდა ჯგუფთან ერთად გასტროლებზე წასვლა ამერიკაში; მას ლივერპულში დარჩენა და ძმაკაცებთან ერთად პაბებში დროსტარება ერჩივნა.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

*21 ივნისი*

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "უკვდავი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.15** მხ. ფილმი "სიყვარული ბრმაა" (გ) **15.20** სერიალი "სასწრაფო" **16.25** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **23.00** საფეხბურთო მიმოხილვა **23.45** ევროპის ჩემპიონატი. "დანია"-"შვეცია" **02.00** მხ. ფილმი "ვულკანი". მთ. რ-ში: ტომი ლი ჯონსი (18).

### TV5

**07.00, 09.05,** 11.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.00(შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.00** მას მე ცეცხლს ვუწოდებდი. დოკ.ფილმი. **09.30** ტელედილა. **11.30** ქრონიკები მთიდან. **13.05** ზიგ-ზაგ კაფე. **16.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **20.05** სამხრეთის ანარეკლი. **21.25** თავს ყველას ვერ მოაწონებ. **01.30** დედოფალ ელიზაბეტის საერთაშორისო მუსიკალური კონკურსის დასკვნითი კონცერტი ბელგიიდან.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 23.15** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.20** სერიალი "რვაფეხა-4" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.10** სერიალის გაგრძელება **16.20** დოკ. ფილმი "ცისფერი მატარებელი" **17.00** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **17.30** "ამბობენ" (განმ.) **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "უშიშართა ახალი თავგადასავალი" **18.45** "ევრო-2004" (მიმოხილვა) **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00** სერიალი "ფსიქფაქტორი" **22.30** "მუსიკალური არჩევნები" **23.35** ფეხბურთი. იტალია-ბულგარეთი **01.35** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **01.55** მხ. ფილმი "წინააღმდეგობა" (15)

### JIST

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15, 22.35** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" "მხრებგაშლილი ბიჭები" მთ. რ-შიტ დევიდ ო-ხარა, რობინ ლეინგი. **03.00** პაუზის გარეშე

### 202

**10.00** დებატები 202-ზე (განმ). **11.30** მულტფილმი **12.00** 20 სთ-იანი ფილმის გამეორება **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "შოუ იწყება" (რობერტ დე ნირო) (გ) **17.00** საბ. ფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "მეექვსე გრძნობა" (ბ. უილისი) (12) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "წაიკითხე ტუჩებით" (ვ. კასელი) (18)

### მზე

**09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "კამელოტის ქალები" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **13.10** მხ. ფილმი "მოძრავი სასაუზმე" (გ) (ჯეკი ჩანი) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "მაიმუნების მეფე" **17.10** მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **17.35** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" **18.10** მულტსერიალი "კლიფორდი" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** მზერა დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი "პრაქტიკული მაგია" (სანდრა ბალოკი) (18)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(გ) **21.00** დუეტები და წყვილები **21.30** ისტორიანი **22.00** მხ. ფილმი "ჯერი და ტომი" (12)

### კავკასია

**17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** "საქმე და ეკონომიკა" **18.00** მუსიკა **19.20, 21.00** სპექტრი **23.00, 00.30** მუსიკა

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 11.20, 13.15, 16.45, 17.20, 01.55** იმედის მელოდიები **07.30** "იმედის" დილა **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.05** "იმედითა შენითა" **11.30** "მუღამები" **12.10** სერიალი "კლონი" **13.10, 01.25** ტვ-მარკეტი **13.40** "არჩევანი თქვენ" **15.15** მხ. ფილმი "მეორეც უნდა მოკვდეს" (15) **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.05** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი "პრინცესა ნერის თავგადასავალი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" 1-ლი ს. **21.30** ლარის მახე **23.00** "კანონის უზენაესობა" **23.30** მხ. ფილმი "ხვალ კი ომი იყო" (ს. სტოლიაროვი) (გ)

### იბერია

**18.00** სერიალი "გრაფინია დე მონსორო" **18.55** მულტფილმი **20.10** დოკ. ფილმი **21.00** კონცერტი **22.30** მხ. ფილმი "ჯოჯოხეთში" (18)

### აჭარის ტელევიზია

**08.30, 01.35** საინფორმაციო დაიჯესტი **09.00** კომედია "მარტო ტყეში" **10.30** ვესთერნი "მკვდარი" **12.30, 16.30, 20.30, 22.30** საინფორმაციო გამოშვება **12.45** ბოევიკი "აერობოსი" **14.10** მუსიკა **14.20** დეტექტივი "რვა ქალი" **16.05** მუსიკა **16.45** მულტფილმი "ნოტერდამელი კუზიანი" **17.50** დოკუმენტური ფილმი **19.00** მუსიკა **19.20** დოკუმენტური ფილმი **20.15** "სტარტი" **21.00** ბოევიკი "ყინულოვანი დუმილი" **23.00** დოკუმენტური ფილმი **00.00** კომედია "შოუ იწყება" **02.00** ბოევიკი "ძარცვა" **03.50** მუსიკა **04.00** ვესთერნი "რამდენიმე დოლარით მეტი"

### ОРТ

**07.00** "Доброе утро" **10.00, 13.00, 16.00** Новости **10.20, 22.30** Телесериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.20, 19.50** Сериал **"КЛОН" 12.20** "Ералаш". **12.40** Дисней-клуб: "Мышиный дом". **13.10** Дмитрий Медведев в фильме **"Я - РУССКИЙ СОЛДАТ" 15.00** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 16.20** Ирина Скобцева в фильме **"ЯНТАРНЫЕ КРЫЛЬЯ". 2 с. 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.00** "Шутка за шуткой". **19.20** Док. сериал "Прогулки с морскими чудовищами". **19.50** Сериал **"КЛОН". 20.50** "Стирка на миллион". **21.00** Телесериал **"ЧЕРНЫЙ ВОРОН". 22.00** Время. **23.35 Футбол**. Чемпионат Европы. **Сборная Дании - сборная Швеции**. **01.40** Футбол. Чемпионат Европы. "Португальские таймы". **02.30** Брендон Ли в боевике **"БЕГЛЫЙ ОГОНЬ" 04.05** Салли Филд в фильме **"НОРМА РЭЙ" 06.00** "Русский экстрим".

### НТВ

**07.00** Утро на НТВ. **09.55** Сериал **"ЛЮБОВЬ ВДОВЦА". 11.00** Сегодня утром. **11.25** "Безымянная высота". Фильм Евгения Кириченко. **12.20** Ток-шоу "Страна советов". **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.10** "Сегодня" **13.30** Юрий Никулин в фильме **"ДВАДЦАТЬ ДНЕЙ БЕЗ ВОЙНЫ" 15.25** Время есть. **15.35** Протокол. **16.35** Ток-шоу "Принцип домино". **18.30** "Дикий мир: борьба за выживание". "Кольцо огня". **19.35** Протокол. **20.40** Сериал **"МАНГУСТ: ЖЕРТВЫ ПРОГРЕССА". 21.45** Сериал **"ЖЕЛАННАЯ". 23.00** "Страна и мир" **23.35** Красная стрела. **23.50** Сериал **"ОДНАЖДЫ В КАЛИФОРНИИ". 00.55** Сериал **"КЛАН СОПРАНО". 02.35** Теннис. Уимблдонский турнир. **03.25** Кома: это правда.

# ვაშე ბლაგოროდიე

თამარ სუხიშვილი

Вовремя надо приходить, вовремя - ისმოდა ბრაზიანი ხმა დარბაზში, მაყურებელი კი მოდიოდა და მოდიოდა, პრინციპში, დროულად, ქართული პუნქტუალობით - სულ რაღაც ათიოდე წუთის დაგვიანებით, და უკვირდა კიდეც, რატომ დაიწყო სპექტაკლი ასე ადრე, ზუსტად ექვს საათზე. ის კი ეტყობა დაავიწყდათ, რომ გრიბოედოვის თეატრი რუსული პუნქტუალობითა და წესრიგით მუშაობს. ამაში ცუდი რა არის, არც არაფერი, თუმცა ის კი დღემდე ვერ გამიგია, რატომ დამატყდა თავს ჩემთვის სრულიად მოულოდნელად წესრიგის დამცველთა რისხვა. რაც მართალია, მართალია, სპექტაკლზე ნამდვილად არ დამიგვიანია, ზუსტად ექვსისთვის მივედი და რადგანაც დარბაზი გადატენილი იყო, იქვე კუთხეში დავიკავე ადგილი ("პეშკომ პასტაიუს" პრინციპით), არც მიხმაურია და არც ხმამაღლა დამიცემინებია, გეფიცებით; პირიქით, ალბათ, დამიჯერებთ, რომ მთელი გულისყურით ვუსმენდი, სხვა თუ არაფერი, სამსახურებრივი მოვალეობაა, მასალა მქონდა დასაწერი. არ ვიცი, რატომ მომვარდა თეატრის თანამშრომელი ერთი ქალბატონი ხმაურიანი ქოთქოთით - ადგილი დაიკავეთო, ადგილი არ იყო, თორემ მე თვითონაც ხომ დავიკავებდი. თუმცა, მაინც კეთილისმსურველად ჩავთვალე და ვიფიქრე, შევეცოდე, არ უნდა მთელი სპექტაკლის განმავლობაში რომ ფეხზე ვიდგე და გადავიღალო-მეთქი; მაგრამ - ნურას უკაცრავად. იქვე დააყოლა, აქ არ შეიძლება გაჩერება, მაშინ ზემოთ აბრძანდითო. სულ ტყუილად შევეცადე ამეხსნა, რომ აქ გასაჩერებლად კი არა, სპექტაკლის სანახავად ვარ მოსული, და რომ მასალა მინდა გავაკეთო და რომ შორიდან, ანუ იარუსიდან მიჭირს ყურება, და რომ ცოტა ყურთაც მაკლია (ეს ისე, თავის შესაცოდებლად), და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, კარი გამიღო და ზრდილობიანად რომ ვთქვა, გარეთ გამომაბრძანა (ისე, ამას გამოგდება უფრო ჰქვია). ამ დროს სცენაზე ნიკო გომელაური "ვაშე ბლაგოროდიეს" მღეროდა. სცენის სიღრმეში ეკიდა ბულატ ოკუჯავას პორტრეტი, პორტრეტის ქვეშ - გიტარა, სასცენო დეკორაცია უბრალო და მარტივია და მეტს არც საჭიროებს. დანარჩენს ყველასთვის საყვარელი პოეტისა და კომპოზიტორის, ბულატ ოკუჯავას სიმღერები ამბობენ. ასე აღმოვჩნდი თეატრის ფოიეში ბულატ ოკუჯავას პორტრეტისა და "ვაშე ბლაგოროდიეს" ფონზე, და ის სიმღერა გამახსენდა, პუშკინის ფონზე ოჯახი რომ სურათს იღებს - ესეც ბულატ ოკუჯავას ცნობილი რეპერტუარიდანაა. მოკლედ, რაღა უნდა მეთქვა, ის მხცოვანი ქალბატონი გახლდათ, რომელმაც არც კი ისურვა მოესმინა "თავხედი ჟურნალისტისთვის". მერე ამაოდ ვეძებდი იარუსზე ასასვლელ კიბეს, რაღა დაგიმალოთ და გრიბოედოვის თეატრის იარუსზე კარგა ხანია არ ვყოფილვარ. მერე სიბნელეში ძლივძლივობით მივაგენი იარუსის შესასვლელს, მოკლედ, ამასობაში სცენაზე ოკუჯავების ოჯახის თითქმის მთელმა ცხოვრებამ ჩაიარა. მე კი ისევ იმაზე ვფიქრობდი, რას მერჩოდა ის "წესრიგის დამცველი" ქალბატონი. იარუსიდან რომ გადავიხედე, ზუსტად იმ ადგილას, სადაც მე ვიდექი, რვა მაყურებელი და კიდევ ერთი ოპერატორი იდგა ფეხზე (რუსულად ხმა რომ ამომეღო, ვიფიქრებდი, ჩემი აქცენტი არ მოეწონა-მეთქი). ჰო მართლა, პირველ იარუსზე ფეხზე იდგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ბატონი ავთო ვარსიმაშვილიც. კიდევ კარგი, იმ ქალბატონს არ დაუნახავს.

 აი, ასე ვიყავი პრემიერაზე - "მე ვარ ბულატ ოკუჯავა". რას ვიზამ, დადგმა კარგად ვერ ვნახე. არადა, ბულატ ოკუჯავას დიდი თაყვანისმცემელი გახლავართ. შინ რომ მივალ, ოკუჯავას სიმღერების ერთი ძველი ფირფიტა მაქვს და იმას მაინც მოვუსმენ.

წელს ბულატ ოკუჯავას 80 წლის იუბილეა.



იური ლობოდინის ფოტო

*წელს ბულატ ოკუჯავას 80 წლის იუბილეა.*


**შპს "საქაერონავიგაცია" აცხადებს, რომ აგრძელებს სატენდერო წინადადებების მიღებას ჩვენს ვებგვერზე და სხვა საინფორმაციო საშუალებებში გამოცხადებულ ტენდერში შემდეგი სანავიგაციო მოწყობილობების შესყიდვის თაობაზე:**

- **აეროდრომის რადარი (MSSR)**
- **ინსტრუმენტალური დაფრენის სისტემა (ILS)**
- **მანძილის გაზომვის მოწყობილობა (DME)**
- **წრიული VHF რაიოშუქურა (VOR)**
- **მეტად მაღალი სიხშირის რადიოსადგურები (VHF)**

**სატენდერო წინადადებების მიღება იწარმოებს 2004 წლის 16 ივლისის 1700 საათამდე. დამატებითი ინფორმცია შეგიძლიათ მიიღოთ შპს "საქაერონავიგაციის" ვებ-გვერდზე:**
**http://www.airnav.com.ge**

SAKAERONAVIGATSIA Ltd announces that we have extended term of submission of offers in Tender on acquire aviation technical equipment:

- Airport MSSR Radar
- Instrument Landing System (ILS)
- Distance Measuring Equipment (DME)
- Omni-directional Range (VOR)
- Very High Frequency (VHF) Radio

. The Tender Advertisement was published at our web site and in different mass media. Now any persons concerned can submit their tender applications before 17:00 July 16, 2004. The persons concerned may get the additional information on the web-site:
http://www.airnav.com.ge

JAZZ
საქართველოს ბანკის თბილისის ჯაზფესტივალი
VIII TBILISI INTERNATIONAL JAZZ FESTIVAL




**26 ივნისი 2004 – დიდი საკონცერტო დარბაზი**
**20:00** ჯონ მაქლაგლინის „შაქტი" (ინგლისი/ინდოეთი)

**27 ივნისი 2003 – კუს ტბა**
**17:00** თბილისის მუნიციპალიტეტის საკონცერტო ორკესტრი და მეგობრები (საქართველო/რუსეთი)

**29 ივნისი 2004 – დიდი საკონცერტო დარბაზი**
**20:00** ქრის ბოტი და მისი ჯგუფი (აშშ)
**22:00** ბობი მაქფერინი (აშშ)

**30 ივნისი 2004 – დიდი საკონცერტო დარბაზი**
**20:00** მაიკლ ფრენქსი და მისი ჯგუფი (აშშ)

**1 ივლისი 2004 – აჭარა მიუზიქ ჰოლი**
**20:00** მაიკლ ფრენქსი და მისი ჯგუფი (აშშ)

ტელ.: + 995 32 954001 www.easternpromotion.com

US Embassy Austrian Teliani Valley Sheraton Metechi Palace Ernst & Young GEONET

# სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

MBA მარკეტინგი / ფინანსები / IT
MSc საინფორმაციო ტექნოლოგიები / კომპიუტერული სისტემის ინჟინერია / ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი £3950 სასწავლოებისთვის 16.

... BA (Hons) ... £ 6950.

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

... £ 1000 ...

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
ნინო მესხიშვილი / ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის მისიები განყოფილება
მის: თბილისი, ... 2, ... 1, ... 1.
ტელ: 253045, 230284 მობ. 899-352067
E-mail: stmgeorgia@hotmail.com
www.stmlondon.co.uk

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

# ლაგუნა - შეკვეთილი



დასასვენებელი კომპლექსი ოზურგეთის რაიონი, დაბა შეკვეთილი
2004 წლის ზაფხულის ფასები

სასტუმრო
1 პერსონა 1 დღე 22 USD
7 დღე და მეტი 20 USD

პანსიონატი
1 დღე 1 პერსონა 9 USD
3-4 პერსონა 1 ოთახში 7.5 USD
ბავშვი (4-10) 6 USD

ფასი შეიცავს
- ცხოვრებას სასტუმროში
- სამჯერად კვებას
- კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთის მოედანს



ფასი არ შეიცავს
- სასმელის ღირებულებას
- მასაჟს
- სამრეცხაო მომსახურებას

ანგარიშსწორება ლარებში გამოქვეყნებული კურსის მიხედვით. ფასები გამოქვეყნებულია 2004 წლის მაისში. ცვლილება შესაძლებელია.

ინფორმაციისათვის დაგვირეკეთ: 8 99 507 606, 8 93 174 464

# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.